

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



გამომცემლობა არტანუჯი

უკ (UDC) 016:80(479.22)(092)

შ – 954

ISBN 978-99940-59-94-2 (გ. შურღაია . ელენე მეტრეველი (1917-2003).
ბიბლიოგრაფია)

© გამომცემლობა არტანუჯი

ელენე მეტრეველი

(1917-2003)

ბიობიბლიოგრაფია

შეადგინა

გაგა შურლაიამ



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი
2007

Il volume rappresenta la sezione georgiana della biobibliografia dell'accademica Elene Met'reveli, curata da Gaga Shurgaia, che il Dipartimento di Studi Eurasiatici dell'Università Ca' Foscari di Venezia pubblica in georgiano e in italiano nella collana «Eurasiatica» (è già in corso di stampa con il numero 80). Il presente volume è edito per cortese concessione dell'Università Ca' Foscari, nell'ambito dei festeggiamenti organizzati dal Centro nazionale dei manoscritti di Tbilisi in occasione del XC anniversario della nascita dell'accademica georgiana.

La biobibliografia elenca ricerche, scritti scientifici e divulgativi, recensioni e altri contributi della studiosa con le relative valutazioni. Sono indicate a parte descrizioni di manoscritti e opere letterarie da lei edite, monografie approntate a stampa da lei o pubblicate a sua cura come redattrice, nonché gli studi su di lei. Le voci del repertorio sono accompagnate da commenti esplicativi. Un capitolo specifico è dedicato alle date essenziali della vita e dell'attività di Elene Met'reveli. Il materiale è disposto in ordine cronologico ed è corredato di due indici alfabetici, rispettivamente delle pubblicazioni e dei nomi.

Redattori: **RUSUDAN GVARAMIA, VALERI SILOGAVA**
Redattore bibliografico: **MAREX ASATIANI**

წინამდებარე წიგნი ქართული ნაკვეთია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ელენე მეტრეველის ბიობიბლიოგრაფიისა, რომელსაც ქართულ და იტალიურ ენებზე გამოსაცემად ამზადებს ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა' ფოსკარის“ ევრაზიულ კულტურათა კათედრა „ევრაზიატიკის“ სერიით (წარმოებაში ჩაშვებულია მე-80 ნომრით). იგი ცალკე გამოცემის სახით იბეჭდება ვენეციის უნივერსიტეტის თავაზიანი ნებართვით იმ ღონისძიებათა ფარგლებში, რომლებსაც აკადემიკოს ელენე მეტრეველის 90 წლისთავის აღსანიშნავად აწყობს საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ბიობიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია მეცნიერის გამოკვლევები, სამეცნიერო-პოპულარული წერილები, რეცენზიები, სხვა ხასიათის მასალა, ასევე, შეფასებები და გამოხმაურებები მის გამოკვლევებზე. ცალკ-ცალკეა გამოყოფილი მის მიერ შედგენილი ხელნაწერთა აღწერილობები, გამოცემული ლიტერატურული ძეგლები, ასევე, მისი რედაქტორობით დასტამბული ნაშრომები და ლიტერატურა მეცნიერის შესახებ. ბიბლიოგრაფია ანოტირებულია. სპეციალური თავი ეთმობა ელენე მეტრეველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად თარიღებს. მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურად, ერთვის შრომებისა და სახელთა ანბანური საძიებლები.

რედაქტორები: რუსუდან გვარამია, ვალერი
სილოგავა.

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: მარეხ ასათიანი.

საავტორო უფლებები: ვენეციის სახელმწიფო
უნივერსიტეტი „კა' ფოსკარი“

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა.

- I. ელენე მეტრეველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.
- II. ელენე მეტრეველის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა.
- III. ელენე მეტრეველის შრომები.
- IV. ელენე მეტრეველის მიერ დასაბეჭდად მომზადებული ხელნაწერთა აღწერილობები, დადგენილი კრიტიკული ტექსტით გამოცემული ლიტერატურული ძეგლები და სხვა თხზულებები, მისი რედაქციით დასტამბული ნაშრომები.
- V. ელენე მეტრეველის რედაქტორობით გამოცემული შრომები.
- VI. ელენე მეტრეველის გამოუქვეყნებელი შრომები.
- VII. ელენე მეტრეველის ხელმძღვანელობით დაცული საკანდიდატო დისერტაციები.
- VIII. ლიტერატურა ელენე მეტრეველის შესახებ. შრომების ანბანური საძიებელი. სახელთა საძიებელი.

წინათქმა

წლეულს, დეკემბერში 90 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-ფილოლოგს, ძველი ქართული ლიტერატურისა და კულტურის მკვლევარს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწესა და ორგანიზატორს, საქართველოს სახელმწიფო და კ. კეკელიძის პრემიების ლაურეატს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამინდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის) ერთ-ერთ მესაძირკვლესა და მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მის უცვლელ ხელმძღვანელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ელენე პავლეს ასულ მეტრეველს.

მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ სიცოცხლეშივე ღირსეულად დააფასა მეცნიერის დამსახურება მშობელი ერისა და ქვეყნის წინაშე და ფართოდ აღნიშნა მისი დაბადების 60, 70 და 80 წლისთავები. დაბადების 75 წლისთავი უყურადღებოდ არ დარჩენიათ სსრ კავშირის სამეცნიერო წრეებსაც, ხოლო 80 წლისთავს საგანგებოდ გამოეხმაურა იტალიის სამეცნიერო საზოგადოება: კონსტანტინესა და ანგელოზების სახელობის ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალმა „Studi sull'Oriente Cristiano“ („გამოკვლევები ქრისტიანულ აღმოსავლეთზე“, რომი) მეცნიერის იუბილეს ოთხი სპეციალური ნომერი მიუძღვნა, რომლებშიც, ქართველ მკვლევარებთან ერთად,

ნაშრომები გამოაქვეყნეს იტალიელმა, ესპანელმა, ფრანგმა, ამერიკელმა, გერმანელმა, ბელგიელმა, სომეხმა, რუმინელმა და ბერძენმა აღმოსავლეთმცოდნეებმა. ჟურნალის პირველ საიუბილეო ნომერში, რომელიც ჩემი რედაქტორობით დაისტამბა, დაიბეჭდა ჩემ მიერ შედგენილი ელენე მეტრეველის ნაშრომების ანოტირებული ბიობიბლიოგრაფია ქართულ და იტალიურ ენებზე. ქართველი მეცნიერის ღვაწლის დაფასებისათვის ჟურნალის მთავარ რედაქტორს, პროფესორ გაეტანო პასარელის, იტალიის მთელ სამეცნიერო საზოგადოებას საქართველოს სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს მაშინდელმა ელჩმა იტალიაში, ქალბატონმა რუსუდან ლორთქიფანიძემ.

სამწუხაროდ, ელენე მეტრეველის გარდაცვალება, ფაქტობრივად, შეუმჩნეველი დარჩა მაშინ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ საამისოდ სათანადოდ არ უზრუნვიათ თავად მის სამშობლოში, სადაც ახლა მეცნიერება და კულტურა სულ უფრო და უფრო რჩება ღმერთისა და კაცისაგან მიტოვებული.

წინამდებარე წიგნი ქართული ნაკვეთია ზემოაღნიშნული ბიობიბლიოგრაფიის გადამუშავებული და შევსებული გამოცემისა, რომელსაც ქართულ და იტალიურ ენებზე დასაბეჭდად ამზადებს ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა' ფოსკარის“ ევრაზიული კულტურების კათედრა „ევრაზიატიკის“ სერიით. იგი იქნება მეცნიერის დაბადების 90 წლისთავზე მოკრძალებული საჩუქარი, რომელსაც ევრაზიული კულტურების კათედრა იტალიის სახელით უძღვნის დიდ ქართველ მეცნიერს,

რომლის მოღვაწეობა, უპირველეს ყოვლისა, მაღალი ზნეობის, სამშობლოს, მეცნიერებისა და კულტურის უანგარო, ჩუმი, თავდადებული მსახურების ნათელი მაგალითია.

ბიობიბლიოგრაფია მთელი სიცხადით წარმოაჩენს ელენე მეტრეველის უმდიდრეს მეცნიერულ მემკვიდრეობას, მის ტიტანურ შრომასა და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რომელიც ოდნავადაც არ განელებულა გაუკუღმართებული ცხოვრების უმძიმეს პირობებშიც კი. დიდმა მეცნიერმა დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანული კულტურული ფესვების მოძიებასა და შეცნობას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია არა მხოლოდ იმით, რომ გამოავლინა და შეისწავლა დედნებში დაკარგული, მაგრამ ქართული რედაქციებით შემონახული უძველესი ლიტერატურული წყაროები, არამედ უწინარესად იმითაც, რომ საკუთრივ ქართული კულტურის ორიგინალური ძეგლების შესწავლით ნათელყო ქრისტიანული სამყაროს კულტურული კონტექსტის მრავალფეროვნება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ელენე მეტრეველის ცხოვრება და შემოქმედება დასავლელ კოლეგებს თვალნათლივ უჩვენებს ქართველ მეცნიერთა მაღალ პროფესიულ დონეს, მათ სულიერ სიმტკიცეს, ობიექტურობასა და პრინციპულობას.

წიგნი იწყება ელენე მეტრეველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვით. შემდეგ ბიბლიოგრაფირებული და ანოტირებულია მისი სამეცნიერო გამოკვლევები, სამეცნიერო-პოპულარული წერილები, აგრეთვე, რეცენზიები და გამოხმაურებები მათზე, ელენე მეტრეველის რედაქციით გამოცემული შრომები

და ლიტერატურა მეცნიერის შესახებ. ნაშრომთა ციტირების წესების დაცვით ელენე მეტრეველის შრომების ბიბლიოგრაფირებისას ერთმანეთისაგან გამიჯნულია: ა) ინდივიდუალური შრომები და ბ) შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ხელნაწერთა აღწერილობები, გამოკვლევითა და კრიტიკული ტექსტით გამოცემული ლიტერატურული ძეგლები და სხვა ანალოგიური ხასიათის თხზულებები (როგორც ცნობილია, ანალოგიური გამოცემები დასავლეთში ორიგინალურ, საავტორო ნაშრომებად ითვლება), ასევე, მისი რედაქციით დასტამბული ნაშრომები; ამავე ჯგუფში შევითანე ორიოდე წიგნი, რომლის სატიტულო ფურცელზე მეცნიერი ფიგურირებს როგორც მხოლოდ რედაქტორი, თუმცა, წიგნი ფაქტობრივად მისი რედაქციითაა გამოცემული. ამასთანავე, ცალკეა გამოყოფილი მისი რედაქტორობით ან სარედაქციო კოლეგიის წევრობით დასტამბული ნაშრომები.

მასალა ქრონოლოგიურადაა დალაგებული. როდესაც შეუძლებელი იყო პუბლიკაციის ზუსტი დროის (თვისა და რიცხვის) განსაზღვრა, ერთსა და იმავე წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა რიგი მისდევს ჯერ ქართული, ხოლო შემდეგ რუსული და ლათინური ანბანების თანამიმდევრობას. თითოეული ნაშრომის დასახელების შემდეგ მოტანილია მის შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიის ბიბლიოგრაფიული რეკვიზიტები, ასევე, შენიშვნით „ინფ.“ – სხვა სახის ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია.

საენციკლოპედიო სტატიების გამოკლებით, ანოტირებულია ბიბლიოგრაფიაში შეტანილი ყველა ნაშრომი, აგრეთვე, ლიტერატურა მეცნიერის შესახებ.

მათ ანოტაცია ქართულ ენაზე ერთვის. ქართულად პირველად არის აღწერილი ელენე მეტრეველის მიერ უცხო ენებზე გამოქვეყნებული ზოგიერთი გამოკვლევა. ნაშრომთა შინაარსის გადმოცემისას ვცდილობდი, რაც შეიძლება, ზედმიწევნით ზუსტად ამესახა დიდი მეცნიერის შრომების ძირითადი არსი, მიზანდასახულობა, მისი შეხედულებები, თვალსაზრისი, მიდგომები, კვლევის უმთავრესი შედეგები. ციტატები ნაშრომებიდან ზოგჯერ უშუალოდ არის ჩართული ანოტაციაში, ფრჩხილებში კი მითითებულია შესაბამისი გვერდი.

ტექსტის დამძიმების თავიდან ასაცილებლად, ანოტაციებში დამოწმებულ ელენე მეტრეველის შრომებს არ ახლავს ბიბლიოგრაფიული რეკვიზიტები, რომლებსაც დაინტერესებული მკითხველი იოლად მიაგნებს წიგნისათვის თანდართულ შრომების ანბანურ საძიებელში. თუ ნაშრომი სხვადასხვა რედაქციით რამდენიმე ენაზეა დაბეჭდილი, მაშინ ანოტაცია ერთვის პირველ რედაქციას, მომდევნო რედაქციის დასახელებისას კი აღნიშნულია მისი განსხვავება ადრე გამოქვეყნებული ვარიანტისაგან. თუ რომელიმე ნაშრომი ჯერ თეზისების, ხოლო შემდეგ სრული სახით გამოქვეყნდა, ორივე დასახელებას ერთვის ანოტაცია, რომლებშიც ასახულია ნაშრომთა შორის არსებული მსგავსება-განსხვავება ან შესწორება.

ქალაქები, ინსტიტუტები და სხვა რეალიები დასახელებულია ისე, როგორც მათ საანოტაციო ნაშრომის შესრულების დროს ერქვათ. კომენტარის გარეშეა დასახელებული ორიოდ ნაშრომი, რომლებიც

უთეზისებოდ, მხოლოდ სათაურით არის შეტანილი სამეცნიერო ფორუმის მასალებში.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ელენე მეტრეველის პირად არქივში დაცულ მეცნიერის გამოუქვეყნებულ შრომათაგან რამდენიმე უსათაუროა. ასეთ შემთხვევებში ნაშრომთა სახელწოდება ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში და დასათაურებულია ისე, როგორც დაფიქსირებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივში ელენე მეტრეველის პირად საქმეში ჩართულ „ნაშრომებისა და გამოგონებების სიაში“, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, როდესაც გამოკვლევა არც ამ სიაშია და ამიტომ თავად მომიხდა მისი დასათაურება.

შრომების ანბანურ საძიებელში ელენე მეტრეველის საავტორო, მისი რედაქციით ან მონაწილეობით დასტამბული ნაშრომები მოტანილია სათაურით, XIX ს.-მდეელი ავტორთა ნაწარმოებები – ავტორის სახელით, გვართა და თხზულების სათაურით; ხოლო იქ, სადაც თანამედროვე ავტორთა ნაშრომებს ზოგადი სათაურები აქვთ (მაგალითად, „თხზულებანი“ და მისთ.), სათაურის შემდეგ, ფრჩხილებში, მითითებულია უშუალო ავტორიც, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი, შეიძლება, ელენე მეტრეველის ინდივიდუალურ ნაშრომებში აღრეულიყოს. მეცნიერის შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურის დასახელებისას მითითებულია ავტორის გვარი, სახელის ინიციალი და შრომის სათაური.

ბიობიბლიოგრაფია ერთგვარად აჯამებს აკადემიკოს ელენე მეტრეველის მეტად საინტერესო და ნაყოფიერი ცხოვრების, სამეცნიერო და საზოგადოებ-

რივი მოღვაწეობის შედეგებს. იგი არის ქართველი მეცნიერისადმი მიძღვნილი ამ სახის არა მხოლოდ პირველი ნაშრომი, რომელიც სრული სახით დასავლეთ ევროპაში ისტამბება, არამედ – პირველი ანოტირებული ბიობიბლიოგრაფია ქართულ სინამდვილეშიც. იმედია, იგი გარკვეულწილად დაეხმარება ქართველოლოგებსა და ბიზანტინისტებს, საერთოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთის სულიერი კულტურით დაინტერესებულ მკითხველებს. ამასთანავე, მინდა, გამოვთქვა რწმენა, რომ იგი ახალგაზრდა მკვლევარებს გაუღვიძებს ინტერესს დიდი მეცნიერის მემკვიდრეობის შესწავლისადმი და ისინი თავიანთ დისერტაციებსა თუ მონოგრაფიებში საფუძვლიანად გააშუქებენ მის წვლილს ქართული ფილოლოგიური აზროვნების განვითარებაში.

გაგა შურღაია

თბილისი-რომი, 4 დეკემბერი, 2007 წ.

I. ელენე მეტრეველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 1917 წლის 13 დეკემბერს დაიბადა ქ. ზესტაფონში.
- 1935 წელს დაამთავრა თბილისის მე-14 საშუალო სკოლა.
- 1935 წელს ჩაირიცხა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.
- 1940 წელს დაამთავრა ზემოაღნიშნული უნივერსიტეტი სპეციალობით – ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით.
- 1940 წელს ჩაირიცხა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობით.
- 1943 წლის დეკემბერში დაამთავრა ზემოაღნიშნული ასპირანტურის სრული კურსი.
- 1943 წლის სექტემბრიდან 1944 წლის სექტემბრამდე მუშაობდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგად.
- 1944 წლის სექტემბრიდან 1948 წლის სექტემბრამდე იყო ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, ქართულ და რუსულ სექტორებზე კითხულობდა ძველი ქართული ლიტერატურის სპეცკურსს.

1946 წლის 5 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „რამდენიმე საკითხი ნიზამისა და რუსთველის ლიტერატურული ურთიერთობიდან“.

1946 წლის აპრილიდან 1958 წლის აგვისტომდე მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1948 წლის სექტემბრიდან 1959 წლის სექტემბრამდე იყო ა. ჰუმეინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

1954 წელს შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში.

1957 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ტიმოთე გაბაშვილის მიმოსლვა“.

1958 წლის 18 იანვარს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1958 წლის აგვისტოდან 1968 წლის აპრილამდე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად.

1960 წლის 1-3 ივნისს მონაწილეობდა ერევანში (სომხეთი) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეო-გრაფიული კომისიისა და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო სესიის მუშაობაში, სადაც წაიკითხა მოხსენება: „ქართულ ხელნაწერთა საზღვარგარეთული კოლექციები“.

1968 წლის აპრილიდან 1988 წლის 20 დეკემბრამდე იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი.

1968 წლის 25 დეკემბრიდან 1973 წლის 29 იანვრამდე იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეო-გრაფიული კომისიის წევრი.

1969-1971 წწ. იყო თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატი.

1969-1994 წწ. იყო „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი.

1970 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1972 წლის 27 იანვარს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

1973 წლის 29 იანვრიდან 1988 წლის 31 მარტამდე იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიის წევრი.

1974 წლის 29 მარტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (ენისა და ლიტერატურის განყოფილება).

1974 წლის 16 მაისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსური პროგრამის – „მსოფლიო კულტურის ისტორიის“ სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის შესახებ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით შეიყვანეს ზემოაღნიშნული სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში.

1975 წლის მაისში მონაწილეობდა თბილისში საკავშირო სამეცნიერო კონფერენციის – „ანტიკური, ბიზანტიური და ადგილობრივი ტრადიციები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქვეყნებში“ მუშაობაში, სადაც წაიკითხა მოხსენება: „ქართული ლიტურგიკული ძეგლები და ქართული და ბერძნული ჰიმნოგრაფიის საკითხები“.

1976 წლის მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქვეყნისა და მეცნიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისა და ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

1976 წლის 5-11 სექტემბერს მონაწილეობდა ათენში (საბერძნეთი) ბიზანტინისტთა XV საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, სადაც წაიკითხა მოხსენება: „IX-X საუკუნეების ქართული ლიტურგიკული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის“.

1976 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა ბიუროების შემადგენლობის შესახებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით დაამტკიცეს ენისა და ლიტერატურის განყოფილების ბიუროს წევრად.

1976-1977, 1978-1981 წწ. იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, **1977-1978 წწ.** – თავმჯდომარის მოადგილე.

1976 წლიდან 1990 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიულ კომისიას.

1977 წელს აღინიშნა აკადემიკოს ელენე მეტრეველის დაბადების 60 წლისთავი.

1977 წლის 3 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1977 წლის 3-8 ოქტომბერს მონაწილეობდა ერლანგენში გერმანელ ორიენტალისტთა XX სემინარის მუშაობაში, სადაც წაიკითხა მოხსენება: “IX-X საუკუნეების ქართული ლიტურგიკული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის”.

1977-1979 წწ. და 1980-1982 წწ. იყო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

1978 წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან არსებული არეოპაგიტიკული პრობლემატიკის სამეცნიერო ცენტრის საპატიო წევრად.

1979 წლის 28 მაისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიის აღმოსავლური სექციისა და სერიის «Памятники письменности Востока» სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ანდრეი ნიკოლოზის ძე კონონოვის (1906-1986) წარდგინებით, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, აგრეთვე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს ბიუროს 1978 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილების დამატებით შეიყვანეს ზემოაღნიშნული სერიის სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში.

1979 წლის 28-31 მაისს მონაწილეობდა თბილისსა და გელათში ბიზანტიური კულტურის ისტორიის საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში, სადაც

წაკითხა მოხსენება: „ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან“.

1981 წლის 4-9 ოქტომბერს მონაწილეობდა ვენაში (ავსტრია) ბიზანტინისტთა XVI საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, სადაც წაკითხა მოხსენება: „ქართული უძველესი იადგარი“.

1982 წლის 19-20 ოქტომბერს მონაწილეობდა თბილისში ათონის ივერთა მონასტრის დაარსების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიის მუშაობაში, სადაც წაკითხა მოხსენება: „ათონის მთის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის“.

1983 წლის 13 მაისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (ენისა და ლიტერატურის განყოფილება).

1984 წლის 27 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით შეიყვანეს 1985 წელს კ. კეკელიძის სახელობის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით ენისა და ლიტერატურის განყოფილების მიერ გამოყოფილი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1985 წლის 19 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით შეიყვანეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართული კულტურის კერებსა

და სიძველეთსაცავებში დაცული ქართველოლოგიური დოკუმენტების შესწავლის საკოორდინაციო საბჭოს წევრად.

1986 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წარდგინებით და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, აირჩიეს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრად.

1986 წლის 18 მარტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საქართველოს სსრ გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტისა და ქართული შრიფტების კომისიის შემადგენლობაში ცვლილებებთან დაკავშირებით დაამტკიცეს ქართული შრიფტის კომისიის წევრად.

1987 წელს აღინიშნა აკადემიკოს ელენე მეტრეველის დაბადების 70 წლისთავი.

1988 წლის 31 მარტიდან 1999 წლის 30 ივნისამდე იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიის, არქივმცოდნეობისა და ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა შერეული კომისიის წევრი.

1988 წლის 20 დეკემბრიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი.

1991 წლის 8-15 აგვისტოს მონაწილეობდა მოსკოვში (რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა) ბიზანტინისტთა XVIII საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, სადაც წაიკითხა მოხსენება: „ათონის ივერთა მონასტრის ქტიტორები“.

1992 წელს აღინიშნა აკადემიკოს ელენე მეტრეველის დაბადების 75 წლისთავი.

1993 წლის 1 აპრილიდან გარდაცვალებამდე იყო ხელნაწერთა ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე.

1994 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია წიგნისათვის “უძველესი იადგარი” (გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, თბ.: მეცნიერება, 1980).

1994 წლის 17 ნოემბერს აირჩიეს ტიუბინგენის (გერმანია) უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად (თეოლოგიის ფაკულტეტი).

1996 წლის 25 მარტს ძველი ქართული მწერლობის ისტორიის კვლევის საქმეში განსაკუთრებული დამსახურების, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

1997 წელს აღინიშნა აკადემიკოს ელენე მეტრეველის დაბადების 80 წლისთავი.

1998 წლის 2 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, მონოგრაფიისათვის „ნარკვევები ათონის კულტუ-

რულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან“
მიენიჭა კ. კეკელიძის სახელობის პრემია.

1999 წლის 30 ივნისიდან გარდაცვალებამდე იყო
რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული
კომისიის წევრი.

2003 წლის 4 მარტს გარდაიცვალა 85 წლის ასაკში.

II. ელენე მეტრეველის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა

აკადემიკოსი ელენე მეტრეველი ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა იმ ბრწყინვალე პლეადას ეკუთვნის, რომელთაც სამარადისოდ დაიმკვიდრეს ადგილი ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში.

მომავალი მეცნიერი 1917 წლის 13 დეკემბერს დაიბადა ზესტაფონში, პედაგოგების ოჯახში. დედა – ბარბარე მიხეილის ასული ვარძიელი (1888-1980) დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო, მამაც – პავლე გრიგოლის ძე მეტრეველი (1890-1973) პედაგოგი, ბუნებისმეტყველების მასწავლებელი იყო, შემდგომში მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, სიცოცხლის ბოლო წლებში კი ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა საბუნების-მეტყველო საგნების მეთოდის კურსს.

თბილისის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პავლე მეტრეველი ახალციხეში სკოლის ინსპექტორად მიავლინეს. იქ გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე, კათოლიკე მღვდლის – მიხეილ ვარძიელის ქალიშვილი, ბარბარე, რომელიც მასწავლებლად მუშაობდა სკოლაში. ახალგაზრდები იქვე დაოჯახდნენ, შემდეგ კი საცხოვრებლად

ზესტაფონში გადავიდნენ და იქ განაგრძეს პედაგოგიური საქმიანობა. პირველი შვილის სიხარულს ზესტაფონში ეწივნენ: 1917 წელს შეეძინათ უფროსი ქალიშვილი, ელენე, ხოლო 1920 წელს საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლის შემდეგ – უმცროსი, ქეთევანი, შემდგომში პედიატრი.

თბილისში დედა მე-8, მამა კი – მე-14 შრომით სკოლაში მუშაობდა. ცხოვრობდნენ ხელმოკლედ, სულხან-საბას ქუჩაზე, იტალიურ ეზოში. შინ ბავშვებს დედის დედა, ელისაბედი უვლიდა. დედა წყნარი, მშვიდი, განათლებული ქალი იყო, მამა – ყურადღებიანი, თბილი, ტაქტიანი კაცი. ძალიან უყვარდა ბავშვების ბუნების წიაღში გასეირნება, აცნობდა მათ ფლორასა და ფაუნას, ათვალთვლებინებდა დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ასწავლიდა საქართველოს ისტორიას, სამშობლოს სიყვარულს, განსაკუთრებით ხშირად თბილისის ბოტანიკურ ბაღს სტუმრობდნენ.

ელენე ექვსი წლისა შეიყვანეს თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. ერთ ხანს დედასთან – მე-8 სკოლაში სწავლობდა, ბოლოს კი მე-14 სკოლა დაამთავრა. დები ოჯახში ეუფლებოდნენ ფრანგულ ენას, ორივემ მიიღო მუსიკალური განათლება.

შესანიშნავი მოსწავლე იყო მომავალი მეცნიერი. თანაკლასელებს უყვარდათ და პატივს სცემდნენ გონიერ, წიგნების მოყვარულ, აქტიურ გოგონას, რომელიც უკვე მაშინ მისი ასაკისათვის უჩვეულო მოხსენებებს კითხულობდა, თუმცა, მისთვის არც ბავშვური გატაცებები იყო უცხო...

კლასი, სადაც ელენე სწავლობდა, მთელ სკოლაში გამოირჩეოდა ნიჭიერი მოსწავლეებით. მისი თანაკლასელები და ბავშვობის მეგობრები იყვნენ: მომავალი ისტორიკოსი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, ფიზიკოსი ქეთევან ორჯონიკიძე, აღმოსავლეთმცოდნე, შემდგომში ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, ოთარ გიგინეიშვილი. ქეთევანთან ერთ კლასში სწავლობდნენ ტიციან ტაბიძის ქალიშვილი ნიტა, მომავალი ექიმი ვახტანგ ალადაშვილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ელენეს თანაკურსელები შემდგომში ცნობილი პიროვნებები გახდნენ: ისტორიკოსი ლალი ჯავახიშვილი, ფილოლოგი, შემდგომ აშშ-ში მოღვაწე გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ჯობაძე, ომის წლებში დახვრეტილი სტუდენტები – იმედის მომცემი მწერლები კოტე ხიმშიაშვილი და გიორგი ძიგვაშვილი.

მეტრეველების ოჯახს მუდმივად სტუმრობდნენ ელენესა და ქეთევანის სტუდენტობის მეგობრები. აქ ღამის ორ-სამ საათამდე მსჯელობდნენ, პაექრობდნენ სხვადასხვა საკითხსა და საჭირბოროტო თემაზე. ნიკა პოლიექტოვ-ნიკოლაძეს ხშირად უწევდა მოკრძალებული ბოდიშის მოხდა ოჯახის დიასახლისთან - უნებლიეთ შემოგვათენდაო. საინტერესო საუბრები, პოლემიკა, დაუვიწყარი შეხვედრები მერეც, მთელი სიცოცხლე გრძელდებოდა.

უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ ელენე მეტრეველი ირიცხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, მისი დასრულების შემდეგ კი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა

რესპუბლიკური სასახლის პედაგოგად მუშაობს, შემდგომ ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტში ქართულ და რუსულ სექტორებზე კითხულობს ძველი ქართული ლიტერატურის სპეცკურსს, შემდგომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელია და პარალელურად მასწავლებლობს ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. წარმატებით იცავს დისერტაციებს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად.

1958 წლიდან ელენე მეტრეველის მთელი ცხოვრება, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა განუყრელად უკავშირდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, სადაც არქეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელად ინიშნება. 1968 წლიდან მისი დირექტორი ხდება და ორი ათეული წლის განმავლობაში უცვლელ დედაბოძად უდგას ქართველოლოგიის ამ ერთ-ერთ უმთავრეს კერას.

ამიერიდან ხელნაწერთა ინსტიტუტია მთელი მისი ცხოვრების არსი, მისი უმთავრესი საფიქრალ-საზრუნავი. დაკისრებული პასუხისმგებლობის გაცნობიერებამ მისდაუნებურად გახადა იგი მომთხოვნი, მკაცრი, ამავე დროს – ყურადღებიანი, გულისხმიერი. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ყოფილიყო. თავს ევლებოდა, იცავდა, აცოცხლებდა ხელნაწერებს. იგი იყო ამ უპირველესი ეროვნული საგანძურის მოჭირნახულე, ქომაგი, მცველი, პატრონიც

და ჭირისუფალიც. არავის პატიობდა დაუდევრობას, უყურადღებობას, ზერელობას. ვერ ისვენებდა, როდესაც რომელიმე ხელნაწერს რამე საშიშროება ემუქრებოდა. ამ დროს საოცრად პრინციპული, შეუვალი ხდებოდა, არ ზოგავდა თავის ჯანმრთელობას, სამსახურებრივ მდგომარეობას. მოკრძალებულად ურჩევიათ ახლობლებს, თანამდგომებს, მეგობრებს, იქნებ, შელეოდა დირექტორობას, რომელიც, სხვა თუ არაფერი, როგორც მკვლევარს კოლოსალურ დროსა და ენერგიას ართმევდა. ვერა და ვერ შეეღია, ვიდრე საიმედო შემცვლელი არ გამოუჩნდა.

ხელნაწერთა ინსტიტუტი იყო მთელი მისი სიცოცხლე, სიყვარული, შეუცვლელი ოჯახი. აქ მან მრავალი შესანიშნავი მკვლევარი შემოიკრიბა თავის გარშემო. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ნატალია ორლოვსკაია, ივანე გიგინეიშვილი, სხვა გამოჩენილი მეცნიერები. უდიდეს პატივს სცემდა კორნელი კეკელიძეს (1879-1962), ალექსანდრე ბარამიძეს (1902-1994), რომლის ყოფილი ასპირანტიც იყო. ყოველმხრივ განადიდებდა ხელნაწერთა ინსტიტუტის მძლავრ სამეცნიერო-კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებაში დირექტორის პოსტზე თავისი წინამორბედის, ილია აბულაძის (1901-1968) ამაგსა და დამსახურებას. მისი დაწყებული საქმის მხოლოდ უბრალო გამგრძელებლად მიაჩნდა თავი. მუდამდღე სანთლით ეძიებდა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, მოთმინებით ზრდიდა ნიჭიერ, პერსპექტიულ ახალგაზრდებს, ამზადებდა მათ დიდი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

მისმა დიდმა სამეცნიერო ინტერესებმა და ფართო კულტურულმა თვალსაწიერმა უამრავი უცხოელი მეცნიერი-მეგობარი შესძინა ინსტიტუტს სხვადასხვა ქვეყანაში. ქართული მეცნიერების ერთგული მეგობრები, გულშემატკივრები – მიშელ ვან ესბროკი, კარლ ჰორს შმიდტი, ბერნარ უტიე, შარლ რენუ ხშირად სტუმრობდნენ საქართველოს, ინსტიტუტს, ელენე მეტრეველის ოჯახს.

განსაკუთრებული, მისთვის ლამაზი და მშვენიერი ცხოვრებით იცხოვრა. უწინარესად სამეცნიერო ინტერესები ამოძრავებდა. მხოლოდ სულიერება აახლოებდა ადამიანებთან. საყოფაცხოვრებო საკითხებზე არ იხარჯებოდა, ამას დროის უქმად კარგვად თვლიდა. ერთგულება სჩვეოდა. საოცრად ყურადღებიანი გახლდათ ახლობლებისადმი, ოჯახის წევრებისადმი. საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინება-ლონისძიებებიდან დაბრუნებულს, არასოდეს ავიწყდებოდა დის შვილიშვილები – მათა და თამარ ლორთქიფანიძეები, სათამაშოებით, საჩუქრებით ახარებდა მათ.

ბედის ირონია გახლდათ: მოსკოვში ერთ-ერთი მივლინებისას მიღებულმა საბედისწერო ტრავმამ სიცოცხლის ბოლო წლები გაუნაცრისფრა და ბევრი რამ შეცვალა მის ცხოვრებაში... შორს წასულ ჰემატომას ვერ უშველეს ვერც თბილისში, ვერც – გერმანიასა და საფრანგეთში. სიცოცხლის ბოლო წლებში თვალისჩინი მთლიანად დაკარგა.

პესიმისტი არასოდეს ყოფილა. ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო არასოდეს უწუწუნია, არავინ შეუწუხებია, არც – ერთადერთი და, ქეთევანი,

რომელიც ჩინწართმეულს სათუთად უვლიდა, პატრონობდა. არასოდეს დაუკარგავს სიმშვიდე, მუდამ სულიერად გაწონასწორებულს. ეგ იყო მხოლოდ – ყველასაგან აღიარებული ავტორიტეტი რაღაცნაირად მორჩილი გახდა, თუმცა, კვლავ განაგრძობდა თავის საქმეს: ინსტიტუტის თანამშრომლებს არა მხოლოდ კარნახობდა თავის უკანასკნელ მეცნიერულ გამოკვლევებს, არამედ კვლავინდებურად ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ჯგუფებს, ფასდაუდებელ კონსულტაციებს უწევდა ქართველ და უცხოელ ქართველოლოგებს. არაფერი გამოჰპარვია, არაფერს გამოკლებია.

მხარში ედგა მთელი ინსტიტუტიც, სიცოცხლის ბოლომდე ერთგულობდნენ თანამშრომლები, მეგობრები, მოწაფეები, კოლეგები. ისინი მოდიოდნენ, ეკითხებოდნენ, რჩევას სთხოვდნენ. ისიც უმურველად უნაწილებდა ყველას წლების განმავლობაში დაგროვილ ცოდნას, გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდა კოლეგებს. იშვიათი მეცნიერული ალლო არასოდეს ღალატობდა, ნათელი გონება ელვის სისწრაფით მუშაობდა, ყველაფერს ხედავდა მისი სული.

თავმდაბალი იყო ყველასთან, არ უყვარდა, როდესაც ტიტულებით იხსენიებდნენ. სიცოცხლეს ულამაზებდა იუმორი.

* * *

ძალიან მდიდარია აკადემიკოს ელენე მეტრეველის მეცნიერული მემკვიდრეობა. იგი იყო ღრმად განსწავლული, ერუდირებული, მრავალმხრივი ინტერესებისა და ფართო თვალსაწიერის მეცნიერი,

საზოგადო მოღვაწე, მეცნიერების გამოჩენილი ორგანიზატორი და დიდი მამულიშვილი. იგი იკვლევდა ქართული ფილოლოგიის, ქართულ-ბიზანტიური, ლიტერატურული ურთიერთობების, ლიტერატურათმცოდნეობის, არქეოგრაფიის, კოდიკოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის საკითხებს. თავისი მრავალწლოვანი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა ამ დარგების განვითარებაში. იგი ავტორია ასოცდაათი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის, თხუთმეტი მონოგრაფიაა.

ახალგაზრდა მკვლევარმა მოღვაწეობა დაიწყო მაშინ, როდესაც მარი ბროსეს (1802-1880), იოსებ ყიფშიძის (1882-1919), ივანე ჯავახიშვილის (1876-1940), კორნელი კეკელიძის (1879-1962), აკაკი შანიძის (1887-1987), გიორგი წერეთლის (1904-1973), გიორგი ახვლედიანის (1887-1973), არნოლდ ჩიქობავასა (1898-1985) და სხვა დიდ მეცნიერთა მიერ ახლად საფუძველჩაყრილი ქართველოლოგიის წინაშე მთელი სიმწვავეთ იდგა ქართული წერილობითი ძეგლების მიკვლევა-მოძიებისა და მათი სისტემური მეცნიერული შესწავლის ამოცანა. 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღიდან ამ მიმართულებით ფართოდ გაშლილი ოცდაათწლიანი მუშაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი ქართულ ხელნაწერთა საერთო რაოდენობაც კი, შედგენილი იყო მხოლოდ ზოგიერთი ფონდის ნაწილობრივი კატალოგები: თედო ჟორდანიას მიერ 1902-1903 წწ.-ში გამოქვეყნებული საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა (ამჟამად ხელნაწერთა

ეროვნული ცენტრის ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A კოლექციის) აღწერილობის ორტომეული, რომელსაც 1908 წელს მოსე ჯანაშვილის მესამე ტომიც დაემატა; აგრეთვე, 1902-1912 წწ.-ში გამოცემული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების S კოლექციის) ექვთიმე თაყაიშვილისეული კატალოგის ორტომეული.

ამიტომაც ელენე მეტრეველი იმთავითვე დიდ ყურადღებას უთმობდა ლიტერატურული ძეგლების მოძიებას, მათ მეცნიერულ შესწავლასა და ანალიზს. არქეოგრაფიული ხასიათისა იყო მისი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი: „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი <H-1661> (მეცნიერული აღწერილობის ცდა)“, აგრეთვე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ 1951 წელს გამოცემულ „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი“ დასტამბული მისი გამოკვლევები.

ფართო საარქეოგრაფიო-სარედაქციო მუშაობის ფონზე, 1960 წელს ერევანში გამართულ არქეოგრაფიის, პალეოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები-სადმი მიძღვნილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიისა და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთობლივ სამეცნიერო სესიაზე მეცნიერი კითხულობს მიმოხილვითი ხასიათის მოხსენებას საზღვარგარეთ არსებულ ქართულ ხელ-

ნაწერთა შესახებ, სადაც მეცნიერულად აფასებს სინის მთის, გრაცის, ათონის ქართველთა მონასტრისა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავებში დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციების ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობას.

ელენე მეტრეველმა თავადვე შეადგინა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კატალოგები, რომლებიც, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოქვეყნებულა. მანვე მოამზადა დასაბეჭდად ზემოაღნიშნული საპატრიარქო წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების ნიკო მარისეული მოკლე აღწერილობა. ხელნაწერთა ინსტიტუტი მისი ხელმძღვანელობით გამოსაცემად ამზადებდა ამ ხელნაწერთა სრულ აღწერილობასაც, მაგრამ მისი დასტამბვა მეცნიერის სიცოცხლეში ვეღარ მოესწრო.

ასეთ მიზანმიმართულ, ყოველდღიურ, დაუღალავ შრომასთან ერთად, ელენე მეტრეველი დიდ ორგანიზატორულ მუშაობასაც ეწეოდა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შედგა, გამოსაქვეყნებლად მომზადდა და დაისტამბა საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერების ფუნდამენტური მეცნიერული აღწერილობები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ასეთ აღწერილობათა 34 ტომიდან იგი თავად იყო სამი ტომის – თანაშემდგენელი, შვიდი ტომის – თანაშემდგენელი და

რედაქტორი, ცამეტი ტომის – რედაქტორი. ამ წიგნებიდან მრავალს ერთვის მისივე წინასიტყვაობა, სადაც წარმოჩენილია საკვლევ კოლექციათა მეცნიერული მნიშვნელობა და დასახულია მათში წარმოდგენილ ლიტერატურულ წყაროთა შემდგომი ფილოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული კვლევა-ძიების ძირითადი მიმართულებანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ელენე მეტრეველი არ კმაყოფილდებოდა მოძიებული ლიტერატურული ძეგლების კვლევის მხოლოდ პრაქტიკული პრობლემებით. იგი თვითონვე აყალიბებდა ხელნაწერთა აღწერის მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ტაშკენტში 1964 წელს გამართულ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის კონფერენციაზე სწორედ ამ საკითხზე წაიკითხა მოხსენება „О принципах описания рукописей“, რომლის ტექსტი, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოქვეყნებულა.

თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემებში ფართო განსწავლულობამ და უშუალოდ პირველწყაროებზე მრავალწლოვანმა ტიტანურმა მუშაობამ საშუალება მისცა, გამოეველინა მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტები და მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე ზუსტად განესაზღვრა მათი ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის საქართველოს საზღვრებს გარეთ – ათონისა და სინის მთებზე, სირიასა და პალესტინაში – არსებული ქართული ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ცენტრების, იქ დაცულ ხელ-

ნაწერთა შესწავლასა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული კულტურების ურთიერთგამდიდრების საქმეში მათი მნიშვნელობის წარმოჩენაზე.

სირია-პალესტინის ქართულ სავანეთა კვლევისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა მის მონოგრაფიას „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.)“. ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ტიშენდორფისეული უაღრესად მნიშვნელოვანი ნუსხის აღმოჩენამ მკვლევარს საშუალება მისცა, დაედგინა იერუსალიმის სვინაქსრის აღაპების კრიტიკული ტექსტი, რომელსაც ადრე მეცნიერები წმინდა ქალაქის ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავის ორ ნუსხაზე დამყარებული ნიკო მარისეული გამოცემის მიხედვით იცნობდნენ. მონოგრაფიაში ახლებურად არის დათარიღებული უამრავი აღაპი და ნათელი ეფინება პალესტინის ნაკლებად შესწავლილი ან, საერთოდ, უცნობი ქართული სკრიპტორიუმების ისტორიის მრავალ საკითხს.

სირია-პალესტინის ქართულ მონასტრთა ყოფაცხოვრებისა და, საზოგადოდ, წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის სხვა მრავალი უცნობი ფაქტი გამოვლენილი და მეცნიერულად შეფასებულია, ასევე, ნაშრომებში: „მეგლი ერისთავთას“ ერთი ადგილის გაგებისათვის“, „იერუსალიმის ერთი ხელნაწერის გამო“, „დერტავისა და დერტუფას ხელნაწერების ირგვლივ (კოდიკოლოგიური შენიშვნები)“, „Jer. 14 ხელნაწერის ანდერძის გაგებისათვის“.

ზემოაღნიშნულ მონოგრაფიაში, აგრეთვე, ნაშრომებში „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი <H-1661> (მეცნიერული აღწერილობის ცდა)“ და „ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით“ მეცნიერმა პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე გამოავლინა იერუსალიმის ლათინთა სამეფოში ქართული მონასტრებისათვის მინიჭებული მნიშვნელოვანი პრივილეგიები, ტამპლიერთა მიერ ჯვრის მონასტრისათვის გაღებული დიდი შეწირულობის ფაქტები და ამავე მონასტერში მათთვის ქართულად განწესებული მრავალი აღაპ-მოსახსენებელი. ნაშრომში „იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა“ დადგენილია წმინდა ბასილის, წმინდა თეოდორესა და წმინდა ნიკოლოზის მონასტრების აშენების თარიღები. სტატიაში „ვინ ააშენა იერუსალიმის თეკლას მონასტერი?“ დასაბუთებულია, რომ ამ სავანის კედლის წარწერაში მოხსენიებული ჯვარისმამა, ქაიხოსრო ზედგენიძე და ტიმოთე გაბაშვილის მიერ მოხსენიებული ჯვარისმამა, ქრისტეფორე ზედგენიძე ერთი და იგივე პიროვნება იყო, რომელმაც ააშენა თეკლას მონასტერი, გალავანი და სენაკი.

პალესტინური წარმოშობის ქართულ ხელნაწერთა მოსახსენებლების, ანდერძებისა და მინაწერების შესწავლის საფუძველზე სირია-პალესტინის ისტორიულ-კულტურულ არეალში ელენე მეტრეველმა აღმოაჩინა მანამდე უცნობი ორი ქართული მწიგნობრული კერა. პირველს ეძღვნება გამოკვლევა: „შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში“, სადაც დიდი

ყურადღება ეთმობა მისი დამაარსებლის, გაბრიელ შეჰანელის პიროვნებასა და თავად ამ სავანის მჭიდრო ლიტერატურულ ურთიერთობას იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერთან.

ელენე მეტრეველის მიერ აღმოჩენილი მეორე ქართული კულტურული კერა სირიაში, შავ მთაზე მდებარე ძელი ცხოველის ქართული ეკლესია და მასთან დაკავშირებული სკრიპტორიუმია. სალიტერატურო წყაროების ზუსტი ანალიზის საფუძველზე გამოთქმული მეცნიერის ეს ჰიპოთეზა სავსებით დაადასტურა ვახტანგ ჯობაძის მიერ ანტიოქიაში ჩატარებულმა გათხრებმა, რომლის შედეგები გამოქვეყნებულია მისსავე ნაშრომში „Archaeological investigations in the region west of Antioch on-the-Orontes“ (Stuttgart, 1986). ამ საკითხისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში „შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში“ ელენე მეტრეველმა დამაჯერებლად განსაზღვრა შავი მთის ქართულ მონასტერთა კულტურული ორიენტაცია და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ორი კოდექსის ანდერძთა შესწავლის საფუძველზე დაადგინა ძელი ცხოველის ეკლესიის მაშენებელთა და იქ მოღვაწეთა ვინაობა.

მეორე ისტორიულ-კულტურული არეალი, რომელსაც ელენე მეტრეველი ათწლეულების განმავლობაში იკვლევდა, ათონის მთაზე მდებარე ივერთა სახელგანთქმული მონასტერია. მართალია, სირია-პალესტინის ქართული კერებისაგან განსხვავებით, ამ სავანეს თითქმის დაარსების დღიდანვე ჰყავდა მემატიაწეები და, ამდენად, მისი ისტორიაც შედარებით

უკეთ იყო შესწავლილი, მაგრამ გამოჩენილი მეცნიერის სისტემურმა არქეოგრაფიულმა კვლევამ ნათლად აჩვენა, ამ თვალსაზრისით რამდენი რამ იყო ჯერ კიდევ დასადგენი. გამოკვლევაში „საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი“ გაანალიზებულია ჯვრის მონასტრის ერთი ჰაგიოგრაფიული კრებული, რომელიც შავი მთის, ათონის ივირონისა და ჯვრის მონასტრის ქართველმა მოღვაწეებმა შეადგინეს; ნაჩვენებია, თუ როგორ შეთანხმებულად და გეგმაზომიერად იღვწოდნენ საზღვარგარეთის სავანეებში ქართველი მწიგნობრები იმისათვის, რათა მათი მშობლიური კულტურა იმდროინდელი მსოფლიო სტანდარტების დონეზე ყოფილიყო. სტატიაში „ათონის ერთი ალაპის გაგებისათვის“ ბასილწმიდის მონასტრის ბერის, ფანტინეს ალაპის ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია ივერთა მონასტრის ისტორიისა და ათონური სამართლის ერთი კონკრეტული საკითხი. XI ს.-ის ქართული წყაროების მიხედვით იოასაფის საგალობლისა და მისი მოსახსენებლის ისტორიის წმინდა ფილოლოგიურ საკითხებს ეძღვნება გამოკვლევა „Du nouveau sur l' *Hymne de Ioasaph*“.

1982 წელს თბილისში, ათონის ქართველთა მონასტრის დაარსების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში „Le rôle de l'Athos dans l'histoire de la culture géorgienne“

ელენე მეტრეველმა შეაფასა ამ ქართული სავანის მნიშვნელობა ქართული და, საზოგადოდ, აღმოსავლური ქრისტიანული კულტურისათვის.

ივირონის ისტორიის სპეციფიკური საკითხებია განხილული მეცნიერის მრავალ ნაშრომში. მოხსენებაში „ათონის ქართველთა მონასტრის (ივირონის) წინამძღვრის დადგენის წესები“, რომლის სრული ვარიანტი დაიბეჭდა ჯერ ფრანგულ („Les normes pour l'installation d'un supérieur au monastère des Ibères au Mont Athos (X^e-XI^e siècles“), ხოლო შემდეგ ქართულ („ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგენის წესები (X-XII სს.)“) ენებზე, მკვლევარმა ნათელი მოჰვინა 981-983 წწ.-ში იოანე-თორნიკეს მიერ ათონზე ჩორდვანელთა სახლის საგვარეულო მონასტრად აშენებულ ქართველთა სავანეში წინამძღვრის დადგენის ქტიტორულ წესს, რომელიც ჩორდვანელთა განსაკუთრებულ პრივილეგიებსა და სავანის თვითმყოფობას იცავდა, თუმცა, 1042 წელს, ქტიტორული მონასტრის საერთო-ქართულ მონასტრად გადაქცევასთან დაკავშირებით, ეს წესი საგრძნობლად შეიცვალა. ივირონის ისტორიის მიმოხილვის ფონზე მკვლევარმა თანმიმდევრულად აჩვენა, მონასტერში თავდაპირველად მენავეებად და ხელოსნებად, ხოლო შემდეგ კრებულის წევრებად შეღწეულმა ბერძნებმა მრავალსაუკუნოვანი გააფთრებული ბრძოლის შედეგად თუ როგორ შეზღუდეს მონასტერში ქართველთა უფლებები და საბოლოოდ როგორ დაეპატრონენ მას.

გამოკვლევაში „Сведения Афонского синодикона об игуменах Бачковского монастыря и о Бакурианах“ ივირონის საალაპე წიგნის რამდენიმე აღაპის დათარიღებისა და ანალიზის საფუძველზე მეცნიერმა თვალნათლივ წარმოაჩინა ძმების - აბაზ და გრიგოლ

ბაკურიანების, კურაპალატ სუმბატ-საბა ბაკურიანისა და მისი მეუღლის, კალე-მარიამის, აგრეთვე, გიორგი მაგისტროსისა და პეტრიწონის ქართველთა მონასტრის სამმოს ძალისხმევა XI ს.-ის უკანასკნელ მეოთხედში, დახმარება აღმოეჩინათ ეკონომიკურად და პოლიტიკურად შეჭირვებული ივირონისათვის. გამოკვლევაში „იოვანე და ეფთვიმე ათონელებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნები“ ლიტერატურული პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე ეტაპობრივად არის გაშუქებული ის დიდი ფილოლოგიურ-კულტურული მუშაობა, რომელიც იოვანე იბერისა და მისი ძის, ეფთვიმე მთაწმიდლის, თანამოღვაწეებმა გასწიეს იმისათვის, რათა შთამომავლობისათვის პირუთვნელად წარმოეჩინათ მამა-შვილის ზნეობრივი სახე, მათი ღვაწლი საქართველოს ეკლესიისა და სამეფოს კულტურულ და ზნეობრივ ამაღლებაში. ნაშრომში, ამასთან ერთად, გაშუქებულია ივირონში ბერძენთა და ქართველთა დაპირისპირების ეთნიკური, სააღმსარებლო, იდეოლოგიური და ეკონომიკური ასპექტები.

ქართველი მეცნიერის დიდმა საერთაშორისო ავტორიტეტმა განაპირობა ის ფაქტი, რომ 1976 წელს ივირონის ბერძნულენოვანი აქტების გამოცემისა და კომენტარებისათვის იგი სათანამშრომლოდ მიიწვია პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის შემსწავლელმა ცენტრმა. უკვე გამოცემულია დოკუმენტების ოთხი ტომი, რომლებიც მოიცავს ამ მონასტრის ისტორიას დაარსებიდან (983 წლიდან) XVI ს.-ის დასაწყისამდე, სადაც ელენე მეტრეველმა გაშიფრა და კომენტარები დაურთო ამ საბუთების უამრავ ქარ-

თულ მინაწერს. ათონის ივერთა მონასტრის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტების მართებული ინტერპრეტაციით მან გაარკვია ამ უმნიშვნელოვანესი კულტურული კერის ისტორიის მრავალი პრობლემა.

მეცნიერის მრავალწლოვანი მუშაობის ბრწყინვალე დაგვირგვინებაა ორი ფუნდამენტური მონოგრაფია. „ნარკვევებში ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან“ სისტემურად არის შესწავლილი ათონის სალიტერატურო სკოლა, მის ქართველ მწიგნობართა, მათ შორის – ნაკლებად ან საერთოდ უცნობ მოღვაწეთა საქმიანობა და დასახულია ამ მიმართულებით შემდგომი კვლევის ფართო პერსპექტივა. „ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში“ გამოქვეყნებული და სკრუპულოზურად გაანალიზებულია ივირონის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი ალაპთა კრებული, დათარიღებულია მასში დაცული ისტორიული რეალიები, რითაც ნათელი ეფინება დღემდე უცნობ მრავალ საკითხს.

განუზომელია საზღვარგარეთ არსებული ძველი ქართული კულტურული სავანეებისადმი მეცნიერის მიერ მიძღვნილი გამოკვლევების მნიშვნელობა არა მხოლოდ საკუთრივ ქართული კულტურის, არამედ, საზოგადოდ, ბიზანტიური და ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლისათვის. ადოლფ ჰარნაკისა და კორნელი კეკელიძის კვალდაკვალ ელენე მეტრეველის ნაშრომები უდავოდ მოწმობს, რომ ქართული სამწერლობო კერების ისტორიის შესწავლა არა მარტო ნათელს ჰფენს ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურის, ისტორიის, სამარ-

თლებრივი მოწყობის, პალეოგრაფიისა და კოდიკოლოგიის უმნიშვნელოვანეს ფაქტებსა და პირველწყაროებს, არამედ თვალნათლივ გვიხატავს იმასაც, თუ რა მრავალფეროვანი, მრავალხმიანი იყო იმდროინდელი აღმოსავლეთი და რაოდენ მჭიდრო – ურთიერთობა, თუმცა, ხშირად, უთანხმოება და წინააღმდეგობაც არსებობდა სხვადასხვა ეთნიკურ, აღმსარებლობით თუ სოციალურ ჯგუფს შორის. ამიტომაც, ნაკლული და ცალმხრივი იქნებოდა ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის ისტორიის შესწავლა ქართული სამწერლობო კერების ისტორიის გათვალისწინების გარეშე.

ელენე მეტრეველის საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობით გამოკვლევებში უწინარესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სასულიერო ლიტერატურის შესწავლას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ადრებიზანტიური პერიოდის ჰიმნოგრაფიაზე ითქმის. მეცნიერი იკვლევდა ბერძნულ ძლისპირებსა და მათ ქართულ რედაქციებს. ნაშრომებში: „ბერძნული ძლისპირების უძველესი ქართული თარგმანები“, „Древне-грузинский Ирмологий“, «ძლისპირთა ქართული კრებულები და მათი მნიშვნელობა ბერძნული „ირმოლოგიონის“ შესწავლისათვის», „Древние редакции грузинского Ирмология“ გარკვეულია ბერძნულ ძლისპირთა ქართული თარგმანების ისტორია, კულტურული გარემო, „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ განვითარების ძირითადი ეტაპები, მისი სტრუქტურული და შინაარსობრივი სპეციფიკა ბერძნულ და სლავურ ირმოლოგიონებთან მიმართებით, აგრეთვე, ორი

სხვადასხვა OdO და KaO ტიპების ბერძნული ირმოლოგიონების ჩამოყალიბების ქრონოლოგიური მიჯნები, გამოვლენილია კანონთა ძლისპირების ბერძნული დედნების თავდაპირველი სახის აღდგენის, VIII-IX სს.-ში ბერძნული სიტყვების ტრანსკრიბირების საკითხის შესწავლისა და ძლისპირთა ქართულ თარგმანთა რედაქციების გამოკვეთის სამომავლო პერსპექტივები. ეს მრავალწლოვანი კვლევა-ძიება დაგვირგვინდა მეცნიერის საყოველთაოდ აღიარებული ნაშრომით „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი (ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით)“, სადაც დადგენილია საკვლევი ძეგლის KaO და OdO ტიპების კრიტიკული ტექსტი და ფორმირების ეტაპები, შესწავლილია მისი მიმართება ბერძნულ ორიგინალთან და ანალოგიურ ძველ სლავურ კრებულებთან, გაშუქებულია ბიზანტიური და ქართული პოეზიის სათავეები. ნაშრომის რუსულ ენაზე შესრულებული ვრცელი რეზიუმე 1975 წელს ფრანგულად თარგმნა ბერნარ უტიემ.

ქართული სალიტერატურო წყაროების მიხედვით ბერძნული ირმოლოგიონის ისტორიის სრულყოფილი წარმოჩენა გახდა, საერთოდ, ქართული ლიტურგიკული წყაროების კომპლექსური შესწავლის პირველი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისათვის ჰიმნოგრაფიული ძეგლების ძველი ქართული თარგმანების მნიშვნელობის წარმოჩენას, განსაკუთრებით, მის უძველეს პერიოდში, მეორე მხრივ – ქართული კულტურის ისტორიაში საკუთრივ ქართული

ორიგინალური ჰიმნოგრაფიის როლისა და ადგილის განსაზღვრას.

უძველესი იერუსალიმური ღმრთისმსახურების პრაქტიკისა და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის ჰიმნოგრაფიული ძეგლების ძველი ქართული თარგმანების მნიშვნელობის გარკვევას ეძღვნება ელენე მეტრეველის მიერ თბილისში 1975 წელს მედიევისტთა საკავშირო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება „Грузинские литургические памятники и вопросы грузинской и греческой гимнографии“, აგრეთვე, ათენში 1976 წელს ბიზანტინისტთა XV საერთაშორისო კონგრესზე და 1977 წელს ერლანგენში გერმანელ ორიენტალისტთა XX სემინარზე წაკითხული მოხსენება, რომლის ფრანგული რედაქცია („Les manuscrits liturgiques géorgiens du IX^e-X^e siècles et leur importance pour l'étude de l'hymnographie byzantine“) 1978 წელს დაიბეჭდა პარიზში გამოცემულ ჟურნალში „Bedi Kartlisa“ და 1981 წელს – კონგრესის მასალებში, გერმანული კი („Die georgischen Liturgie-Handschriften des 9. und 10. Jahrhunderts und ihre Bedeutung für die Erforschung der byzantinischen Hymnographie“) – 1980 წელს გამოცემულ სემინარის მასალებში. ამავე საკითხს უბრუნდება ელენე მეტრეველი თბილისსა და გელათში 1979 წელს წაკითხულ მოხსენებებში „Древнейший Иадгари и его значение для изучения византийской гимнографии“ და „Из истории византийской гимнографии“.

• უძველესი იერუსალიმური ჰიმნოგრაფიის მიზანმიმართული კვლევა დაგვირგვინდა ელენე მეტრეველის ხელმძღვანელობით ავტორთა

კოლექტივის (ელ. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი) მიერ 1980 წელს X ს.-ის ხელნაწერთა მიხედვით „უძველესი იადგრის“ გამოცემით, რომელიც VII-IX სს.-ის იერუსალიმურ ღმრთისმსახურებაში მთელი ლიტურგიკული წლის განმავლობაში გამოყენებული პოეტური ტექსტების ძველი ქართული თარგმანებია. ქართული კულტურის ამ უნიკალური ლიტერატურული ძეგლის გამოცემამ, ერთი მხრივ, შეავსო უძველესი პერიოდის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და ლიტურგიკული წლის ისტორიაში არსებული დიდი ხარვეზი, მეორე მხრივ, მისმა სწორმა, მრავალმხრივმა და საფუძვლიანმა მეცნიერულმა ანალიზმა სრულიად ახალი საფეხური შექმნა ქართული სულიერი კულტურის შესწავლაში. ასეთი დიდი ღირსების გამო წიგნი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. ნაშრომი, რომლის ფრანგული რეზიუმე გადაიბეჭდა ჟურნალში „Bedi Kartlisa“, მეცნიერთა ფართო წრეებისათვის ცნობილი გახდა ერთი წლის შემდეგ, 1981 წლის ოქტომბერს ვენაში გამართულ ბიზანტინისტთა XVI საერთაშორისო კონგრესზე, სადაც ელენე მეტრეველი „უძველესი იადგრის“ გამომცემელთა სახელით სპეციალური მოხსენებით წარსდგა.

გვიანდელი ქართული ჰიმნოგრაფიის პრობლემებს ეძღვნება მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომი „მიქაელ მოდრეკილის იადგარი“, სადაც გამოთქმულმა მოსაზრებებმა დადასტურება ჰპოვა სხვა მკვლევართა შემდგომდროინდელ ნაშრომებში. სტატიაში „ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში (ტექსტები და გამოკვლევა)“ წარ-

მოჩენილია გიორგი მთაწმიდლის მთარგმნელობითი მოღვაწეობის გეგმაზომიერი ხასიათი და მისი მთარგმნელობითი მეთოდის ლიტერატურული თავისებურებანი.

მეცნიერი წლების განმავლობაში უშუალოდ წარმართავდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფის მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავდა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანების შესწავლას. ჯგუფი შეიქმნა XX ს.-ის 80-იან წლებში, როდესაც ბელგიელმა მეცნიერმა, პროფესორმა ჟუსტინ მოსემ წინადადებით მიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, გრიგოლის თხზულებათა ქართული თარგმანების პუბლიკაცია „Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica“ კაპადოკიელი მამის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში უშუალოდ ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადებულიყო. ლუვენ-ლა-ნევეში 1981 წელს, გრიგოლ ნაზიანზელისადმი მიძღვნილ მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე, სადაც დადგინდა ზემოაღნიშნულ თარგმანთა გამოცემის პრინციპები, გ. ლაფონტენმა წაიკითხა მისი და ელენე მეტრეველის ერთობლივი გამოკვლევა „Les versions copte, arménienne et géorgiennes de saint Grégoire le Theologien. État des recherches“, რომელშიც წარმოჩენილია საკითხის შესწავლის მდგომარეობა და გაანალიზებულია შემდგომი კვლევის პერსპექტივები.

ელენე მეტრეველი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ესწრებოდა სიმპოზიუმს. ამიტომ გ. ლაფონტენი 1981 წლის 1-ლ ოქტომბერს მას აცნობებდა:

„[...] ხელნაწერთა ინსტიტუტი და მისი სახელგანთქმული დირექტორი ფიზიკურად არა, [მაგრამ სულიერად] ჩვენ შორის იყო. [...] გავცანი თქვენს სამუშაო დოკუმენტს ქართული ვერსიების შესახებ და თქვენ მიერვე წამოჭრილ ყველა პრობლემას; თავს უფლება მივეცი, შემეჯამებინა და აუდიტორიისათვის გასაგებად წარმომეჩინა თქვენი უაღრესად საინტერესო ინფორმაცია [...] სიმპოზიუმს ოფიციალურად გავაცანით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წერილი, [სადაც გამოთქმულია თანხმობა] გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა გამოცემის საერთაშორისო პროექტში ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლობის შესახებ. ცნობამ უდიდესი აღტაცება და პატივისცემა გამოიწვია [...]“.

ზემოაღნიშნული პროექტის შედეგები აისახება ელენე მეტრეველის უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მომზადებულ გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკულ ჰომილიათა შვიდტომეულში, რომელსაც დამატებით ტომებად ერთვის ამ თარგმანთა ისტორიისა და ლიტერატურული თავისებურებებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია ინგლისურ ენაზე, გრიგოლის თხზულებების თარგმანთა ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული ლექსიკონი, აგრეთვე, არალიტურგიკულ ჰომილიათა და მათი კომენტარების გრიგოლ ოშკელისეული, დავით ტბელისეული, ეფთვიმე ათონელისეული და ეფრემ მცირისეული თარგმანები. დღემდე გამოცემულია ჰომილიათა პირველი ხუთი ტომი ფრანგული შესავლით, ზოგიერთ ტექსტს ერთვის

ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირისეული პარალელური ქართული თარგმანები კომენტარითურთ ფრანგულ ენაზე და ბერძნულ ორიგინალთან დამოკიდებულების ამსახველი ლიტერატურული მასალა.

მეცნიერის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც უმდიდრესი ქართული საერო ლიტერატურა. 1965 წელს მან ვრცელი შესავალი წერილი დაურთო მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ ბიძინა აბულამისეულ რუსულ თარგმანს. მასვე ეკუთვნის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეულში „აბდულმესიანისადმი“ მიძღვნილი თავი, სადაც ახალი თვალსაზრისია გამოთქმული პოემის დაწერის ისტორიული საბაზისა და, აქედან გამომდინარე, ნაწარმოების დათარიღების შესახებ, რაზედაც უშუალოდ არის დაკავშირებული მისი ავტორისა და მხატვრული რაობის პრობლემები.

კლასიკური პერიოდის საერო მწერლობის შესახებ მისი გამოკვლევებიდან უაღრესად ფასეულია შოთა რუსთველისა და მისი პოემისადმი მიძღვნილი ნაშრომები. სტატიაში «ტიმოთე გაბაშვილი შოთა რუსთველის შესახებ („მიმოსლვის“ ავტოგრაფების მიხედვით)» მან პირველმა გადასინჯა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გაბატონებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ეს მოღვაწე რუსთველის შემოქმედების შეფასებაში თანმიმდევარი რეაქციონერი იყო. 1960 წელს პალესტინაში ქართველ მეცნიერთა საგანგებო მივლინებისა და შოთა რუსთველის ფრესკის აღმოჩენის შესახებ საქართველოში გაჩაღებულ კამათს ეძღვნება მისი სამეცნიერო-პუბლიცისტური წერილები:

„Еще раз о могиле Шота Руставели“ და Фреска рассказывает о многом”. მეტად მნიშვნელოვან აღმოჩენას შეიცავს მისი ნაშრომი „მენიშვნები შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპისა და შოთა რუსთველის ფრესკის ირგვლივ“, სადაც მკვლევარმა პირველმა დაადგინა ჯვრის მონასტრის ალაპთა წიგნში შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენებლის თარიღი და საბოლოოდ დაასაბუთა შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტურობა. სამეცნიერო-პუბლიცისტურ წერილში „ქვაბისხევის ფრესკის გარშემო. წერილი რედაქციას“ (თანაავტორები: ალ. ბარამიძე, შ. ძიძიგური) 1980 წელს, პირადად მისი მონაწილეობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ქვაბისხევის ხეობაში მივლინებული სპეციალური კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად, სრული ობიექტურობითა და კომპეტენტურობით დაასაბუთა, რომ IX ს.-ის წმინდა მარიამის ბაზილიკის სამხრეთის ნაგებობაში გამოსახული ორი მლოცველის XII-XIII სს.-ის ფრესკებისათვის დართულ წარწერაში, დღემდე არსებული მონაცემებით, შეუძლებელია სიტყვა „რუსთველის“ ამოკითხვა და მის საფუძველზე – ფრესკაზე გამოსახული შოთას შოთა რუსთველად მიჩნევა. თუმცა, მკვლევარმა იქვე საგანგებოდ აღნიშნა კედლის მხატვრობისა და თავად წარწერების შოთა რუსთველის ეპოქასთან თანადროულობა და, ამდენად, რუსთველოლოგიისათვის მათი მნიშვნელობა.

რუსთველოლოგიურ მიეზებს განეკუთვნება, აგრეთვე, ელენე მეტრეველის წერილები: „ჯვარის მონასტრის სააღაპე წიგნის უძველესი ფენის

დათარიღებისათვის“, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის (პ. რატიანის წერილის გამო)“ (თანაავტორები: ალ. ბარამიძე, ს. ჩაიშვილი) და „იძულებითი პასუხი“ (თანაავტორები: ალ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი), რომლებშიც კრიტიკულად განიხილავს ჯვრის მონასტრის ალაპთა კვლევის პავლე ინგოროყვასეულ მეთოდებს, აგრეთვე, პროკოფი რატიანის მოსაზრებებს რუსთველის ვინაობის შესახებ.

დიდია ელენე მეტრეველის წვლილი აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობის შესწავლაშიც. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევისადმი მიძღვნილი ნაშრომები. სტატიაში „მცხეთის ბიბლიის“ „იგავთა წიგნის“ წყაროების შესწავლისათვის“ გაანალიზებულია სულხან-საბას ბიბლიურ-ფილოლოგიური მეთოდი; გარკვეულია, რომ XVII ს.-ის მეორე ნახევარში, ქართველი საზოგადოების მიერ დასახული ქართული მეცნიერების დარგების განვითარების ფართო პროგრამის ფარგლებში, ბიბლიის ქართული თარგმანის გამოცემისათვის გაშლილი მუშაობისას ს.-ს. ორბელიანი სწავლობდა ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებს, უდარებდა უცხოურ ბეჭდურ გამოცემებს და ასწორებდა მათ; მას „იგავთა წიგნის“ წყაროდ გამოუყენებია XI ს.-ის პარიზის ლექციონარი, გიორგი ათონელის მიერ შედგენილი „საწელიწდო-საწინასწარმეტყველო“, ლაკუნები კი შეუვსია მის მიერვე შესრულებული ახალი თარგმანით. ამ მრავალმხრივი მოღვაწის „ლექსიკონი ქართულის“ უძველესი ავტოგრაფის აღმოჩენასა და მისი ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლას მიემ-

ღვნა ელენე მეტრეველის გამოკვლევა „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი“. მას მოსამზადებელი მნიშვნელობა ჰქონდა ლექსიკონის ილია აბულაძისეული კრიტიკული გამოცემისათვის, რომელიც ცხრა ავტოგრაფული ნუსხის მიხედვით 1965-1966 წლებში განხორციელდა.

ელენე მეტრეველი დიდ ყურადღებას უთმობდა, აგრეთვე, სულხან-საბას შემოქმედების სპეციფიკური მხატვრული ასპექტების კვლევას. ამით მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო „ქილილა და დამანას“ ქართული ტექსტის ისტორიას, რომელზედაც ქართული ლიტერატურათმცოდნეობის უცვლელი მეტრი, კორნელი კეკელიძე, არაორაზროვნად მიუთითებდა: „ქართულ ენაზე ნათარგმნ არც ერთ თხზულებას ისეთი რთული ისტორია არ აქვს, როგორც იგავ-არაკების იმ კრებულს, რომელსაც „ქილილა და დამანა“ ეწოდება“. ნაშრომში «სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის („ქილილა და დამანას“ პროზის მაგალითზე)“ (თანაავტორი: ალ. გვახარია) გამოვლენილია მხატვრული თარგმანის შესახებ სულხან-საბას მიერ გამოთქმული თეორიული შეხედულებები, გამოწვლილვითაა გაანალიზებული ვაჰზე ქაშეფის „ანვარი სოჰაილის“ ვახტანგ VI-ის (1675-1737) მიერ „ქილილა და დამანას“ სათაურით თარგმნილ ტექსტზე სულხან-საბას მიერ ჩატარებული რედაქციული მუშაობა და ცხადყოფილია, რომ ვახტანგისეულ პწკარედზე მრავალმხრივი მუშაობის შედეგად საბამ მხატვრული სული შთაბერა თხზულებას და ახალი, დამოუკიდებელი, ორიგინალის ტოლფასი

მაღალმხატვრული თარგმანი შექმნა. ეს მოსაზრება კიდევ უფრო მყარი არგუმენტებით არის განმტკიცებული სტატიაში „ისევ ქილილა და დამანას გარშემო“ (თანაავტორები: ალ. ბარამიძე, ალ. გვახარია), სადაც დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ სულხან-საბა ორბელიანის რედაქციული მუშაობა შეეხო მთელ თხზულებას და არა – მხოლოდ მის პოეტურ ნაწილს. ამ კვლევის შედეგები აისახა ალექსანდრე ბარამიძესთან ერთად განხორციელებულ „ქილილა და დამანას“ საბასეული რედაქციის აკადემიური ტექსტის გამოცემაში, რომელიც ს.-ს. ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულში შევიდა.

სტატიაში „სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი რუკა (გ. ზარდალიშვილის ერთი წერილის გამო)“ ელენე მეტრეველმა დააზუსტა, რომ 1723 წელს გ. დე ლილის მიერ პარიზში დაბეჭდილი „კასპიის ზღვის მოსაზღვრე რუკა“ არ ეკუთვნის სულხან-საბას, მასში გამოყენებულია საბასეული „ხელნაწერი მასალები“.

საყურადღებო ნაშრომები უძღვნა ელენე მეტრეველმა, აგრეთვე, სულხან-საბას აღზრდილსა და მის ლიტერატურულ თანამოდვაწეს, ქართლის მეფეს, ვახტანგ VI-სა და მის კულტურულ გარემოს. სტატიაში „ვახტანგ მეექვსე“ გაშუქებულია ამ დიდი მოღვაწის როლი ეროვნული, რეალისტური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში, ქვეყნის სახელმწიფოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ აღორძინებაში. გამოკვლევაში „ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი“ გარკვეულია მრავალი საყურადღებო ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხი:

პირველად არის გამოვლენილი და შესწავლილი გივი თუმანიშვილის პოეტური შემოქმედება, მიკვლეული და კრიტიკულად გამოცემულია „შვიდთა მთიებთა ბუნების“ თემაზე ვახტანგ VI-ის, ს.-ს. ორბელიანისა და მის მიერ დაწერილი თითო-თითო ლექსი. სტატიაში „ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი“ მეცნიერი ცხადყოფს, რომ A-160 ჰაგიოგრაფიული მასალის ერთ კრებულად გაერთიანების პირველი ცდაა, რომელშიც ჭარბობს ასურელ მამათა „ცხოვრებანი“. ამავე დროს, მკვლევარი არკვევს კრებულის შემდგენლის ვინაობას და სათანადო მასალების ანალიზით ასაბუთებს, რომ იგი არის აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1705-1741 წწ.-ში დომენტი IV (გ. 1741).

ელენე მეტრეველს ეკუთვნის, აგრეთვე, გამოკვლევა დავით გურამიშვილის შესახებ. მან სტატიაში „ერთი სადავო საკითხის ირგვლივ დავით გურამიშვილის ბიოგრაფიიდან“ დააზუსტა 1729 წელს დიდი ქართველი პოეტის მოსკოვში ჩასვლასა და იქ მის ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. კერძოდ, გარკვევა, რომ გიორგი ლეონიძის მიერ გამოვლენილ რუსეთში ჩასულ ემიგრანტთა აღრიცხვის რეესტრში მოხსენიებულია არა დავით გურამიშვილის ასული, არამედ – პოეტის მსახურის ცოლი, ხოლო დავითზე 20 წლით უმცროსი ტატიანა ვასილის ასული მისი მეორე ცოლია.

მეცნიერი წლების განმავლობაში იკვლევდა აღორძინების ხანის მნიშვნელოვანი მოღვაწის, ტიმოთე გაბაშვილის შემოქმედებასა და ცხოვრებას. 1955 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „დასავლეთ საქართველოს

1737 წლის რუკის ავტორი“ მან მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ იმერთა მეფის, ალექსანდრე V-ის (1720-1751) მიერ რუსეთის მთავრობისათვის გაგზავნილი სამხედრო-პოლიტიკური რუკის ავტორი ტიმოთე გაბაშვილია. 1956 წელს ელენე მეტრეველმა ვრცელი გამოკვლევით, კრიტიკული აპარატით, ლექსიკონითა და საძიებლებით გამოსცა ამ მოღვაწის ფუნდამენტური ნაშრომი – „მიმოსღვა“ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

გამორჩეულია ელენე მეტრეველის წვლილი XVIII-XIX სს.-ის დიპლომატიისა და მწერლის, გიორგი ავალიშვილის ცხოვრებისა და კულტურული-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა-გამომზეურებაში. მან ჯერ კიდევ 1959 წელს დასტამბა ნაშრომი „გ. ავალიშვილი – ბიბლიოფილი და კოლექციონერი“, სადაც სხვა ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად, გამოქვეყნებულია ამ მოღვაწის მიერ შედგენილი და გასაყიდად გამიზნული მისი პირადი კოლექციის ძველი ქართული კოდექსების სია, რომელიც ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობის პირველი ნიმუშია. მეცნიერმა ძველ კატალოგებში მიაკვლია გ. ავალიშვილის მიერ 1820 წელს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრიდან ჩამოტანილ ქართულ ხელნაწერთა კვალს და მიუთითა მათ ამჟამინდელ ადგილსამყოფელზე. ელ. მეტრეველმა მრავალწლოვანი კვლევის შედეგად დაადგინა და გამოსცა გ. ავალიშვილის თხზულების „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“ კრიტიკული ტექსტი ვრცელი გამოკვლევით, აპარატით, ლექსიკონითა და საძიებლებით.

ტიმოთე გაბაშვილისა და გიორგი ავალიშვილის თხზულებების საფუძვლიანი შესწავლით ელენე მეტრეველმა არა მხოლოდ სრულყოფილად წარმოაჩინა ქართული კულტურის წინაშე მანამდე ფაქტობრივად უცნობი ორი დიდი მოღვაწე, არამედ დიდი წვლილი დასდო ქართულ ლიტერატურაში მოგზაურობის ჟანრის ისტორიის კვლევასაც.

ელენე მეტრეველს ეკუთვნის წმინდა ლექსიკოგრაფიული ნაშრომებიც, სადაც განმარტებულია მრავალი ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინი, რომლებიც მეცნიერმა ღმრთისმსახურების ძეგლთა პირველწყაროების კვლევისას აღმოაჩინა. ეს ტერმინებია: „ფარაფთონი“, „მორთული“ და „სპადუგი“ („რამდენიმე ჰიმნოგრაფიული ტერმინის განმარტებისათვის“); „მეხელი“ და „მეხური“ («„მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის»); „ფარაფთონი“ და „მოსართავი“ («ჰიმნოგრაფიული ტერმინების „ფარაფთონისა“ და „მოსართავის“ გაგებისათვის»; „*La compréhension des termes hymnographiques Paraptoni et Mosartavi*“, თანაავტორი: ბ. უტიე); „ნიშანი“, „აღნიშვნა“ და „მნიშვნელი“ („რამდენიმე ჰიმნოგრაფიული ტერმინის განმარტებისათვის“; „ჰიმნოგრაფიული ტერმინი „მნიშვნელი“). ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინოლოგიის შესასწავლად გაწეული მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობა სინთეზურად არის შეჯამებული მის ნაშრომში „*О грузинской гимнографической терминологии*“. ამავე თვალსაზრისით აღსანიშნავია ძველი ქართული სამოხელეო ტერმინების განმარტებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები: „სამოხელეო ტერმინები ჩოროროდი და

ოთხმიზდური“ და „ტერმინ „ხანზამურის“ გაგებისათვის“. მკვლევარი არ კმაყოფილდებოდა მათი წმინდა ლექსიკოლოგიური მნიშვნელობის განსაზღვრით. მანამდე უცნობი, ნაკლებად ცნობილი, ანდა არასწორად გაგებული ტერმინების არსის დადგენით იგი ნათელს ჰფენდა მრავალ ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხს.

ელენე მეტრეველს ყურადღების გარეშე არ დარჩენია საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული კულტურის სხვა პრობლემებიც. შუა საუკუნეების ლიტერატურის მხატვრული სტილის განვითარების საკითხს ეძღვნება ნაშრომები „მხატვრული აღწერა კლასიკური ხანის ქართულ საერო ძეგლებში“; „ნიზამის მხატვრული მეტყველების ზოგიერთი თავისებურება“; საქართველოს ეკლესიის ისტორიას – „1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება“; ეფრემ მცირის მიერ S-1276 ხელნაწერზე გაწეული მუშაობის თავისებურებათა ანალიზს – „ეფრემ მცირის ავტოგრაფი“; XVI ს.-ში სამხრეთ საქართველოში შიდაფეოდალური ბრძოლების საკითხს – გამოკვლევა „ნავ-ყვარყვარეს უცნობი დოკუმენტი“, რომლის შემოკლებული რედაქცია ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა („Un document inconnu de Nav Kvarqvaré du monastère de l'Ivion au Mont Athos “). ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიის პირველწყაროების მრავალწლიანი კვლევის შედეგად ელენე მეტრეველმა ნათელი მოჰფინა სამცხის დიდი მთავრის, გიორგი ჩორჩანელის სახლის ორი განშტოების – ჩორდვანელთა და ჩორჩანელთა – წარმომავლობასა და ისტორიას და მრავალი ავტორიტეტული ორიენტალისტის მიერ

გაკეთებული დასკვნების საწინააღმდეგოდ, 1991 წელს მოსკოვში გამართულ ბიზანტინისტთა XVIII საერთაშორისო კონგრესზე დაასაბუთა ჩორდვანელთა სომხური წარმომავლობის შესახებ დამკვიდრებული აზრის აბსოლუტური უსაფუძვლობა. მოხსენების რუსული ტექსტი „ О ктиторах Ивирона “ 1992 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიაში, ხოლო მისი ინგლისური რედაქცია („Iviron Ktitors of the House of Chordvanieli“) – კონგრესის მასალებში, რომლებიც 1996 წელს დაისტამბა აშშ-ში.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ელენე მეტრეველს თავისი დიდი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის, ილია აბულაძის ნაშრომების გამოცემაში. მან, ც. ქურციკიძესთან ერთად, 1973 წელს დასტამბა მისი „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“. მანვე გაუწია რედაქტორობა ც. ჭანკიევის მიერ ახალი მასალებით შევსებული, ილია აბულაძის სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომების გამოცემას.

დიდია ელენე მეტრეველის წვლილი ივ. ჯავახიშვილის მიერ დაარსებული სერიის – „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ მესამე წიგნის გამოქვეყნებაშიც. მისი რედაქციით დაისტამბა წიგნის პირველი ნაკვეთის „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია“ მესამე შევსებული, წყაროებთან ხელახლა შეჯერებული გამოცემა, ხოლო მეორე ნაკვეთი, „ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“, მისი უშუალო მითითებით დასასტამბად მოამზადა და სათანადო

მეცნიერული აპარატურით აღჭურვა ვალერი სილოგავამ.

ელენე მეტრეველი გულდასმით სწავლობდა და აფასებდა დიდი ქართველი მეცნიერებისა და უცხოელი ქართველოლოგების ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მომავალ თაობას გადასცემდა მოგონებებს მათი შესანიშნავი პიროვნული და საქმიანი თვისებების შესახებ. სწორედ ასეთია ილია აბულაძისადმი მიძღვნილი სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები. ამასვე მოწმობს, აგრეთვე, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები, რომლებიც შეეხება ალექსანდრე ზარამიძის, ჟერარ გარიტის (1914-1990), მიხეილ თამარაშვილის (1858-1911), კორნელი კეკელიძის, დავით კობიძის (1906-1981), კალისტრატე სალიას (1901-1985), აკაკი შანიძის, ქრისტინე შარაშიძისა (1887-1973) და ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშიას (1931-1982) მოღვაწეობასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას; ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერისადმი მიძღვნილ ნაშრომებში წარმოჩენილია არა მხოლოდ ამ ორი დიდი მეცნიერის მისაბამი პიროვნული თვისებები და ერთმანეთთან უშუალო, მეგობრული, პირუთვნელი, ხალასი დამოკიდებულება, არამედ, რაც მთავარია, მათი ერთობლივი საზოგადოებრივ-სამეცნიერო, შემოქმედებითი გეგმები და საზოგადოებრივი ინტერესები, 1917 წელს თბილისში კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსებასა და მის მუშაობაში გაწეული ერთობლივი ძალისხმევა, 1921 წელს კი მათი საბოლოო დაშორება. ამ ნაშრომებს, ისევე, როგორც დიდ ქართველოლოგთათვის მიძღვნილ უკლებლივ ყველა

პუბლიკაციას, მაღალი პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის გარდა, განუმეორებელი პოეტური ლირიზმიც გამოარჩევს...

მაღალი აკადემიზმი, პრინციპულობა, შეურიგებლობა, სიმართლისა და ჭეშმარიტებისადმი ერთგულება, ამავე დროს, მოპაექრისადმი პატივისცემით გამსჭვალული კეთილმოსურნე დამოკიდებულება უაღრესი ობიექტურობით გამოარჩევდა მის მეცნიერულ პოლემიკას. ამის ნიმუშია რუსთველოლოგიური წერილები, რომლებშიც კრიტიკულად განხილულია პავლე ინგოროყვასა და პროკოფი რატიანის მოსაზრებები დიდი პოეტის შესახებ, ასევე, გამოკვლევა „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის“, სადაც მეცნიერულად არის გაანალიზებული საკვლევ ტერმინების შესახებ ჟ. თიბოსა და კ. კეკელიძის მოსაზრებების ნიკო მარისეული უსაფუძვლო კრიტიკა. ამასთანავე, ეს შესაშური თვისებები აიძულებდა, ხმა აემაღლებინა მაშინ, როდესაც ვინმე თავისი კოლეგის და, მით უმეტეს, უფროსი თაობისა და ამქვეყნიდან წასული მეცნიერის ადამიანურ ღირსებებს უკადრისად შეეხებოდა. სწორედ ამის გამოხატულება იყო, ალექსანდრე ბარამიძესთან ერთად, მისი მწვავე კრიტიკული გამოხმაურება რევაზ თვარაძის ერთ პუბლიკაციაზე.

მისთვის ჩვეული ობიექტურობით განიხილავდა ელენე მეტრეველი ქართველოლოგიის სფეროში გამოსულ მნიშვნელოვან ნაშრომებს. ამის შესანიშნავი მაგალითია წერილები ალ. ბარამიძის მონოგრაფიაზე „Давид Гурамишвили. Краткий очерк жизни и творчества“ („ახალი ნარკვევი დავით გურამიშვილზე“;

თანაავტორები: ლ. მენაბდე, ს. ყუბანეიშვილი), ს. ყუბანეიშვილის გამოკვლევაზე „ტიმოთე გაბაშვილი რუსეთში“ („ერთი რეპლიკის გამო“), ლალი ძოწენიძის წიგნზე «რუსული „აპოვთეგმატას“ ქართული რედაქციები», ტრიფონ რუხაძის გამოკვლევაზე „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს.“, მიშელ ვან ესბროკის მონოგრაფიაზე „ Les plus anciens homéliers géorgiens. Étude descriptive et historique “. უფრო მეტიც, ზოგიერთი ეს რეცენზია, ისევე, როგორც მისი პირადი ჩანაწერები მის მიერ დამუშავებული ლიტერატურის შესახებ შეიცავს ისეთ ღრმა მეცნიერულ დასკვნებს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ახალ გამოკვლევებს.

დიდ ყურადღებას უთმობდა ელენე მეტრეველი, აგრეთვე, ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. ამ მიზანს ემსახურება მისი სამეცნიერო-პუბლიცისტური წერილები და დიალოგები: „დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა“ (თანაავტორი: ა. ბარამიძე), „ Значение Синьской экспедиции 1902 года в развитии грузиноведения“, „ფიქრი ძველ ქართულ ხელნაწერებზე“, „სიძველეთა საგანძურში“, „ქართული კულტურის დიდი კერა“ და ა. შ. პოსტსოციალისტურ საქართველოში მიმდინარე რთული პროცესების ერთ კონკრეტულ საკითხს ეძღვნება მისი ერთ-ერთი უკანასკნელი წერილი «აჩქარება არ ეგების. ამ სახით „საკონსტიტუციო შეთანხმების“ მიღება გაუმართლებელია», რომელიც უდავოდ დაგვაფიქრებს თანამედროვე საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პერსპექტივაზე. საერთოდაც,

არა მხოლოდ ეს პუბლიკაციები, არამედ მისი ყველაზე რთულ მეცნიერულ საკითხებზე დაწერილი გამოკვლევებიც კი გამოირჩევა უაღრესად ნათელი სტილით, კომპლექსური საკითხების განხილვის იშვიათი სიცხადით, მარტივად გადმოცემით.

ფართო მეცნიერულმა ერუდიციამ, კვლევის სწორმა მეთოდოლოგიამ, პირველწყაროების უბადლო ცოდნამ, ფაქტების ანალიზის საუცხოო უნარმა, დიდმა ორგანიზატორულმა და პიროვნულმა ადამიანურმა თვისებებმა საშუალება მისცა ელენე მეტრეველს, წლების განმავლობაში სამაგალითო ხელმძღვანელი ყოფილიყო ხელნაწერთა ინსტიტუტის დიდი კოლექტივისა, გზა გაეკვალა ყოველი ახალი მეცნიერული ინიციატივისათვის, ბოლომდე გაესრულებინა ილია აბულაძის მიერ წამოწყებული სამუშაოები; ამავე დროს, დაესახა კვლევის ახალი, თანამედროვე მიმართულებანი და პრობლემები, ფართო და მასშტაბური გაეხადა ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკა და კვლევა. მისი ინიციატივით გაიხსნა ინსტიტუტში სამი ახალი: არქივების, აღმოსავლური და დაცვის, ადრიცხვისა და ექსპოზიციის განყოფილება, ჩამოყალიბდა ევროპული ენების სპეციალისტებისაგან შემდგარი საინფორმაციო ჯგუფი, უკვე არსებულ ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის კაბინეტებს შეემატა ილია აბულაძის, ნიკო ბერძენიშვილის, ნინო და კალისტრატე სალიების კაბინეტები. სალიების კაბინეტი გამდიდრდა საფრანგეთიდან ჩამოტანილი მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურით. მზრუნველობით წარმართავდა ინსტიტუტის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის

მუშაობას. როგორც წესი, პირადად ადგენდა ინსტიტუტის მიერ გაწეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშებს, რომლებშიც, უკვე მიღწეულის ღრმა და პრინციპულ ანალიზთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამომავლო სამეცნიერო-კვლევითი ამოცანების დასახვას.

საყურადღებოა, რომ ელენე მეტრეველი იყო სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერ თანამშრომელთა აღიარებული ხელმძღვანელი და მრჩეველი. ამის დასტურია თუნდაც, ის ფაქტიც, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადებული თითქმის უკლებლივ ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია სწორედ მისი უშუალო რედაქტორობით დაისტამბა.

ძველი ქართული თხზულებების სისტემური შესწავლის, კრიტიკული ტექსტების დადგენისა და გამოცემისათვის ელენე მეტრეველმა 1977 წელს დააარსა აკადემიური სერია – „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები“, რომლის მთავარი რედაქტორობა თავადვე იკისრა. სერიის თემატიკა და პუბლიკაციები სრულყოფილად ასახავს ხელნაწერთა ინსტიტუტის კვლევის მიმართულებებს ბიბლიოლოგიის, ჰაგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიის, ჰომილეტიკის, ფილოსოფიისა და მეტაფრასტიკის სფეროებში. ამ სერიით დაიბეჭდა ტექსტები, რომელთა უდიდესი მნიშვნელობა ქართული და, საზოგადოდ, ქრისტიანული კულტურისათვის წინასწარ თავადვე ივარაუდა ელენე მეტრეველმა. დღემდე დასტამბული 10 ტომიდან უშუალოდ მისი რედაქტორობით გამოვიდა ხუთი ტომი, დასაბეჭდად უკვე მომზადებული სხვა ტომების გამოცემა საქართველოში

განვითარებული მოვლენების გამო, სამწუხაროდ, დღემდე ვეღარ მოხერხდა.

ელენე მეტრეველი იყო მნიშვნელოვანი სერიების: „საქართველოს ისტორიის წყაროები“ და „Памятники письменности Востока“, აგრეთვე, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის აკადემიური გამოცემისა და ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის მთავარი სარედაქციო კოლეგიების წევრი, ასევე – კრებულისა „Проблемы палеографии и кодикологии в СССР“, რომელშიც სხვა მასალასთან ერთად გამოქვეყნდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მომზადებული ნაშრომები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბჭოთა სინამდვილეში ელენე მეტრეველის მიზანმიმართული ცდა, გაერღვია ქვეყანაში გამეფებული კარჩაკეტილობა, იზოლაცია და ქართული მეცნიერება, ხელოვნება ფართო სარბიელზე გაეყვანა, ჩაერთო საერთაშორისო მეცნიერულ კვლევაში, მოეხდინა მასთან ინტეგრაცია, აემალლებინა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. ამას ემსახურებოდა მისი მრავალწლოვანი მოღვაწეობა საერთაშორისო ასპარეზზე, საქართველოსა და საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული მოხსენებები, საქართველოსა და საზღვარგარეთ რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილი გამოკვლევები. ამავე მიზანს ემსახურებოდა, აგრეთვე, მისი პირადი ურთიერთობები და კონტაქტები გამოჩენილ უცხოელ კოლეგებთან. ამას მოწმობს მიგელ არანცთან, იულიუს ასფალგთან, დევიდ ბარეტთან, ნევილ ბერძოლთან, რობერტ ბლეიკთან, ვინფრიდ ბოედერთან, იან

ბრაუნთან, ჟერარ გარიტთან, რობერტო გულბენკიანთან, გილბერტ დაგრონთან, მიშელ ვან ესბროკთან, მილოშ ველიმიროვიჩთან, ჯონ ვილკინსონთან, გაბრიელა ვინკლერთან, ჟან ირიგუანთან, ბერნარ კულისთან, გიომ ლაფონტენთან, პოლ ემილ ლემერლთან, ჟაკ ლეფორთან, ფერი ლილიენფელდთან, დიმიტრი ლიხაჩოვთან, ჟან-პიერ მაესთან, ჯუსტინ მოსესთან, დენის პაპახრიზანთუსთან, ვინჩენცო პოჯისთან, პოლ პუპართან, ანდრე ჟაკობთან, შარლ რენუსთან, რობერტ ტომსონთან, ზინაიდა უდალცოვასთან, ბერნარ უტიესთან, ჰაინც ფენრიხთან, ბორის ფონკიჩთან, სებასტიან ჟანერასთან, ვახტანგ ჯობაძესთან, ანდრე ჰალოსთან, ქრისტიან ჰანიკთან და სხვა მეცნიერებთან მიმოწერა, რომელიც 2500-მდე ბარათს შეიცავს.

ქართველ მეცნიერებთან ერთად, საბჭოთა და დასავლელი ორიენტალისტები დიდად აფასებდნენ აკადემიკოს ელენე მეტრეველის მეცნიერულ და ადამიანურ ღირსებებს, ანგარიშს უწევდნენ, იცოდნენ ზოგად ბიზანტინისტურ დარგებში მისი კომპეტენტურობის შესახებ და ისიც, რომ მას ხელი მიუწვდებოდა დასავლელ მკვლევართა აბსოლუტური უმეტესობისათვის ხელმიუწვდომელ ქართულ წყაროებზე, რომ არაფერი ვთქვათ მის გამორჩეულ წვლილზე ილია აბულაძის მიერ შექმნილი ფილოლოგიური სკოლის მუშაობის ფართოდ გაშლასა და ახალ სიმაღლეზე აყვანაში. მისი წყალობით ფილოლოგთათვის ხელმისაწვდომი გახდა და მეცნიერული კვალიფიკაცია მიეცა ქართულ

ხელნაწერებში დაცულ უმდიდრეს ლიტერატურულ წყაროებს.

არაერთ დასავლელ მეცნიერს გადაუხდია მისთვის მადლობა. „[...] დიდად მადლობელი ვარ იმისათვის, რომ გამომიგზავნეთ ნიკოდიმოსის სახარების ქართული ვერსია (ც. ქურციკიძის გამოცემული, გ. შ.). ეს ნაშრომი უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენია მთელი მსოფლიო მეცნიერებისათვის“, – სწერდა ელენე მეტრეველს 1988 წლის 4 აპრილს მაიკლ სტოუნი. „[...] სიამოვნებით ვიხდი ვალს და კიდევ ერთხელ მთელი სულით და გულით გამოვხატავ მადლიერებას: შაბათს მივიღე რ. გვარამიას წიგნი, მცირეოდენი ხნის შემდეგ – მიკროფილმი. გულითად მადლობას ვიხდით“, – სწერდა 1972 წლის 28 თებერვალს ბერნარ უტიე.

უამრავია წერილი, სადაც მსოფლიოში აღიარებული ორიენტალისტები ელენე მეტრეველს სთხოვენ დაკვალიანებას სხვადასხვა საკითხზე. „ჩემი მხრივ, რაც შემემლო, ბევრი ვიმუშავე ივირონზე. გიგზავნით შესავალი წერილის გამზადებულ მონაკვეთს. მას ჯერ კიდევ აკლია ათონის მთის გარეთ არსებულ ივირონის საკუთრებათა აღწერილობა და წინამძღვართა სია. დიდად ბედნიერი ვიქნებოდი, თუ დროს გამონახავდით ამ შესავლის და, განსაკუთრებით, იმ კითხვების გასაცნობად, რომლებიც აშიაზე წითლად მივაწერე, და უკან გამომიგზავნიდით თქვენს შენიშვნებსა და პასუხებს“, – სწერდა 1984 წლის 23 ივნისს ჟ. ლეფორი. „ძვირფაო დაო ელო, თვენახევრის წინად გამოგიგზავნე ივირონის ანდერძების ასლები წერილით და თხოვნით, გეცნობებინა შენი შესწორებები. ეგებ განახორციელო ეგ საქმე საჩქაროდ.

მე ინგლისური ტექსტი კარგად გავმართე ამასობაში“, – სწერდა ვახტანგ ჯობაძე, რომლისადმი ელენე მეტრეველის მიერ გაგზავნილი გვიანდელი წერილებიდან განსაკუთრებული ადამიანური სითბო იღვრება: „ჩემო ვახტანგ, ძალიან გამახარა შენი და ასფალგის სურათმა. ჩემი ახალგაზრდობა გამახსენდა – ბავარიაში მოგზაურობა ასფალგთან და კუფპოლფთან ერთად. რა ბედნიერი ხანა იყო ჩემს ცხოვრებაში! თუ მისწერ ასფალგს წერილს, ჩემგან გულითადი მოკითხვა გადაეცი“, – სწერდა ელენე მეტრეველი 1992 წლის 27 ოქტომბერს თავის ბავშვობის მეგობარს.

დიდ საერთაშორისო აღიარებად უნდა ჩაითვალოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიის შემადგენლობაში მისი ორმოცწლოვანი მონაწილეობა. როგორც ცნობილია, კომისია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1956 წლის მე-13 დადგენილებით შეიქმნა და მის პირველ შემადგენლობაში აკადემიკოსი იოსებ აბგარის ძე ორბელი შედიოდა (იხ. «Археографический ежегодник», за 1957 год, 1958, გვ. 481-482), რომლის გარდაცვალების შემდეგ (Иосиф Абгарович Орбели (1887-1961), იხ. «Археографический ежегодник», за 1960 год, 1962, გვ. 472-473) მის ნაცვლად კომისიის შემადგენლობაში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. შოთა მესხია შეიყვანეს (იხ. «Археографический ежегодник», за 1960 год, 1962, გვ. 3 67). ელენე მეტრეველი მეორე ქართველი მეცნიერი იყო ამ კომისიის შემადგენლობაში. სსრ კავშირის დაშლისა და რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა გართულების შემდეგაც კი რუსეთის

მეცნიერებათა აკადემიამ ელენე მეტრეველი 1999 წელს ისევ აირჩია მის წევრად.

პირადად არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე უცხოელი მეცნიერების განსაკუთრებული მოწიწებისა ქალბატონი ელენეს მიმართ. ჩემთან პირად საუბრებში მიშელ ვან ესბროკს არაერთხელ გაუსვამს ხაზი იმისათვის, რომ ელენე მეტრეველი უცხოელ ქართველოლოგთა ერთ-ერთი დიდი მასწავლებელი იყო. 1993 წელს, რომის პაპის აღმოსავლურ ინსტიტუტში საეკლესიო მეცნიერებათა ლიცენციატის ხარისხის მოსაპოვებლად მოსამზადებელი ნაშრომის თემის შერჩევის დროს რომის პაპის ახლანდელმა ნუნცმა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ხოლო მაშინ აღმოსავლეთის ეკლესიათა კონგრეგაციის თანამშრომელმა, არქივისკოპოსმა კლაუდიო გუჯეროტიმ და ფრანგმა მეცნიერმა შარლ რენუმ მირჩიეს, კიდევ ერთხელ ყურადღებით გავცნობოდი ელენე მეტრეველის ლიტურგიკულ გამოკვლევებს და „უძველესი იადგრის“ ფუნდამენტურ გამოცემას. აღმოსავლური ინსტიტუტის საეკლესიო ისტორიის კათედრის პროფესორს, ჟურნალ „Orientalia Christiana Periodica“ („აღმოსავლური ქრისტიანული ჟურნალი“) ყოფილ მთავარ რედაქტორს, ვინჩენცო პოჯის, დღემდე ახსოვს, როგორი საუცხოო ფრანგულით მეტყველებდა ქალბატონი ელენე. ერთხელ ჩემმა დიდმა მასწავლებელმა და უფროსმა მეგობარმა, რომის პაპის წმინდა გრეგორის სახელობის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ლიტურგიათა კათედრის მაშინდელმა გამგემ, პროფესორმა მიგელ არანცმა, რომელიც ბიზანტიური სასულიერო ლიტერატურის აღიარებული ავტორიტე-

ტია მსოფლიოში, გულახდილად მითხრა: დღეს დასავლეთ ევროპაში ქალბატონი ელენეს დონის ორიოდე მეცნიერი რომ გვყავდეს, სულ სხვა მიმართულება ექნებოდა ჩვენს მეცნიერებასო.

ელენე მეტრეველის საერთაშორისო ავტორიტეტმა და მის მიერ დასახული კვლევის ჰორიზონტების გაფართოებამ დიდი აღიარება მოუტანა ხელნაწერთა ინსტიტუტს, რომელიც აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში. ამის უშუალო დასტურია ბელგიაში გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ძველი ქართული თარგმანების ზემოთ დასახელებული პუბლიკაცია.

საზღვარგარეთული სამეცნიერო მივლინებებიდან დაბრუნებისას, ელენე მეტრეველი, როგორც წესი, გამოწვლილვით ანგარიშს აბარებდა ინსტიტუტის მთელ კოლექტივს. ამით არა მხოლოდ იხდიდა პირად ვალს, არამედ თანამშრომლებს სისტემურად აცნობდა საზღვარგარეთ ქართველოლოგიის სფეროში მიმდინარე მუშაობას.

იგი მუდმივად თვალს ადევნებდა, გულისყურით ეცნობოდა და დიდად აფასებდა თავისი თანამოღვაწე თანამშრომლების, კოლეგების, ამხანაგების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ღრმად ჰქონდა გააზრებული ყოველი საკვლევი პრობლემა, მათი ზოგადი და კონკრეტული მნიშვნელობა, რაც საშუალებას აძლევდა, ხელმძღვანელობა გაუწია თანამშრომელთა საქმიანობისათვის. იგი პირადად წარმართავდა ხელნაწერების აღმწერთა, ქართულ-ბერძნული, ქართულ-სპარსული, ქართულ-არაბული, ქართულ-ოსმალური ურთიერთობის მკვლევართა, ისტორიული

დოკუმენტების, მოხატული ხელნაწერების და, საზოგადოდ, ძველი ქართული მწერლობისა და ისტორიის სპეციალისტების მუშაობას. თანამშრომლებს დღემდე ახსოვთ ის განსაკუთრებული მზრუნველობა, რომელსაც იგი „ხანმეტი ტექსტების“ I და „ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ V-VI ტომების გამოსაქვეყნებლად მომზადებისა და დასტამბვისას იჩენდა. საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით აგზავნიდა მათ საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებაში, ეხმარებოდა უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მოპოვებაში, რომელსაც, როგორც მისი კოლეგები იგონებენ, ხშირად საკუთარი მოკრძალებული სახსრებითაც იძენდა. იმ დროს, როდესაც საზღვარგარეთ მივლინებისას საბჭოთა მოქალაქეებს სამშობლოდან მხოლოდ მცირე ოდენობის ვალუტის გატანის უფლება ჰქონდათ, ელენე მეტრეველმა 1977 წელს ერთ-ერთი ასეთი მივლინებისას პირადად შეიძინა ინსტიტუტისათვის არაბულმრიფტიანი საბეჭდი მანქანა და, მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ ურთულესი ოპერაცია ჰქონდა გადატანილი, ეს მძიმე ტვირთი თავადვე ატარა პარიზიდან თბილისამდე. სწორედ ამ მანქანას იყენებდნენ ინსტიტუტში, ვიდრე კომპიუტერზე გადავიდოდნენ.

დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნიერი ახალგაზრდა მკვლევართა აღზრდას. ახარებდა მათი ყოველი წარმატება, გზას უკვალავდა ახალი პრობლემების გადაწყვეტისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ საკმარისად ვიცნობდი მის უაღრესად მნიშვნელოვან გამოკვლევებს, როდესაც 1992 წელს წილად მხვდა

ბედნიერება, პირადად შევხვედროდი და უშუალოდ გავცნობოდი მას, გაცემული დავრჩი მისი კოლოსალური ცოდნით, ერუდიციით, კომპეტენტურობით და, ამავე დროს, უზადო ადამიანური უბრალოებით, საოცარი მზადყოფნით, კვალიფიციური, გულწრფელი და უანგარო მეცნიერული რჩევადარიგება მოეცა მისთვის სრულიად უცნობი ახალბედა მკვლევრისათვის, რომელიც მაშინ უცხოეთის ერთ შორეულ ქვეყანაში პირველ ნაბიჯებს დგამდა მეცნიერებაში. რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ ერთი, სრულიად ახალი კუთხით წარმოჩნდა ჩემ წინაშე ქალბატონი ელენეს პიროვნება: 1997 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მისი თავმჯდომარეობით განიხილავდნენ საზღვარგარეთ დაცული ჩემი დისერტაციის სანოსტრიფიკაციოდ გატანის საკითხს. ერთ-ერთი შენიშვნა ნაშრომის იმ ადგილს შეეხებოდა, სადაც მისგან განსხვავებული მოსაზრება მქონდა გამოთქმული. ჩემი არგუმენტების წარმოდგენის შემდეგ, როდესაც სხდომაზე მოპაექრები ისევ დაუბრუნდნენ ამ პრობლემას, მათ ქალბატონმა ელენემ მკაფიოდ და არაორაზროვნად უპასუხა: ეს ძალიან რთული საკითხია და ამის ახლა, ამ ვითარებაში, გადაწყვეტა შეუძლებელიაო; ესეც არ იყოს, ხომ შეიძლება, სხვა მკვლევარს საკითხზე სრულიად განსხვავებული შეხედულება ჰქონდესო.

ელენე მეტრეველის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობაზე ბევრი დაწერილა. არაერთი გამოხმაურება მიემდვნა მის შრომებს, რომელთა შორის აღსანიშნავია: ალ. ბარამიძის, ქ. ბეზარაშვილის, რ. გვარამიას, მ. ვან ესბროკის, გ. ლორთქიფანიძის, თ.

ოთხმეზურის, ბ. უტიეს, ც. ქურციკიძის, გ. შარაძის, შ. ძიძიგურის, ლ. ჯანაშიას და სხვ. მკვლევართა სტატიები, რეცენზიები, წერილები. საყურადღებოა ისიც, რომ ქართველი საზოგადოება, როგორც წესი, ყოველთვის ფართოდ ეხმაურებოდა მის საიუბილეო თარიღებს. მეცნიერის საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს ისიც, რომ 2000-2001 წლებში იტალიურმა სამეცნიერო ჟურნალმა „Studi sull'Oriente Cristiano“ ქართველი მეცნიერის დაბადების 80 წლისთავის ოთხი ნომერი მიუძღვნა.

* * *

წმინდანივით იცხოვრა და წმინდანივით ვალმოხდილი აღესრულა აკადემიკოსი ელენე მეტრეველი. იგი ათეული წლების განმავლობაში ლამპარივით იწვოდა, რათა გაეცოცხლებინა უძველესი ქართული ფოლიანტები და უკვდავება დაებრუნებინა მათთვის.

ქართული მეცნიერება, კულტურა, სულიერება იყო მისი შვილიც, ოჯახიცა და შთამომავლობაც. ამქვეყნად მისი რუდუნებისათვის ღვთისაგან მოვლინებულად თვლიდა საკუთარ თავს. ბოლო პერიოდში განვითარებული ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების გამო საქართველოში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ფიზიკური გადარჩენისათვის რომ უხდებოდა ბრძოლა, ხოლო მეცნიერება და კულტურა ბედის ანაბარა იყო მიტოვებული, დიდი მეცნიერი კვლავინდებურად უანგარო, შეიძლება ითქვას,

მოწამებრივი თავდადებით აგრძელებდა ქართული კულტურის სამსახურს, რასაც იმ ძნელბედობის წლებში გამოცემული მისი გამოკვლევები მოწმობს.

სიკვდილის წინ ოჯახის წევრებს ანდერძად დაუბარა: «არავითარი პანთეონი! დამსაფლავეთ მშობლებთან. არავითარი წარწერა: „აკადემიკოსი“! მიაწერეთ უბრალოდ: „ელენე მეტრეველი“».

დღეს თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე, თავისი სათაყვანებელი მშობლების გვერდით სამუდამოდ დამკვიდრებული დიდი ქართველი მეცნიერის საფლავის ქვაზე ერთადერთი წარწერაა: „ელენე მეტრეველი“.

III. ელენე მეტრეველის შრომები

1947

1. —. *მხატვრული აღწერა კლასიკური ხანის ქართულ საერო ძეგლებში* // ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. – II. – 1947. – გვ. 107-121.

განხილულია ქართულ მწერლობაში მხატვრული აღწერისა და აღსაწერი ობიექტისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების თავისებურებანი. დასაბუთებულია, რომ სასულიერო ლიტერატურაში აღწერითი მომენტი სუსტად არის წარმოდგენილი და ძირითადად უტილიტარულ მიზნებს ემსახურება, რადგანაც ასეთ ნაწარმოებთა უპირველესი ამოცანა გმირის სულიერი სიმდიდრისა და სიძლიერის წარმოჩენაა. საერო ძეგლების („ამირანდარეჯანიანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“) მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე გამორკვეულია, რომ მათში ყურადღება გამახვილებულია, ერთი მხრივ, მხატვრულ აღწერილობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ნაჩვენებია, რომ აღწერითმა მომენტმა, თავის მხრივ, ერთგვარი ევოლუცია განიცადა მარტივი, არახატოვანი აღწერიდან რთულ, ხატოვან აღწერამდე.

2. —. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი [H-1661] (მეცნიერული აღწერილობის ცდა) // აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. – XV-B: კრებული ეძღვნება აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ხსოვნას. – 1948. – გვ. 37-48.

„გოლგოთას სგნაქსარის“ სახელწოდებით ცნობილი H-1661 კოდექსი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში დაცულ ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციას განეკუთვნება, შეიცავს გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილ „დიდ სგნაქსარს“, რომლის უძველეს ნუსხათა შორის ყველაზე კარგად და სრულად არის შემონახული. იგი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში 1155 წელს ვინმე „უცხად მჩხრეკალს“, გიორგი დოდისს გადაუწერია, მას 1808 წელს ამავე მონასტერში ოკრიბელმა ბერმა, ლავრენტი გოგელაძემ მიაკვლია. სავარაუდოა, ხელნაწერი 1812 წლის მახლობლად მის მიერვე იყოს ჩამოტანილი იმერეთში. ნუსხა შეიცავს ოთხ ვრცელ ადაპს, რომლებიც 1400-1567 წლებით თარიღდება და საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იერუსალიმის ქართველთა სამონასტრო ცხოვრების, განსაკუთრებით – გოლგოთაზე ქართველთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. მათი მეშვეობით თარიღდება ნ. მარის მიერ გამოცემული ჯვრის მონასტრის რამდენიმე

მოსახსენებელიც. სხვა ადაპები 1155-1188 წლებისა უნდა იყოს. ისინი წარჩინებულ ტამპლიერ რაინდთა მოსახსენებლებია და მეტად მნიშვნელოვანია როგორც ამ ორდენის ისტორიისათვის, ისე – იერუსალიმის ქართველთა და ჯვაროსნების, კერძოდ, ტამპლიერთა ორდენის რაინდთა ურთიერთობის შესასწავლად.

3. —. *ნიჰამის მხატვრული მეტყველების ზოგიერთი თავისებურება* // ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. – V. – 1948. – გვ. 177-185. – რეზ. რუს. ენ.: Некаторые вопросы поэтического языка Низами, გვ. 185.

გამოკვლევაში დასაბუთებულია, რომ ნიჰამის მხატვრულ აღწერებში ორი პროფილი გამოიყოფა: ერთი – დეკორატიული, ხოლო მეორე – ემოციური. ორივე შემთხვევაში იგი სიტყვის უბადლო ოსტატი, გარკვეული, შთამბეჭდავი სახეებისა და ემოციების მხატვარია. ამიტომაც მკითხველი შეიცნობს ნათელ, სუფთა, ფერადოვან, მდიდარი გემოვნებით შეხამებულ და ემოციურ სურათს, სადაც ყოველი დეტალის ირგვლივ მნიშვნელოვანი სივრცე რჩება დამოუკიდებელი წარმოსახვისათვის. ნიჰამი ესთეტიკური ხილვის განსაკუთრებული ოსტატობითაც გამოირჩევა. მისი სული ხედავს სილამაზეს – სულიერსა და ფიზიკურს – იქ, სადაც სხვებისათვის დამალულია და ფარდააუხდელი. ეს სილამაზე ზღაპრული გულუხვობით იმლება მკითხველის წინაშე, უძი-

როა „საიდუმლოთა საგანძური“, საიდანაც ნიჰამი თავის სახეებს იღებს».

1949

4. —. ერთი სადავო საკითხის ირგვლივ დავით გურამიშვილის ბიოგრაფიიდან // სახალხო განათლება. – 1949. – 8 დეკემბერი. – №10/1058. – გვ. 4.

გამოხმაურება გიორგი ლეონიძის წერილზე „დავით გურამიშვილი“ («კომუნისტი», ! 187/5888, 1940, 14 აგვისტო, გვ. 3), რომელიც შეეხება დავით გურამიშვილის (1705-1792) მოსკოვში ჩასვლის თარიღთან (1729 წ.) და მის მეუღლესთან, ტატიანა ვასილის ასულთან, დაკავშირებულ საკითხებს. გ. ლეონიძე მის მიერ აღმოჩენილ რუსეთში ჩასულ ქართველ ემიგრანტთა აღრიცხვის რეესტრზე დაყრდნობით ასკვნიდა, რომ ტყვეობიდან გაპარვის შემდეგ გურამიშვილი მოსკოვს 1729 წელს ჩასულა ცოლით, სიდედრით, ასულით, ერთი მსახურითა და ორი მოახლით; მთავრობიდან წლიურ ჯამაგირად ეძლეოდა 40 მანეთი, პური 24 „ჩეტვერტი“, შემა და სხვ. პოეტი მიიჩნევდა, რომ გურამიშვილის მეუღლე უნდა ყოფილიყო ლამისყანელი აზნაურის ქალი, თინათინ გარაყანიძე, რომელიც რუსეთში ყოფნისას, რუსული შესატყვისით, ტატიანად იწოდებოდა. ელ. მეტრეველი მიუთითებს, რომ გ. ლეონიძე თავის წერილში არასწორად იმოწმებს საბუთში დაცულ ცნობებს. მკვლევრის აზრით, ეს საბუთი კიდევ ერთხელ ადასტურებს დავითის უშვილო-

ბას, ხოლო გაუგებრობა დავით გურამიშვილის ასულის შესახებ ტექსტის არასწორი გაგებიდან მომდინარეობს: პოეტი დავით გურამიშვილის მსახურის ცოლს მის ასულად მიიჩნევს, რაც, ელ. მეტრეველის აზრით, ასევე არასწორია. მკვლევარი თვლის, რომ ტატიანა ვასილის ასული, რომელიც დავითზე 20 წლით უმცროსი იყო, დავითის მეორე ცოლი უნდა იყოს, რომელიც მას, შესაძლებელია, უკრაინაში შეერთო.

1950

5. —. *ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი* // ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. — VIII. — 1950. — გვ. 415-421. — რეზ. რუს. ენ.: Груэинский агиографический сборник и его составитель, გვ. 421.

საქართველოში ორიგინალურ ჰაგიოგრაფიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. V ს.-დან XVIII ს.-მდე თარგმნილი თხზულებების გვერდით იქმნება ეროვნულ წმინდანთა ცხოვრება-წამებანი. ორიგინალური ქართული ჰაგიოგრაფიის განვითარებასთან ერთად, უნდა შემუშავებულიყო საგანგებო ჰაგიოგრაფიული კრებულებაც. მოსალოდნელი იყო, რომ იგი ქართული სასულიერო მწერლობის კლასიკურ ხანაში (X-XI სს.) შექმნილიყო. სინამდვილეში მისი შემცველი უძველესი ნუსხა XVIII ს.-ის მიწურულით თარიღდება. ეს არის ყოფილი საეკლესიო

მუზეუმის ხელნაწერი A-160, რომელიც გადაწერილია დავით გარეჯის უდაბნოში დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრის, ონოფორე მაჭუტისძის შეკვეთით. ყოფილი ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების H-1557 ხელნაწერზე გაკეთებული ვრცელ ჩანაწერში შემონახული ცნობის თანახმად, ირკვევა, რომ პირველი ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის შემდგენელია დომენტი IV, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1705-1741 წწ.), ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ძმა, მწიგნობარი, რომელსაც ეს კრებული 1704-1713 წწ. შეუდგენია, ხოლო ექსორიობაში ყოფნისას შეუგროვებია დამატებითი მასალა, რაც საქართველოში არ ეგულებოდა და, სამშობლოში დაბრუნებულს, მის მიერვე განახლებულ კრებულში შეუტანია.

ზოგიერთი მკვლევარი არ ეთანხმება ელ. მეტრეველს და საკვლევი კრებულის შემდგენლად ბესარიონ ქართლის კათალიკოს-პატრიარქს (1723, 1725-1735) მიიჩნევს.

1951

6. —. *ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი // სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* – 43. – 1951. – გვ. 141-152.

შესწავლილია S-5234 ხელნაწერი, რომელიც არა უგვიანეს XVIII ს.-ის 30-იანი წლებით თარიღდება. მისი პირველი ორი ფურცელი შეიცავს „შვიდთა მთიებთა ბუნების“ თემაზე დაწერილ ვახტანგ VI-

ის, სულხან-საბა ორბელიანისა და გივი თუმანიშვილის დღემდე უცნობ სამ ლექსს (კრიტიკულად დადგენილი ტექსტები იხ. 150-151 გვ.-ზე). მომდევნო ორ ფურცელზე დაფიქსირებულია ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის სახელით ცნობილი, ერთ დროს მეტად პოპულარული ლექსი, რომელიც სხვადასხვა ქართულ ხელნაწერში თავად ვახტანგს მიეწერება. დადგენილია ეპიტაფიის განსხვავებული იკითხვისები. ელ. მეტრეველის აზრით, ეპიტაფიის ავტორია გივი ზურაბის ძე თუმანიშვილი, რომელიც დაახლოებით, 1688-1721 წლებში ქართლის მეფეთა კარის მდივან-მწიგნობარი იყო. მას ეპიტაფია ვახტანგის გარდაცვალებისთანავე (1737 წ.) უნდა შეექმნა.

1952

7. —. *ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში (ტექსტები და გამოკვლევა)* // ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. – IX. – 1952. – გვ. 183-218. – რეზ. რუს. ენ.: К истории грузинской оригинальной гимнографии в XI веке (Тексты и исследование), გვ. 217-218.

გიორგი მთაწმიდელი ათონის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან თავისი მთარგმნელობითი, ასევე, პრაქტიკული მოღვაწეობით უდიდესი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურასა და ეკლესიას. მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა მიზანდასახულ

ხასიათს ატარებს და ექვემდებარება ქართული ეკლესიის მოთხოვნილებებს. პირველი ლიტურატურული ძეგლი, რითაც გიორგი მთაწმიდელმა დაიწყო მთარგმნელობითი მოღვაწეობა, იყო სვინაქსარი, ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, „ეკლესიის წინამძღუარი“. მანვე შეადგინა საეკლესიო ღმრთისმსახურების მთელი წლის სახელმძღვანელო – „დიდი სვინაქსარი“, რომლის შემდეგ სხვა ლიტურგიკული ძეგლების თარგმნა დაიწყო. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თვენი, ანუ „სათუე“, რომელიც ეკლესიაში მთელი წლის განმავლობაში ყოველდღიურ საგალობელთა კრებულია. ძეგლის უძველესი ქართული ხელნაწერების ანალიზით ირკვევა მისი ბერძნული წყაროები, ასევე, ნათელი ეფინება გიორგი მთაწმიდლის სარედაქციო მუშაობის თავისებურებებს, რომლებიც არ ამოიწურებოდა რომელიმე ბერძნული დედნის მხოლოდ თარგმნით. იგი ტექსტის გადმოღებისას განუწყვეტლივ ავრცობდა, ცვლიდა, ზრდიდა მთელი რიგი სტრიქონების რაოდენობას. ამასთან ერთად, მათის თვისათვის თვენის შესწავლით დასტურდება, რომ მთარგმნელს კრებულში შეჭქონდა როგორც საკუთარი, ისე სხვა ქართველი ავტორების ორიგინალური საგალობლები.

1954

8. —. ტიმოთე გაბაშვილი შოთა რუსთველის შესახებ („მომოსლოვის“ ავტოგრაფების მიხედვით) // აკად.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის II სამეცნიერო სესია, 1954 წლის 15-16 აპრილს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ., 1954. – გვ. 9-10. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია).

უნდა გადაისინჯოს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ტ. გაბაშვილი რუსთველის შემოქმედების შეფასებაში თანმიმდევარი და დაჯერებული რეაქციონერია; მისი შეხედულება შოთა რუსთველზე „მიმოსლვის“ ავტოგრაფულ რედაქციებში ერთნაირად არ არის წარმოდგენილი; საქართველოს გარეთ დაწერილ „მიმოსლვის“ მეორე ავტოგრაფში ავტორი მიზნად არ ისახავდა რუსთველის შემოქმედების შეფასებას. ამიტომ ამის თაობაზე ძირითად ტექსტში არც აღუნიშნავს რამე. ამავე ავტოგრაფში ტ. გაბაშვილის მინაწერი „ბოროტი მელექის“ შესახებ გაკეთებული უნდა იყოს საქართველოში დაბრუნების შემდეგ; შოთა რუსთველის ტიმოთესეული შეფასება იმ სახით, როგორც აქამდე იყო ცნობილი „მიმოსლვის“ ნაბეჭდი გამოცემის მიხედვით, შესულია თხზულების მხოლოდ უკანასკნელ, მესამე ავტოგრაფში, რომელიც გადამუშავდა და დაიწერა სამშობლოში დაბრუნების (1759 წლის) შემდეგ; ასეთი თვალსაზრისი რუსთველზე ანტონ I-ის იდეური გავლენით კი არ უნდა აიხსნას, არამედ – მისი გავლენის შესუსტებით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო იდეოლოგიური ბრძოლის გამძაფრებით XVIII ს.-ის 60-იანი წლების საქართველოში.

9. —. დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკის ავტორი // აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის III სამეცნიერო სესია, 1955 წლის 20, 21, 23 მაისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ., 1955. – გვ. 9. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია).

რუკა, რომელიც იმერთა მეფე ალექსანდრე V-მ რუსეთის მთავრობას გაუგზავნა, თავისი დანიშნულებით სამხედრო-პოლიტიკურია. იგი საინტერესოა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ხუროთმოძღვრების შესწავლის თვალსაზრისით. ცნობებს რუკის ავტორის შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი ანალიზით ირკვევა, რომ ავტორი ტიმოთე გაბაშვილია. ამას მოწმობს: ტ. გაბაშვილის ავტოგრაფული წარწერები რუკაზე; ხატვის სპეციფიკური მანერა, რომელიც პარალელს ტიმოთეს ხელით შესრულებულ ივერიის მონასტრის ნახატთან პოულობს; ამ მოღვაწის ინტერესი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის ნიმუშებისადმი, რომელიც დამოწმებულია მის „მიმოსლვაში“.

10. —. ახალი ნარკვევი დავით გურამიშვილზე // ლიტერატურული გაზეთი. – 1955. – 23 სექტემბერი. – ! 38/948. – გვ. 3.

თანაავტორები: ლ. მენაბდე, ს. ყუბანიევილი.

რეც. წგნ.-ზე: Ал. Барамидзе. Давид Гурамишвили. Краткий очерк жизни и творчества.- Тб.: Заря Востока, 1955. – 40 ст.

11. —. დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა // კომუნისტი. – 1955. – 7 ოქტომბერი. – ! 238/10324. – გვ. 3.

თანაავტორი: ა. ბარამიძე.

ემღვნება 1955 წლის 8 ოქტომბერს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენის გახსნას. იგი მოაწყვეს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლებმა, რომელთაც მრავალი საინტერესო მასალა მიაწოდეს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტმა, საჯარო ბიბლიოთეკამ, მირგოროდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმმა, მოსკოვის ისტორიის მუზეუმმა, სომხეთის მატენადარანმა. დახასიათებულია საქსპოზიციო დარბაზში სხვადასხვა განყოფილებაში წარმოდგენილი დავით გურამიშვილთან, როგორც ხალხთა მეგობრობის

სიმბოლოსთან, მის ეპოქასთან, ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები.

1956

12. —. *სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი* // აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. – XIX-В. – 1956. – გვ. 11-40. – რეზ. რუს. ენ.: Древнейший автографический список словаря Сулхан-саба Орбелиани, გვ. 39-40.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ უნიკალური ლექსიკოლოგიური ძეგლია, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა და უმდიდრესი წყაროა ძველი ქართული ენის შესასწავლად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული უცნობი ავტოგრაფი H-416 ლექსიკონის ერთ-ერთი უძველესი ნუსხაა, რომელიც არ არის დასრულებული და ჩვენამდე მოღწეულია ნაკლები სახით. იგი უნდა წარმოადგენდეს შეგროვილი მასალის ლექსიკონად ჩამოყალიბების პირველ ცდას, ლექსიკონის თავდაპირველ სქემას, ჩონჩხს, რომელსაც წლების განმავლობაში ესხმებოდა ხორცი. მრავალრიცხოვანი მინაწერები და შენიშვნები მეტყველებს, რომ იგი უნდა იყოს სამუშაო ეგზემპლარი, სადაც აისახა ლექსიკონზე მუშაობის პირველი ძირითადი ეტაპი. სხვებთან

შედარებით, ეს ნუსხა ყველაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საბასეული ძიებისა და კვლევის ძირითად გზებზე ლექსიკური ერთეულების განმარტებათა ჩამოყალიბების პროცესში.

13. —. *სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი რუკა (გ. ზარდალიშვილის ერთი წერილის გამო) // აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. – XIX-B. – 1956. – გვ. 227-232.*

მოხსენდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საჯარო სხდომას 1951 წლის აპრილს, მაგრამ ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით აქამდე არ იყო დაბეჭდილი. ამასობაში საკვლევ საკითხზე გამოქვეყნდა სამი ავტორის წერილი (იხ. К. И. Шафрановский, Е. А. Княжнецкая, А. И. Судаков, О карте Кавказа и Каспийского моря 1723 г., «Известия Всесоюзного Географического Общества», 1953, т. 85, вып. 4, გვ. 468), სადაც ავტორები არ შეხებიან რუკის ქართულ მასალებს, რის გამოც საჭირო გახდა მოხსენების გამოქვეყნება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია 1723 წელს გ. დე ლილის მიერ პარიზში დაბეჭდილი „კასპიის ზღვის მოსაზღვრე რუკა“, რომელიც საქართველოს ტერიტორიასაც მოიცავს და უძველეს რუკას წარმოადგენს. მის შესადგენად გამოყენებულია სულხან-საბა ორბელიანის ჩანაწერებიც. დოც. გ. ზარდალიშვილმა სტატიაში

„სულხან-საბა ორბელიანის რუკა“ («დროშა», 1951, № 1, გვ. 19) გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეს რუკა მთლიანად ს.-ს. ორბელიანს შეუდგენია. რუკის შესწავლით ირკვევა, რომ ეს მოსაზრება მცდარია. კერძოდ, მასზე გაკეთებული წარწერები მოწმობს, რომ იგი შედგენილია გ. დე ლილისათვის მიწოდებული მზამზარეული მასალების საფუძველზე. ეს მასალებია: 1. პეტრე პირველის განკარგულებით 1721 წელს პეტერბურგში დაბეჭდილი კასპიის ზღვის რუკა, 2. სულხან-საბა ორბელიანის „ხელნაწერი მასალები“ საქართველოს რუკის სახით, 3. ირანის კარის ელჩებისა და ადგილობრივი განათლებული პირებისაგან მიღებული „ხელნაწერი მასალები“. გ. დე ლილს ეს ცნობები შეუჯერებია, დაუზუსტებია საფრანგეთის ასტრონომიულ ობსერვატორიაში და 1723 წელს გამოუქვეყნებია პარიზში კასპიის ზღვის მეზობელი ქვეყნების რუკის სახით.

14. —. 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება // აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. – XIX-A და XXI-B: ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს. – 1957. – გვ. 413-428. – რეზ. რუს. ენ.: Постановление церковного собора 1748 года, გვ. 429.

განხილულია 1748 წლის საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილება, რომელმაც ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერის სახით მოაღწია და ჩართულია Q-412 ხელნაწერში. მისი ძირითადი ტექსტია „დავითნი“, რომელიც გადაწერილია XV-XVI სს.-ის კარგი ნუსხურით. ტექსტის შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ეკლესიისა და საეკლესიო სამართლის ისტორიისათვის. დადგენილება ასახავს საქართველოში ოსმალობისა და ყიზილბაშობის შედეგად შექმნილ ძნელბედობის ხანას – ფეოდალების მიერ საეკლესიო მიწების მიტაცებას, აგრეთვე, ცრურწმენისა და კერპთაყვანისმცემლობის გადმონაშთების გავრცელებას. ამავე დროს, დადგენილება, რომელიც შედგება შესავლის, კანონებისა და ხელრთვებისაგან, გვამცნობს დიდი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწის, ანტონ კათალიკოსის გეგმებს ქვეყნის „აღდგენისათვის“ ბრძოლის საქმეში.

ერთვის „1748 წელს თბილისში მოწვეული საეკლესიო კრების დადგენილების“ ტექსტი.

1959

15. —. *ეფრემ მცირის ავტოგრაფი* // მოამბე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი). – I. – 1959. – გვ. 115-125. – რეზ. რუს. ენ.: Автограф Ефрема Мцире, გვ. 125.

შ-1276 ხელნაწერი ჰომილეტიკური და ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების კრებულია. იგი გადაწერილია ოთხი სხვადასხვა ხელით. ერთ-ერთი კალიგრაფი ეფრემ მცირე უნდა იყოს. გარდა ამისა, მისივე რედაქტირებული ჩანს მთელი კრებული, რაც დასტურდება მისი ხელით შესრულებული ისტორიულ-ფილოლოგიური შენიშვნებითა და მინაწერებით. ეფრემ მცირეს უნდა ეკუთვნოდეს ჰომილიების ქართული თარგმანიც, რითაც უნდა აიხსნას მისი ასეთი აქტიური მონაწილეობა კრებულის შედგენაში.

16. —. *სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის („ქილილა და დამანას“ პროზის მაგალითზე)* // *სულხან-საბა ორბელიანი, 1658-1958*, საიუბილეო კრებული, [დაბადებიდან 300 წლისთავის გამო]. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959. – გვ. 177-202. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია).

თანაავტორი: ა ლ . გ ვ ა ხ ა რ ი ა .

მხატვრულ და ენობრივ-სტილისტურ თავისებურებათა მიხედვით სულხან-საბა

ორბელიანისეული მეთოდები კარგად ჩანს ვახტანგ VI-ის მიერ „ქილილა და დამანას“ სახელწოდებით გადმოღებულ ვაჰეზ ქაშეფის „ანვარი სოჰაილის“ თარგმანის საბასეულ რედაქციაში, რომელიც, „სიბრძნე სიცრუისასთან“ ჟანრობრივ-სტრუქტურული და ფუნქციური სიახლოვის მიუხედავად, არსებითად განსხვავდება მისგან მხატვრული თვალსაზრისით, რადგანაც ქაშეფის ნაწარმოების თარგმანის გამართვისას საბას მისთვის უცხო მხატვრულ გარემოში მოუწია მუშაობამ. თხზულების ქართულად თარგმნისას ვახტანგი მის სიტყვასიტყვით გადმოღებას დასჯერდა, ზუსტად დაიცვა ლექსების ფორმალურ-ტაქობრივი შესატყვისობაც, რითაც სპარსული ტექსტის ტყვეობაში მოექცა და, არსებითად, პწკარედი შექმნა. ვახტანგის თხოვნით სულხან-საბას მიერ ჩატარებულ მუშაობაში აისახა მხატვრული თარგმანის შესახებ მის მიერვე შემუშავებული თეორიული შეხედულებები, კერძოდ, ის, რომ მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს როგორც ის ენა, საიდანაც თარგმნის, ასევე – ისიც, რომელზედაც თარგმნის; ამასთანავე, ერთი ენიდან მეორეზე სიტყვასიტყვით კი არ უნდა გადაჰქონდეს აზრი, არამედ შემოქმედებითად გარდასახავდეს მას მიმღები ენის სინტაქსისა და შინაგანი სტილის გათვალისწინებით.

ვახტანგის პწკარედი საბამ ლექსიკური და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით დაამუშავა: გააქართულა ბარბარიზმები, პირდა-

პირ გადმოტანილი სპარსული სიტყვები და თქმები, სალაპარაკო ქართულში უკვე დამკვიდრებული უცხო სიტყვები შეცვალა მარღვიანი, რაც მთავარია, მხატვრულ კონტექსტს ზუსტად მისადაგებული ქართული ტერმინებით, ზოგჯერ – ნეოლოგიზმებითაც, ხოლო ხელოვნურად გადმოღებულ სპარსულ შესიტყვისებს შეუნაცვლა ქართულისათვის ბუნებრივი კონსტრუქციები, ანდა – ქართულ პოეზიაში დამკვიდრებული მხატვრული სახეები, თხრობა გაათავისუფლა ტრაფარეტული გამოთქმებისა და ქცევებისაგან და მცირეოდენი სტილისტური ცვლილებებით ლაკონური და დინამიკური გახადა, ზოგჯერ ქრისტიანულ-ქართული რეალებით გარდათქვა ორიგინალის მხატვრული სახეები, ცალკეული იდიომატური გამოთქმა გააქართულა, რითაც თარგმანს შეუნარჩუნა უცხოური სურნელი და მშობლიური სალიტერატურო ენაც გაამდიდრა. ვახტანგის სიტყვათა ხელოვნურ წყობაში საბა დიდი შემოქმედებითი ალღოთი ჩაწვდა ორიგინალის მხატვრულ სამყაროს, თუმცა, მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში აზრი ზუსტად ვერ აღიქვა და დასცილდა ორიგინალს. საბამ დიდი და მრავალმხრივი მუშაობა ჩაატარა ვახტანგისეული პწკარედის გასამართავად, მხატვრული სული შთაბერა მას და დამოუკიდებელი, ორიგინალის ტოლფასი მაღალმხატვრული თარგმანი შექმნა.

17. —. გ. ავალიშვილი – ბიბლიოფილი და კოლექციონერი // [საიუბილეო კრებული]

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ კორნელი სამსონის ძე კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად, რედაქტორები: ალ. ბარამიძე, ს. ჟღენტი, გ. ჯიბლაძე. – თბ.: [სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1959]. – გვ. 247-261.

შესწავლილია ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის მიერ 1784 წელს რუსეთში მივლინებული და სიცოცხლის ბოლომდე იქ მოღვაწე ქართველი დიპლომატის, ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის, გიორგი ავალიშვილის კულტურული-ლიტერატურული საქმიანობა. იგი წერდა ლექსებს, თარგმნიდა რუსულიდან ქართულად, შეადგინა იმ დროს ხელმისაწვდომ ქართულ თხზულებათა ანთოლოგია „წამებულთაჲ“, აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებს. სტატიაში წარმოჩენილია მისი ღვაწლი მარი ბროსეს მიერ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისა და 1819-1820 წლებში ეგვიპტესა და პალესტინაში სიძველეთა შესწავლა-შეგროვების საქმეში: დაფიქსირებულია იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრიდან უძველესი 9 ქართული, თითო სირიული და ეთიოპური ხელნაწერების, ოთხი ნაბეჭდი წიგნის, აგრეთვე, მუმიებისა და ერთი ეგვიპტური სარკოფაგის ჩამოტანის ფაქტები. მიმოხილულია ხელნაწერთა მისი პირადი კოლექცია, რომელიც იერუსალიმურ კოდექსთა გარდა, უმთავრესად

ვახტანგ VI-ის სახელთან დაკავშირებულ ასტროლოგიურ-ასტრონომიული ხასიათის ხელნაწერებს შეიცავს. ეს კოლექცია 1841 წელს შეიძინა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ. სხვა ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად, გამოქვეყნებულია ქართველი მოღვაწის მიერ ქართულ ენაზე შედგენილი გასაყიდად გამიზნული 13 ხელნაწერის სია, რომელიც იერუსალიმიდან ჩამოტანილ მხოლოდ 7 ხელნაწერს შეიცავს და „წარმოადგენს ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობის პირველ ნიმუშს“; სპეციალურ ცხრილში მითითებულია ზემოაღნიშნული 9 იერუსალიმური ხელნაწერის კვალი ძველ კატალოგებში და მათი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი.

18. —. *შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში* // აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. – XX-B. – 1959. – გვ. 85-104. – რეზ. რუს. ენ.: К истории грузинских культурных очагов на Черной горе в первой половине XI века, გვ. 104.

სირიაში, შავ მთაზე ქართული მწიგნობრული კერების მრავალსაუკუნოვან ისტორიასთან, განსაკუთრებით, მის დამაარსებლებთან და პირველ მოღვაწეებთან დაკავშირებული მრავალი საკითხი დღემდე შეუსწავლელია. ასევე, მწირია ცნობები აქ XI ს.-ში არსებული ქართული მონასტრების შესახებ, ხოლო კალიპოსისა და რომანა წმიდას ქართული მონასტრების მშენებლობის თაობაზე სა-

ერთოდ არაფერია ცნობილი. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული XI ს.-ის კალიგრაფიული ნუსხურით გადაწერილი H-2211 (გიორგი მთაწმიდლის თარგმნილი „დიდი სგნაქსარი“) და ამავე ინსტიტუტში დაცული, 1035 წელს შატბერდის მონასტერში გადანუსხული A-135 კოდექსების ანდერძები, რომლებიც მოწმობს, რომ XI ს.-ის 60-იან წლებში შატბერდის სამმოს მხარდაჭერით, დავით და იოანე ჯიბისძეების მოთავეობით, ქართველთა ჯგუფი ტაოდან შავ მთაზე გაემგზავრა, სადაც ძელი ცხოველის ეკლესია ააშენა და მისი წიგნსაცავისათვის ხელნაწერთა გადაწერა დაიწყო. ეს ანდერძები, რომელთა ტექსტები პირველად ქვეყნდება, ერთადერთი დოკუმენტია შავი მთის ძელი ცხოველის ქართული ეკლესიისა და დავით და იოანე ჯიბისძეების კულტურული მოღვაწეობის შესახებ.

1960

19. —. „ძეგლი ერისთავთა“ ერთი ადგილის გაგებისათვის // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის II სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი, 1960 წლის 18-19 ნოემბერი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ., 1960. – გვ. 8.

საკვლევ დოკუმენტში დაცული ცნობა, რომლის თანახმადაც გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346)

„კლიტენი იერუსალიმისანი“ მიიღო, უნდა ნიშნავდეს ქართველთათვის არა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნებას, როგორც ეს დღემდე იყო მიჩნეული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ – ქრისტეს საფლავის ეკლესიის კლიტის გადაცემას ქართველი მეფისათვის 1316 ან 1320 წლებში ეგვიპტეში, მამლუქთა სულთანთან მისი ერთ-ერთი ელჩობის დროს.

20. —.Еще раз о могиле Шота Руставели // Вечерний Тбилиси.– 1960. – 30 ივნისი. – № 154 / 2154. – გვ. 3.

გამოხმაურება გაზეთებში „ვეჩერნი ტბილისსა“ და „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ამონარიდებზე უკრაინელი მწერლის, გ. პლოტკინის წიგნიდან, სადაც მოთხრობილია ტურისტების მიერ იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის მოხილვისა და შოთა რუსთველის საფლავის გვირგვინით შემკობის შესახებ, რაც მკითხველმა ისე აღიქვა, თითქოს, აქ მართლაც ყოფილიყო შესაძლებელი დიდი ქართველი პოეტის საფლავის ხილვა. ავტორის აზრით, დასაშვებია, ეს ლეგენდა მონასტრის მკვიდრთა შორის ჩამოყალიბებულიყო XX ს.-ის დასაწყისში, უფრო სწორად, XIX ს.-ის უკანასკნელ წლებში მონასტრის რემონტის შემდეგ, როდესაც, ზოგიერთ სხვა ფრესკასთან ერთად, რუსთველის ფრესკაც გადაიღება. ლეგენდა რეალობას მოკლებულია, რადგანაც, არც ერთ ქართველ ან უცხოელ მკვლევარს, რომლებმაც XVIII ს.-ის მეორე ნახევარში სამეცნიერო მიზნით მოი-

ბილეს ეს სავანე, არ უნახავს რუსთველის საფლავი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა „ვეჩერნი ტბილისში“ დასტამბული ჟურნალისტ ს. ლოსევის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ტურისტებმა მონასტერში ნახეს არა პოეტის საფლავი, არამედ – ადგილი, სადაც იგი გადმოცემით არის დაკრძალული. ს. ლოსევის მიერ მოყვანილი ცნობებს ელ. მეტრეველი მიიჩნევს გადმოცემად, რომელსაც დამოუკიდებელი ისტორიული ფასეულობა გააჩნია. ს. ლოსევი სავსებით სამართლიანად უთმობს დიდ ყურადღებას იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებს, რომლებსაც იკვლევენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები. საჭიროა ქართულ ხელნაწერთა მოძიება იერუსალიმის სხვა ქართულ კერებშიც, რომელთა უმრავლესობა XV-XVII სს.-ში ლათინების, ბერძნებისა და სომხების ხელში გადავიდა. საქმე ისაა, რომ XIX ს.-ის დასაწყისის მოგზაურთა ცნობებით, მხოლოდ ჯვრის მონასტერში 400-ზე მეტი ასეთი კოდექსი აღირიცხებოდა, ამჟამად კი ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, სადაც ისინი გადაიტანეს, მხოლოდ 160 ხელნაწერია შემორჩენილი.

21. —. Фреска рассказывает о многом // Вечерний Тбилиси. – 1960. – 9 დეკემბერი. – № 290 / 2290. – გვ. 3.

გამოხმაურება იერუსალიმში ჯვრის მონასტერში ქართველ მეცნიერთა მიერ შოთა რუსთველის

ფრესკის გამოვლენასა და გაწმენდაზე, რაც სპეციალისტებს დაეხმარებათ ამ მონასტრის ფრესკული მოხატულობის დათარიღებაში. აქამდე გვეჩვენა რუსთველის გამოსახულება მხოლოდ XVII ს.-ის ხელნაწერების მიხედვით, ახლა კი ასევე ვიცნობთ XVII ს.-ის ფრესკასაც, რომლის შემდგომი შესწავლა ჯვრის მონასტრის ისტორიის მასალებთან ერთად საშუალებას მოგვცემს, გავიფართოოთ ის მწირი ცოდნა, რომელიც გაგვაჩნია დიდი პოეტის ბიოგრაფიის შესახებ.

1961

22. —. *ერთი რეპლიკის გამო* // მოამბე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი). – III. – 1961. – გვ. 269-275.

პასუხი ს. ყუბანიეშვილის გამოკვლევაზე „ტიმოთე გაბაშვილი რუსეთში“ (იხ. წგნ. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად*, თბ., [1959], გვ. 339-353), სადაც ავტორი შეუძლებელად მიიჩნევდა, რუსეთის იმპერატორს, ანა ივანეს ასულს, მოეთხოვა, თავი ემართლებინა იმერეთის მეფეს, ალექსანდრე V-ს იმის გამო, რომ მან უსაფუძვლოდ დაადანაშაულა ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ოჯახი მის მიერ პეტრე I-ისათვის გაგზავნილი საჩუქრების მითვისებაში. ე. მეტრეველი ანაალიზებს საკვლევ

საკითხთან დაკავშირებულ ორ საარქივო საბუთს. პირველი ანა ივანეს ასულის მიერ ალექსანდრე-სათვის მიწერილი ოფიციალური ბარათის სამი პირია (მკვლევარი აქვეყნებს პირველ, შავ, ყველაზე სრულ პირს), საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ წერილის საბოლოო ვარიანტში გამოტოვებულია ცნობები რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობასა და შედეგებზე, აგრეთვე, იმერეთის დასახმარებლად რუსეთის მზადყოფნაზე და წერილი ისეა შედგენილი, რომ მკითხველმა ვერ გაიგოს რუსეთსა და იმერეთს შორის სეპარატისტული მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ. ამ საკითხებზე რუსეთის მთავრობის პოზიცია, რომლის შესახებაც ტ. გაბაშვილს ზეპირად უნდა მოეხსენებინა იმერეთის მეფისათვის, დასაბუთებულია მეორე საარქივო დოკუმენტში, რომელიც 1740 წლის 18 მარტს ქართველი ელჩისა და სახელმწიფო ვიცე-კანცლერის, ანდრეი ივანეს ძე ოსტერმანის საუბრის ჩანაწერია (მკვლევარს სრულად მოჰყავს მისი ტექსტი), სადაც საიმპერატორო კარი ალექსანდრეს უპასუხებს მისთვის საინტერესო ყველა საკითხზე; ამას გარდა, აცნობებს ვახტანგ VI-ის ოჯახის წინააღმდეგ აღძრული გამომძიების შედეგებზე და თავის მართლებას სთხოვს უსაფუძვლო შეურაცხყოფისათვის.

23. — *იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა // [საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის] ხელნაწერთა ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, 1961 წლის 16, 17*

ნომბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961. – გვ. 7. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი).

განხილულია იერუსალიმის ზოგიერთი ქართული მონასტრის აშენების თარიღისა და აღმშენებლის ვინაობის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები. მოგვიანებით მოხსენება ამავე სათაურით სრულად დაიბეჭდა.

24. —. ლ. ძოწენიძე. *რუსული „აპოკრიფების“ ქართული რედაქციები*. – [თბ., 1959. – 100 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი)] // მოამბე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი). – III. – 1961. – გვ. 263-268.

რეცენზია.

25. —. *შენიშვნები შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპისა და შოთა რუსთველის ფრესკის ირგვლივ // საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია)*. – 1961. – ! 3. – გვ. 228-254.

იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში დამკვიდრებული და ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში“ ასახული ტრადიციით, შოთა მე-

ჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთველია. მეჭურჭლეთუხუცესის ალაპი XII ს.-ის დამღევს, ან XIII ს.-ის დამღევს უნდა დადებულყო, მონასტრის კედელზე შოთა რუსთველის გამოსახულება კი მის სიცოცხლეშივე უნდა იყოს შესრულებული, რაც შესაძლებელს ხდის ამ ორი პიროვნების იდენტიფიკაციას. ჯვრის მონასტერი თავიდანვე ყოფილა მოხატული, შემდეგ რამდენიმეჯერ შეუკეთებიათ და მხატვრობაც განუახლებიათ. მონასტრის კედლის მხატვრობაში ორი ფენა გამოიყოფა: XIV ს.-ის დამდეგამდელი და ნიკიფორე ირბახის წინამძღვრობის დროინდელი. პირველი დაკავშირებულია 1305-1313 წწ.-ში მონასტრის მეორედ აშენებასა და ახლად მოკაზმვასთან, მეორე – 1643 წელს ნიკიფორეს მიერ ძველი მხატვრობის ნაწილობრივ განახლებასა და მისი ახალი თემატიკით შევსებასთან. ნიკიფორეს შეუკეთებია და მოუხატავს მონასტრის გუმბათი, საკურთხეველი და კედლები, სვეტებისათვის კი ხელი არ უხლია. ამიტომ მათზე გამოსახულ მომხატველთა, მათ შორის, შოთა რუსთველის ფრესკაც ძველ, ე. ი. XIV ს.-ის დამდეგამდელ ფენას უნდა მიეკუთვნებოდეს. გრიგოლ დრანდელისა (XIII-XIV სს.) და, ალბათ, არსენ ავრის გამოხატულებები XIV ს.-ის მხატვრობის ძირითადი ფენისეულია, შოთა რუსთველის ფრესკა კი XIV ს.-ის დამდეგს უნდა იყოს განახლებული, ხოლო მისი თავდაპირველი ვარიანტი – შოთას სიცოცხლეშივე შექმნილი. გამოქვეყნებული მასალების მიხედვით საკვლევ

ფრესკათა წარწერები პალეოგრაფიული და ენობრივი თვალსაზრისით XVI ს.-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

ნაშრომი ცალკე თავად შევიდა გამოკვლევაში „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.)“.

1962

26. —. *იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა* // მოამბე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი). – IV. – 1962. – გვ. 225-236. – რეზ. რუს. ენ.: Опыт датировки нескольких монастырей в Иерусалиме, გვ. 236.

იერუსალიმის ქართული მონასტრების მშენებელთა შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცალკეული ცნობების მეშვეობით ყოველთვის ვერ ხერხდება იმის დადგენა, თუ როდის აშენდა ესა თუ ის მონასტერი. წერილობითი წყაროების შესწავლისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე ნაშრომში წმინდა ბასილის მონასტრის აშენების თარიღად მიჩნეულია XV ს.-ის 60-იანი წლები, ამავე დროს, უფრო ადრინდელ ხანაში, არა უგვიანეს XV ს.-ის მიწურულისა და 1593 წლის წინ არის გადატანილი წმინდა თეოდორესა და ქრისტეს საფლავის მახლობლად, ბერძნული საპატრიარქოს გვერდით მდებარე, წმინდა ნიკოლოზის მონასტრების აშენების თარიღი, ხოლო თეკლას მონასტრის აშენების

პერიოდად, ისევე როგორც მონოგრაფიაში „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.)“, მიჩნეულია XV ს.-ის პირველი ნახევარი. გამოკვლევაში დადგენილია, აგრეთვე, საქართველოს მეფის, ბაგრატ VI-ის (1466-1478) გენეალოგია.

27. —. *ისევ ქილილა და დამანას გარშემო* // საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია). – 1962. – 1/7. – გვ. 306-328.

თანაავტორები: ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე , ა ლ . გ ვ ა ხ ა რ ი ა .

გამოხმაურება ვ. გაბესკირიას მიერ 1961 წლის 5 მაისს „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 19/1241, გვ. 3-4) გამოქვეყნებულ წერილზე „ერთი განცხადების საპასუხოდ“. ეს წერილი, თავის მხრივ, არის პასუხი სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულის საგამომცემლო კოლეგიის (ი. აბაშიძე, ილ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვ. დონდუა, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ა. შანიძე) განმარტებაზე „ქილილა და დამანას“ გამოცემის გარშემო“ („ლიტერატურული გაზეთი“, № 18/1240, 1961, 28 აპრილი, გვ. 3), რომელიც გამოქვეყნდა „მნათობსა“ და „დროშაში“ დასტამბული წერილების (ვ. გაბესკირია, *ქილილა და დამანას გარშემო*, „მნათობი“, 1961, № 3, გვ. 134-142; ალ. სიგუა, *ვინ არის „ქილილა და დამანას“ მთარგმნელი?*, „დროშა“, 1961, № 3, გვ. 18) გამო. ავტორები საფუძვლიანად წარმოაჩინენ „ქილილა

და დამანას“ ქართული რედაქციის რთულ ისტორიას და, ოპონენტის მოსაზრების საპირისპიროდ, ვრცელი საილუსტრაციო მასალის მოხმობით დამაჯერებლად ასაბუთებენ, რომ ვახტანგ VI-მ შექმნა ვაჰეზ ქაშეფის „ანვარი სოჰაილის“ მხოლოდ სიტყვასიტყვითი, პწკარედული, ხშირად გაუმართავი და ძნელად გასაგები თარგმანი, რომლის როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ნაწილზე, თავად ვახტანგის თხოვნით, იშვიათი პოეტური ინტუიციით აღბეჭდილი, განუზომლად დიდი მუშაობა ჩაატარა სულხან-საბა ორბელიანმა, რითაც ტექსტს ჭეშმარიტი მხატვრული სული შთაბერა.

28. —. *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.)*. – თბ., 1962. – 194 გვ. + 53 გვ. ტაბ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

რეც.: HELENE METREVELI, *Matériaux concernant l'histoire de la colonie géorgienne de Jérusalem du XI^e au XVII^e siècles*, Tbilisi, 1962 // Bedi Kartlisa. – XV-XVI. – 1963. – გვ. 186-187.

წიგნი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული აღაპების პუბლიკაციაა. მათი ერთი ნაწილი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული ქართული სვინაქსრის Jer. geo. 24 და Jer. geo. 25 ნუსხის მიხედვით, 1914 წელს გამოაქვეყნა ნიკო მარმა. განმეორებითი

პუბლიკაცია განპირობებულია ლაიპციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული, ე. წ. ტიშენდორფისეული ნუსხის აღმოჩენით, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია სვინაქსრის აღაპთა დათარიღებისა და წმინდა ქალაქის ქართული კოლონიის ისტორიის მრავალი, აქამდე ბუნდოვანი საკითხის გასარკვევად. ნაშრომი შეიცავს წინასიტყვაობას, გამოკვლევას, აღაპთა ტექსტებსა და კომენტარებს, აგრეთვე, ტაბულათა აღწერილობასა და პალეოგრაფიულ ალბომს, საკუთარ სახელთა და შემოწირულობათა სამიებლებს. გამოკვლევაში განსაზღვრულია აღაპთა სახეობები, ჩამოყალიბებულია მოსახსენებელთა დათარიღების ზოგადი პრინციპები და აღაპების მნიშვნელობა იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, მათი დათარიღების საფუძველზე გარკვეულია იერუსალიმის ქართველი მოღვაწეების სვინაქსარულ ცხოვრებათა და ჯვარისმამათა ქრონოლოგია, აგრეთვე, შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენებლის თარიღი და დასაბუთებულია შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტურობა, ხოლო კომენტარებში დადგენილია თითოეული აღაპის დადების დრო, მოხსენიებულ პირთა ვინაობა და მათი დამსახურება კოლონიის წინაშე.

29. —. *რამდენიმე ჰიმნოგრაფიული ტერმინის განმარტებისათვის // კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია, 1962 წლის 14 და 15 ნოემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ.: საქართველოს სსრ*

მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962. – გვ. 5. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

განხილულია X ს.-ის იადგარებში დამოწმებული ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინები: „ფარაფთონი“, „მორთული“, „სპადუგი“. თუმცა, კონკრეტულად განმარტებული არ არის მათი მნიშვნელობები.

1963

30. —. ტ. რ უ ხ ა ძ ე. *ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს.* – [თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1960. – 396 გვ.] // მოამბე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი). – V. – 1963. – გვ. 225-235.

რეცენზია.

1964

31. —. *ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა // კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია*, ეძღვნება დავით ჩუბინაშვილის დაბადების 150 წლისა და ნიკო მარის დაბადების 100 წლისთავს, [1964 წლის 27-28 ნოემბერი]. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ.: მეცნიერება, 1964. – გვ. 6. – (სა-

ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1887-1931 წწ.-ში ერთმანეთისადმი მიწერილი 220 ბარათი, რომელიც მათი მოღვაწეობის თითქმის მთელ პერიოდს მოიცავს, საზოგადოებრივ-სამეცნიერო ხასიათისაა და მათ შემოქმედებით გეგმებს, საზოგადოებრივ ინტერესებსა და მისწრაფებებს ასახავს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წერილებს, რომლებიც თბილისში კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და მისი სამეცნიერო მიზნების განსაზღვრას შეეხება.

მოგვიანებით სრულად დაიბეჭდა სათაურით: „ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერიდან“.

32. —. *ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნის უძველესი ფენის დათარიღებისათვის* // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება). – 1964. – 5/20. – გვ. 269-289.

კრიტიკულად განხილულია იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის აღაპთა კვლევის კ. ინგოროყვასეული მეთოდები სააღაპე წიგნში განწესებულ შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკებზე გამოსახული შოთა რუსთველის ურთიერთ-მიმართებასთან დაკავშირებით, რომლებიც

მკვლევარმა „რუსთველიანას“ მეორე გამოცემაში, განსაკუთრებით ფართოდ კი მის ეპილოგში ჩამოაყალიბა (იხ. პ. ინგოროყვა, *თხზულებათა კრებული*, ტ. I, თბ., 1963).

1965

33. — *ბერძნული ძლისპირების უძველესი ქართული თარგმანები // კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის VII სამეცნიერო სესია, [1965 წლის 29-30 ნოემბერი].* მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ., 1965. – გვ. 8-9. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

ბერძნული ძლისპირების პირველი და უძველესი თარგმანი შესრულებული უნდა იყოს VIII-IX სს.-ში იერუსალიმის საბაწმინდის მონასტრის ქართველ მთარგმნელთა წრეში. მისი ერთადერთი ნუსხა შემონახულია 932-940 წწ.-ში გადაწერილ სინურ ხელნაწერში Sin-34, რომლის სიძველეზე მასალის განლაგება და ძლისპირთა ავტორები მიუთითებენ. შემდგომში საკვლევი ნუსხა შევიდა ძლისპირთა ახალ კრებულებში, რომლებიც X ს.-ის მეორე ნახევრისა და XI ს.-ის დამდეგის ხელნაწერებმა შემოგვინახა. ძველი რედაქციის ძლისპირების ახალი ვრცელი ნუსხა თანდათან ივსებოდა IX-X სს.-ში ბერძნულიდან თარგმნილი ძლისპირებით. ძლისპირთა ძველი ქართული თარგმანები (მოკლე და ვრცელი კრებულები) საფუძველს იძლევა, განისაზღვროს ორი

სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ბერძნული ირმოლოგიონების ჩამოყალიბების ქრონოლოგიური მიჯნები. ისინი საინტერესო მასალას გვაწვდის, აგრეთვე, კანონთა ძლისპირების ბერძნული დედნების თავდაპირველი სახის აღდგენის, VIII-IX სს.-ში ბერძნული სიტყვების ტრანსკრიბირების საკითხის შესწავლისა და ძლისპირთა ქართული თარგმანების რედაქციების საბოლოო სახის დასადგენად.

34. — Рыцарский роман «Амиран-Дареджаниани» // Мосе Хонели. Амирандареджаниани, рыцарский роман об Амиране – сыне Дареджане. – Перевод с грузинского Б. Абуладзе. – Тб.: Литература да хеловნება, 1965. – გვ. 5-11. – (Памятники древнегрузинской литературы). – (Академия Наук Грузинской ССР. Институт Рукописей им. К. С. Кекелидзе).

წარმოადგენს XII ს.-ის ქართული სარაინდო რომანის, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ რუსული თარგმანისათვის დართულ შესავალ წერილს, სადაც მოკლედ არის განხილული თხზულებასთან დაკავშირებული ისტორიული-ლიტერატურული საკითხები.

1966

35. — დავითისა და თამარის ქება (ე. წ. აბდულმესიანი)
// ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად,

ქართული ლიტერატურის ისტორია. – II (XII-XVIII სს.). – თბ.: საბჭოთა საქართველო, 1966. – გვ. 90-115.

მიმოხილულია „აბდულმესიანთან“ დაკავშირებული კომპლექსური ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები, გაზიარებული და ახალი არგუმენტებით განმტკიცებულია ტრადიციული შეხედულება, რომლის თანახმად, საკვლევ პოემაში შექმნილი არიან თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანი. გამოთქმული და დასაბუთებულია მოსაზრება, რომ იოანე შავთელმა პოემა 1206 წელს დავით სოსლანის მიერ ბასიანის ველზე რუმის სულთანზე, რუქნადინზე ბრწყინვალე გამარჯვებას მიუძღვნა, თუმცა, პირდაპირ არ მოიხსენია ისტორიული რეალიები, ხოლო ნაწარმოების უკანასკნელი, 96-107 სტროფები დავით სოსლანის გარდაცვალების გამო დაწერილი ელევიაა; მკვლევარი თხზულების შექმნას 1206-1207 წწ.-ით ათარიღებს. გამოკვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, აგრეთვე, პოემის მხატვრული მხარის ანალიზს.

36. —. „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის // შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, [საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო ნაშრომთა თემატური კრებული, ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს]. – თბ.: მეცნიერება, 1966. – გვ. 160-177. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

„მეხელი“ აქამდე ეთნიკურ-კულტურულ (მ. ჯანაშვილი, ნ. მარი) ან მუსიკალურ (პ. კარბელაშვილი, კ. კეკელიძე, ჟ.-ბ. თიბო) ტერმინად მიიჩნეოდა. წერილობითი წყაროებისა და ბიზანტიური საეკლესიო პოეზიის ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ადგენს, რომ ტერმინები „მეხელი“ და „მეხური“ უკავშირდება ნევმირების, ანუ ნოტირების ცნებებს: მეხელი არის ის, ვინც ნევმირებას აწარმოებს, მეხური კი – ნევმირებული, ნოტირებული. აქედან გამომდინარე, მეხური ძლისპირები და საგალობლები ნევმირებულ ძლისპირებსა და საგალობლებს ნიშნავს, ხოლო მეხელებად იწოდებოდნენ IX-X სს.-ის პროფესიონალი მთარგმნელი მგალობლები. ისინი საფუძვლიანად იცნობდნენ მეხურ გალობას, ანუ ბიზანტიური ხმიანი ირმოლოგიური გალობის თეორიასა და პრაქტიკას და, საგალობელთა ბერძნულიდან ქართულად თარგმნასთან ერთად, „ნიშანთა სისწორით“, ანუ ორიგინალის ზუსტი ნოტაციის დაცვით მათი მეტრულ-მუსიკალური გაწყობა ევალეობდათ. VIII ს.-ში ბიზანტიურ

პოეზიაში მომხდარი გარდატეხის ასახვის მიზნით, მათ განაახლეს VII-VIII სს.-ში შემუშავებული არქაული ტიპის ქართული იადგრები: VIII-IX სს.-ში საბაწმიდის მონასტერში თარგმნეს ახალი ძლისპირები და გალობის კილოს ზუსტად გადმოსაცემად „თგნიერ ქარაგმისა“ გამართეს „მეხური იადგრის“ ტექსტი. როგორც ჩანს, ქართული ნოტაციის სისტემას საფუძვლად ათონურ-კონსტანტინოპოლური მუსიკალური ტრადიცია უძევს და მისი უძველესი ნიმუშებია „ბრწყინვალე ხელნაწერები“, რომლებიც X ს.-ით თარიღდება მაშინ, როდესაც ბერძნულად ამ დროიდან პალეობიზანტიური, ხაზოვანი ნოტაციის ცალკეული ფრაგმენტებია შემონახული. ბიზანტიურ და ქართულ ნევმირებულ ლიტურგიკულ კრებულთა სიმცირე იმით აიხსნება, რომ ისინი იყო არა საღმრთისმსახურებო, არამედ – დიდ ტაძრებთან არსებული სპეციალური სკოლების სახელმძღვანელო წიგნები მაგლობელთა გასაწვრთნელად. XI ს.-დან მოყოლებული, შემუშავდა ახალი ტიპის იადგრები, სადაც საგალობელს პროფესიონალი მთარგმნელი ჰიმნოგრაფი თარგმნიდა, ტექსტის ზუსტ კილოზე გასაწყობად კი პროფესიონალი მუსიკოსი ზრუნავდა.

1968

37. —. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის
(პ. რატიანის წერილის გამო) // მნათობი. – 1968. – ! 8.
– გვ. 164-178.

თანაავტორები: ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე ,
ს . ც ა ი შ ვ ი ლ ი .

კრიტიკულად არის გაანალიზებული პ. რატიანის წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის», რომელიც 1968 წელს ოთხ ნაწილად დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (№ 2, გვ. 150-178; № 3, გვ. 177-186; №4, გვ. 151-165; № 5, გვ. 112-134). ამ წერილის თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, შოთა რუსთველი, უნდა ყოფილიყო არა მესხეთის ქალაქ რუსთავის მკვიდრი საერო პირი, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი, არამედ – თბილისთან მდებარე ქალაქ რუსთავის ეპისკოპოსი. თანაავტორები საფუძვლიანად ასაბუთებენ, რომ ამ თვალსაზრისის გამოთქმისას „მკვლევარს ვერ გამოუყენებია მისთვის საჭირო ყველა პირველწყარო, ზოგი წყაროს შინაარსი მას სწორად ვერ გაუგია და აზრი დაუმახინჯებია, ზოგი წყაროს მასალა ცალმხრივად გაუშუქებია, ზოგი რამ თვითონ შეუთხზავს“ (გვ. 178).

გამოხმაურება: პ . რ ა ტ ი ა ნ ი , ი ს ე ვ
„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობაზე // ცისკარი.
– 1969. – № 11. – გვ. 123-139.

ავტორი ხაზს უსვამს მისი კრიტიკოსების მიერ არჩეული მეცნიერული კამათის ფორმის მიუღებლობას; დაწვრილებით განიხილავს ორი რუსთველის პრობლემას და ასაბუთებს, რომ საქართველოში არ შეიძლებოდა, ერთდროულად ორი გამოჩენილი რუსთველი ყოფილიყო; აანალიზებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მონაცემებს მისი ავტორის შესახებ და წარმოაჩენს მათ მნიშვნელობას პრობლემის გარკვევისათვის.

38. —. *ძლისპირთა ქართული კრებულები და მათი მნიშვნელობა ბერძნული „ირმოლოგიონის“ შესწავლისათვის // კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის X სამეცნიერო სესია, [1968 წლის 20-21 მაისი].* მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ., 1968. – გვ. 10-11. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

ქართული ძლისპირების („ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“) ხელნაწერები ნაკლებადაა შესწავლილი, არ არსებობს მათი არც ფოტოპირები და არც – ბეჭდური გამოცემები. ამავე დროს, სიძველისა და შედგენილობის თვალსაზრისით ისინი სრულიად უნიკალურია. მათ შემოგვინახეს ბერძნული ირმოლოგიონების ყველაზე ადრეული რედაქციები. ბოლო დრომდე მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში გავრცელებული იყო მხოლოდ OdO ტიპის ირმოლოგიონი. საბაწმიდურ-სინური ხელნაწერის შესწავლამ გამოავლინა X ს.-ის შუა წლების ნუსხა Sin. geo. 34, რომელიც შეიცავს KaO

ტიპის ირმოლოგიონს, რომლის თარგმანი შესრულებული უნდა იყოს არა უგვიანეს IX ს.-ისა. ეს „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ შეიცავს რვა კანონად დალაგებულ 64 ძლისპირს, რომელთა ავტორები არიან კოზმა იერუსალიმელი და იოანე დამასკელი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ X ს.-დან თანდათანობით ირღვევა ირმოლოგიონთა თავდაპირველი შედგენილობა და ძველ კანონებს ნაწილობრივ ე. წ. „შედგენილი კანონები“ ცვლის, რის გამოც გვიანდელი (XI-XIII სს.) ხელნაწერების მიხედვით ვერ ხერხდება კანონების თავდაპირველი სახისა და მათი ავტორების დადგენა. XI ს.-ზე ადრინდელი ბერძნული ირმოლოგიონის ხელნაწერი კი დღეისათვის გამოვლენილი არ არის. ვინაიდან ქართული KaO ტიპის ირმოლოგიონი ყველაზე ადრინდელია და, ამავე დროს, შეიცავს IX ს.-ის თარგმანს, ამიტომ ბერძნული ირმოლოგიონის კანონთა თავდაპირველი შედგენილობა, შეიძლება, ქართულის მიხედვით აღვადგინოთ.

1969

39. —. *ეროვნული საუნჯის მოამაგე* // ძეგლის მეგობარი. – ! 18. – 1969. – გვ. 63-66. – რეზ. რუს. ენ.: Хранитель националь национальной сокровищницы, посвящается памяти проф. И. В. Абуладзе (1901-1968), გვ. 75.

ემღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ფილოლოგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ილია ვლადიმერის ძე აბულაძის ხსოვნას, ვისი თაოსნობითაც 1958 წელს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომლის პირველი და სიცოცხლის ბოლომდე შეუცვლელი დირექტორი თვითონვე იყო.

40. —. Древние редакций грузинского Ирмология // Конференция по вопросам археографии и изучения древних рукописей, Тбилиси, 3-5 ноября 1969 года. Тезисы докладов. – Тб. Мецნიереба, 1969. - გვ. 36-38.- (Археографическая комиссия при Отделении Истории АН СССР; Институт рукописей им. К.С. Кекелидзе АН ГСССР).

ობფ.: Н.А. Долдобанова, Деятельность Археографической комиссии в 1969 г. // Археографический ежегодник, за 1969 год. – 1971. – გვ. 327.

ქართულ ძლისპირთა კრებულების X ს.-ის ნუსხების (Sin. goe. 1, 14, 20, 26, 34) შესწავლის საფუძველზე განსაზღვრულია „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“-ის ძირითადი ტიპები: KaO ტიპის მოკლე და OdO ტიპის სრული რედაქციები, აგრეთვე, მათი განვითარების უმთავრესი ეტაპები. საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ თუმცა, „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ საბაწმიდელი ქართველი ჰიმნოდებისა და ლიტურგისტა მიერ ბერძნულიდან ნათარგმნ ტექსტებს შეიცავს, ისინი შედგენილია ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც განაპირობებს ბერძნული და სლავური ირმოლოგიონებისაგან მათ სტრუქტურულ და შინაარსობრივ განსხვავებას.

1970

41. —. *იძულებითი პასუხი* // მნათობი. – 1970. – !3. – გვ. 170-178.

თანაავტორები: ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე ,
ს . ც ა ი შ ვ ი ლ ი .

წერილის ავტორები აღნიშნავენ, რომ პ. რატიანმა პასუხი არ გასცა და არც მიიღო მათ მიერ მისი წიგნის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის“ (თბ.: მერანი, 1969, 224 გვ.) შესახებ გამოთქმული არც ერთი შენიშვნა და „უცვლელად, ან, უფრო ზუსტად, თითქმის სრულიად უცვლელად გაიმეორა“ ადრე „მნათობში“ (№ 2, გვ. 150-178; № 3, გვ. 177-186; № 4, გვ. 151-165; №5, გვ. 112-134) გამო-

ქვეყნებული ტექსტი, ამასთანავე, წიგნს დაურთო ახალი განყოფილება „ისტორიულ-ლიტერატურული საბუთები რუსთაველზე“ (გვ. 169-220), სადაც შეტანილია ამონაწერები სხვადასხვა წყაროდან, რომლებიც ავტორს მოხმობილი და გამოყენებული ჰქონდა თავის საჟურნალო წერილში და აბსოლუტურად ახალს არაფერს შეიცავს. მკვლევრის თვალსაზრისს არავითარი საფუძველი არ გააჩნია, მას ვერ გამოუყენებია მისთვის საჭირო ყველა პირველწყარო, ზოგის შინაარსი სწორად ვერ გაუგია და აზრი დაუმახინჯებია, ზოგიც – ცალმხრივად გაუშუქებია, ზოგი რამ კი თვითონ შეუთხზავს. ამიტომ, ბუნებრივია, ისმის „კითხვა, რა საჭიროებამ განაპირობა ნარკვევის სასწრაფო ხელმეორე პუბლიკაცია?!“.

42. —Илья Владимирович Абуладзе (1901-1968) // Археографический Ежегодник, 1968 год. – 1970. – გვ. 465-466.

ნეკროლოგი.

43. —. *ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერიდან* // მრავალთავი. – I: [ედღვნება პროფ. ილია აბულაძის ხსოვნას]. – 1971. – გვ. 381-392. – რეზ. რუს. ენ.: Из переписки Н. Я. Марра и Е. С. Такайшвили, გვ. 392.

„წაკითხულია [მოხსენებად] 1964 წლის 27 ნოემბერს დ. ჩუბინაშვილისა და ნ. მარისადმი მიძღვნილ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესიაზე“ (გვ. 381). ლენინგრადში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივსა და თბილისში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მათი საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს პერიოდში (1887-1931 წწ.) ერთმანეთისადმი გაგზავნილი უაღრესად უშუალო, სიყვარულით, ზოგჯერ კი მწარედ და თავშეუკავებლად მიწერილი 225 ბარათი. პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს მეგობრებმა ერთად დაისახეს მიზნად იმდროინდელი ქართველოლოგიის ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე აყვანა. ნიკო მარი ქართულ ენასა და ლიტერატურას სწავლობდა, ექვთიმე თაყაიშვილი – საქართველოს ისტორიასა და არქეოლოგიას. მიმოწერა მოწმობს არა მხოლოდ მათი სამეცნიერო ძალისხმევის კოორდინაციას, არამედ მუდმივ, გულწრფელად მეგობრულ, უშურველ ურთიერთდახმარებას, ხშირად კი – საერთო საქმის

საკეთილდღეოდ პირად სურვილებსა და გეგმებზე უარის თქმის იშვიათ უნარსაც. მართალია, კავკასიაში კავკასიოლოგიური სამეცნიერო ცენტრების შესაქმნელად ნიკო მარის პირველი ცდა – ქართულ-სომხური ფილოლოგიის მუშაკთა ყრილობის მოწვევა – მარცხით დამთავრდა, მაგრამ, საბოლოოდ, 1917 წლის ივნისს მან მინც შეძლო თბილისში კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის გახსნა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოლოგიის განყოფილებამ მის ნამდვილ წევრებად აირჩია ექვთიმე თაყაიშვილი და გიორგი ჩუბინაშვილი, ადიუნქტებად კი – ს. ტიგრანიანი და დ. გორდეევი. 1917-1918 წწ.-ში დაწერილი ბარათები შეუფარავი ტრაგიზმით აცოცხლებს იმ სირთულეებსა და ფიზიკური განადგურების რეალურ საფრთხეს, რომელიც კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპონატებს, თვით ინსტიტუტსა და, საერთოდ, მეცნიერებას დაემუქრა. ეს წერილები ცხადყოფს, აგრეთვე, იმ საოცარ სიმტკიცესა და საქმისადმი ერთგულებას, რომელიც, ექვთიმე თაყაიშვილის მესვეურობით, ინსტიტუტის კოლექტივმა გამოიჩინა რევოლუციისა და ომების ქარიშხლიან წლებში. „გაზვიადებულმა და გაუაზრებელმა შიშმა ბობოქარი აწმყოსა და გაურკვეველი მომავლის წინაშე და უსაზღვრო სიყვარულმა ქართული კულტურისადმი გადააწყვეტინა ე. თაყაიშვილს ქართული განძეულობის – სამუზეუმო ნივთებისა და ხელნაწერების ევაკუაცია საფრანგეთში“

(გვ. 391). 1921 წელს, როდესაც ექვთიმემ მარსელიდან უკანასკნელი წერილი მისწერა პარიზში მყოფ ნიკო მარს და აცნობა ინსტიტუტის შესახებ, საბოლოოდ გაიყო ამ ორი მეგობარი მამულიშვილისა და „[...] დიდი მეცნიერის საერთო გზა, რომელსაც ისინი 1888 წლიდან ერთად კვალავდნენ“ (გვ. 392).

1973

44. —. *შინაარსიანი ცხოვრების გზა* // ლიტერატურული საქართველო. – 1973. – 16 ნოემბერი. – ! 45/1889. – გვ. 4.

მიმოხილულია მხცოვანი ისტორიკოსის, ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძის პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, წარმოჩენილია მისი გამორჩეული ღვაწლი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში, ქართული სტამბისა და ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების, ასევე, XIII-XVIII სს.-ის საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის კვლევაში, ძველ ქართულ ხელნაწერთა აღწერასა და შესწავლაში, ხაზგასმულია მისი მაღალი პიროვნული და საქმიანი თვისებები.

ერთვის ქრ. შარაშიძის პორტრეტი.

45. —. *ჰიმნოგრაფიული ტერმინების „ფარაფთონისა“ და „მოსართავის“ გაგებისათვის* // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. – XVIII: ეძღვნება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავას, დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისა და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავზე. – 1973. – გვ. 144-154.

რეც.: Outtier, H. METREVELI, *Sur la compréhension des termes hymnographiques paraptoti et mosartavi*, extrait de *Iberiuł-k'avk'asiuri enatmecniereba*, t. XVIII, 1973, Tbilisi, p. 144-154 (en langue géorgienne) // *Bedi Kartlisa*. – XXXIII. – 1975. – გვ. 386-387.

ტერმინი „ფარაფთონი“, რომელიც ქართულში ბერძნული $\pi\alpha\rho\acute{\alpha}\pi\tau\alpha$ ზმნის აწმყოს მიმღეობიდან $\pi\alpha\rho\acute{\alpha}\pi\tau\alpha\nu$ შემოსული უნდა იყოს, მხოლოდ X ს.-ის სამ უძველეს იადგარში – Sin. geo. 1, Sin. geo. 34 და S-425 – გვხვდება. იგი ზოგადი მნიშვნელობის ცნებაა, საუფლო დღესასწაულებზე სავალდებულოდ დამატებით სათქმელ შესხმებს აღნიშნავს და ძლისპირთა შემდეგ მოთავსებულ „ღმრთისმშობლის შესხმათა“ მიმართ იხმარება. მისი შესატყვისი ძველი ქართული ტერმინი „მოსართავი“, ანუ „მისამატებელი“, „დასართავი“ და მისგან წარმოებული ცნებები – „ჩასართავი“, „წართული“, „მორთული“ – X-XVIII სს.-ის საღმრთისმსახურებო ძეგლებში დიდ და საუფლო დღესასწაულებისათვის განკუთვნილ დამატებით შესხმა-გალობას გამოხატავს. „ფარაფთონი“, როგორც ლიტურგიკული ტერმინი, დაკარგული ჩანს საკუთრივ ბერძნულში, სადაც გვიანდელი პერიოდის, XI-XIII სს.-ის ირმოლოგიონებში ირმოსებს

უშუალოდ ერთვის რვა ხმაზე გაწყობილი ერთი პატრონისადმი მიმართული შესხმები, ანუ μακαρισμοί, რომლებიც დაფიქსირებულია, აგრეთვე, ოქტოიხოსებში და წირვაზე მეექვსე და მეცხრე ჟამს შორის იგალობება. ამით ისინი ქართული იადგრების ფარაფთონებს მოგვაგონებს და, შესაძლოა, ფარაფთონთა შემდგომდროინდელ სახესხვაობა იყოს.

1974

46. —. *ავალიშვილი გიორგი ივანეს ძე // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 1. – თბ.: მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1975. – გვ. 114-115.

47. —. *იერუსალიმის ერთი ხელნაწერის გამო // საიუბილეო კრებული*, ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძეს დაბადების სამოცდაათი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავზე. რედაქტორები: ი. ვ. ლ. ო. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ს. ც. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., გ. შ. ა. რ. ა. ძ. ე. – თბ.: მეცნიერება, 1974. – გვ. 185-195. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. შოთა რუსთაველის სახე-ლობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი).

შესწავლილია იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული წმინდა ქალაქის ქართველთა ჯვრის მონასტრის სვინაქსრის Jer. geo. 60 ნუსხა, რომელიც შეიცავს

სხვა – Jer. geo. 24 და Jer. geo. 25 ნუსხებიდან გადმოტანილ უძრავ დღესასწაულებზე განწესებულ ალაპთა ერთ ნაწილს. მათ შორის სამი, არა უგვიანეს, XV ს.-ის ხელით არის ჩაწერილი, დანარჩენი – იმავე ხელით, რითაც ანტიგრაფულ ნუსხებში დაფიქსირებულია ნიკიფორე ჯვარისმამის განკარგულებით XVII ს.-ის შუა ხანებში დადებული ალაპები. ახალ ნუსხაში გამოტოვებულია მოძველებული მოსახსენებლები, სხვები, როგორც წესი, შემოკლებული სახით არის გადმოტანილი; ხელნაწერი შეიცავს რამდენიმე ახალ ალაპსაც. საკვლევ კოდექსში შემონახულია ათი ალაპიც, რომლებიც, სავარაუდოდ, Jer. Geo. 24 და Jer. geo. 25 ნუსხების დღეისათვის დაკარგულ პირველ ხუთ ფურცელზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ეს ალაპები უცნობ ფაქტებს გვაწვდის XIII ს.-ის უკანასკნელ მეოთხედში ჯვრის მონასტერში გართულებული ვითარების შესახებ, იძლევა XIII ს.-ში დადიანებისადმი მიძღვნილ ალაპთა რამდენიმე ფენის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საფუძველს და მოწმობს, რომ საქართველოს ისტორიაში სხვადასხვა დროს ორი ცოტნე დადიანი მოღვაწეობდა: პირველი იყო 1246 წლის კობლას-თავის აჯანყების ცნობილი გმირი, მეუღლე ნათელისა, მეორე – ძე შერგილ და ნათელ დადიანებისა.

1975

48. [—.] ვახტანგ VI // შემდგენლები: ელ. მეტრეველი, ვ. ბერიძე, მხატვარი ზ. ფორჩხიძე. — თბ., 1975. — 16 გვ. + [18 მინიატურა დანართად].

ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე მოკლედ მიმოხილულია გამოჩენილი პოლიტიკოსის, დიპლომატის, მეცნიერისა და პოეტის, ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის ცხოვრების, სახელმწიფო-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-საგამომცემლო მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, წარმოჩენილია მისი როლი ღრმად ეროვნული და რეალისტური პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების, ირანულ-თურქული ძალადობისა და შინაფეოდალური ბრძოლები-საგან განცვაწყვეტილი, ეროვნული შეგნებისაგან დაცლის საშიშროების წინაშე მდგარი ქვეყნის სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგების, ეკონომიკური, კულტურული და სულიერი აღორძინების საქმეში.

ტექსტი ხელმოუწერელია, მაგრამ მისი შედარება მოგვიანებით ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატების „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ 1983 წლის №2 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიასთან „ვახტანგ მეექვსე“ გვიჩვენებს, რომ იგი ე. მეტრეველს ეკუთვნის.

49. —. *ნავ-ყვარყვარეს უცნობი დოკუმენტი* // მრავალთავი. – IV. – 1975. – გვ. 192-205. – რეზ. რუს. ენ.: *Неизвестный докомент Нав-Кваркваревз*. 205.

ავტორისათვის ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკაში Iვრ. IV 115 შიფრით დაცული დოკუმენტის ფოტოასლი 1973 წელს გამოსაქვეყნებლად გადაუცია პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის შემსწავლელი ინსტიტუტის თანამშრომელს, ჟაკ ლეფორს. მისი შესწავლით დადგინდა, რომ იგი ათონის ივერთა მონასტრის კრებულის სახელზე ქაიხოსრო ათაბაგის ძის, ნავ-ყვარყვარესა და მისი თანამეცხედრის, ანას მიერ გაცემული შეწირულობის წიგნია, რომელიც 1532 წელს უნდა იყოს შედგენილი გამოცდილი გადამწერის, ჯაყელის შვილის, იაკობის, მიერ. დოკუმენტი გვიხატავს ფეოდალთა კირთების ცხად სურათს და ახალ, მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XVI ს.-ის 30-იან წლებში, კერძოდ, ნავ-ყვარყვარეს ათაბაგობის პერიოდში (1516-1535) სამხრეთ საქართველოში შინაფეოდალური ბრძოლებისა და წინააღმდეგობების შესახებ. ამასთანავე, იგი საშუალებას იძლევა, ერთმანეთისაგან გაირჩეს XVI ს.-ის დასაწყისში სამხრეთ საქართველოში მოღვაწე, იაკობის სახელით ცნობილი ორი კალიგრაფი-გადამწერი: ერისკაცობაში მზექაბუკ ათაბაგი (1500-1515), შვილი ყვარყვარე II ათაბაგისა (1451-1498) და მისი მეუღლის, დედისიმედისა, და საკვლევნი სიგელის გადამწერი, ძე იოანეს სახელით ბერად აღკვეცილი იო-

სებ ჯაყელისა. სიგელი დაწერილია ძალიან თხელ და თეთრ ეტრატზე, კალიგრაფიული, დახვეწილი ხელით. შედგება ერთმანეთზე წითელი ძაფით გადაკერებული შვიდი კეფისაგან. დოკუმენტის სიგანე 18,7 სმ-ია, სიგრძე – 21,9 სმ. დასაწყისი სტრიქონი შესრულებულია სინგურით, ტექსტი – შავი მელნით, გამოირჩევა ასოთა თავისებური გადაბმით, მოყვანილობითა და სტილიზაციით. სტატიას ახლავს შეწირულობის წიგნის ფაქსიმილე და მისი კრიტიკულად დადგენილი ტექსტი.

50. —. *შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში // მრავალთავი. – V: [ეძღვნება აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს]. – 1975. – გვ. 22-44. – რეზ. რუს. ენ.: Шеханская пустыня – неизвестный грузинский скрипторий XI века в Палестине, გვ. 44.*

განხილულია პალესტინაში ქართული სავანის – შეჰანის უდაბნოს ისტორია და მისი მამულებლის, გაბრიელ შეჰანელის კულტურული მოღვაწეობა. იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძებისა და მინაწერების შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ XI საუკუნის მეორე ნახევარში ტფილელი ეპისკოპოსი გაბრიელი დიდი პატივისცემით სარგებლობდა ჯვრის მონასტერში, რომლის მამულებელ და პირველ წინამძღვარ გიორგი-პრობორე შავთელთან ერთად დიდ კულტურულ

საქმიანობას ეწეოდა. გიორგის გარდაცვალებამდე (1066 წ.) გაბრიელმა დატოვა ჯვრის მონასტერი და ქართველ ბერთა ჯგუფთან ერთად ტრანსიორდანიში, მდინარე არნონის ხეობას მიაშურა, რომლის მახლობლად, შეჰანის მთაზე, არა უგვიანეს 1061 წლისა, ქართული სავანე ააშენა. იგი ზემოაღნიშნულ წყაროებში „შეჰანის უდაბნოდ“, ხოლო გაბრიელი – მის „მაშენებლად“ და „მამად“, ანუ წინამძღვრად მოიხსენიება. ჯვრის მონასტრის სამშოს დახმარებით, შეჰანელთა სკრიპტორიუმი აქტიურ მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდა: მოიგებდნენ და გადაწერდნენ ხელნაწერებს, უყურადღებოდ არ ტოვებდნენ იმდროინდელ ლიტერატურულ პროცესებს. წერილობითი წყაროების მიხედვით, შეჰანის უდაბნო XIII ს.-ის დასაწყისამდე არსებობდა. „გიორგი-პროხორეს ცხოვრებაზე“ დაყრდნობით, ავტორი ვარაუდობს, რომ გიორგი-პროხორემ სიცოცხლის უკანასკნელი წლები შეჰანის უდაბნოში გაატარა.

51. —. Грузинские литургические памятники и вопросы грузинской и греческой гимнографии // Всесоюзная научная конференция «Античные, византийские и местные Традиции в странах Восточного черноморья», Май 1975 г. Тезисы докладов. – Тб.: Издательство Тбилисского Университета, 1975. – გვ. 94-95 – (Министерство высшего и среднего специального образования СССР; Министерство высшего и среднего специального образования ГССР; Тбилисский Государственный Университет).

ქართულ ენაზე თარგმნილი IX-XI სს.-ის ლიტურგიკული წიგნები უცხოელ მეცნიერთა ყურადღებას უწინარესად იმის გამო იმსახურებს, რომ მათში წარმოჩენილია იერუსალიმური პერიოდის (IV-IX სს.-ის) უძველესი ქრისტიანული ღმრთისმსახურების უმდიდრესი სურათი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები მიზანმიმართულად იკვლევენ ქართული „თთუენის“ უძველეს რედაქციებს, რათა აღდგეს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების ერთიანი ხაზი. ეს მით უფრო აუცილებელია, რადგან ბერძნულ ენაზე დაკარგულია იერუსალიმური წარმოშობის ქართული ლექციონარისა და „თთუენის“ დედნე-ბი.

52. —. *Contribution à l'histoire de l'Hirmologion: anciens Hirmologia géorgiens // «Le Muséon». . – LXXXVIII. – 1975. – გვ. 331-359.*

[წვლილი ირმოლოგიონის ისტორიაში: ძველი ქართული ძლისპირნი]

თანაავტორი: ბ . უ ტ ი ე .

მართალია, გამოკვლევას ხელს აწერს ბერნარ უტიეც, მაგრამ სინამდვილეში იგი წარმოადგენს ე. მეტრეველის ნაშრომის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი (ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით)“ რუსული რეზიუმის ბერნარ უტიესეულ ფრანგულ თარგმანს.

53. —. *Un document inconnu de Nav Kvarkvaré du monastère de l'Iviron au Mont Athos // Bedi Kartlisa – XXXIII. – 1975. – გვ. 63-72.*

[ნავ-ყვარყვარეს უცნობი დოკუმენტი ათონის მთის ქართველთა მონასტერში]

ელ. მეტრეველის ნაშრომის „ნავ-ყვარყვარეს უცნობი დოკუმენტი“ შემოკლებული ფრანგული რედაქციაა, რომელსაც, ქართული ტექსტისაგან განსხვავებით, არ ახლავს ქაიხოსრო ათაბაგის ძის, ნავ-ყვარყვარესა და მისი თანამეცხედრის, ანას მიერ გაცემული შეწირულობის წიგნის ფაქსიმილე და კრიტიკულად დადგენილი ტექსტი.

1976

54. —. *ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია.* – 1976. – ! 4. – გვ. 67-88.

რეც. წგნ.-ზე: M. van Esbroeck, *Les plus anciens homéliaires géorgiens. Étude descriptive et historique*, Louvain, 1975 (Publications de l'Institut Orientaliste de Louvain, 10).

55. —. *დერტავისა და დერტუფას ხელნაწერების ირგვლივ (კოდიკოლოგიური შენიშვნები) // აღმოსავლური ფილოლოგია.* – 4: ეძღვნება აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხსოვნას (1904-1973). – 1976. – გვ. 74-89.

განხილულია დერტავისა და დერტუფას დედათა მონასტრების ადგილმდებარეობის საკითხი. გრიგოლ ხარიტონლავრელის აქტიური ზრუნვა ორივე მონასტრის წიგნსაცავების გამდიდრებაზე, ასევე, Jer. geo. 32 და Jet. geo. 33 ხელნაწერები მოწმობს, რომ ეს მონასტრები, სადაც ქართველი ქალებიც მოღვაწეობდნენ, დიდად არ უნდა ყოფილიყო დაშორებული როგორც ერთმანეთისაგან, ისე – ხარიტონის ლავრის ანუ პალავრისაგან, რომელიც ბეთლემიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი საათის სავალზე მდებარეობდა. ხარიტონის ლავრაში XI ს.-ის 30-იან წლებში გადაწერილი და ამ ლავრისათვის

შეწირული Jer. geo. 32 ხელნაწერის უკანასკნელ, 151v ფურცელზე XIII-XIV სს.-ის მინაწერი „დელტაორი“, რაც „დელტავურს“ უნდა ნიშნავდეს, ხელნაწერის ადგილსამყოფელზე უნდა მიანიშნებდეს. იგი მოწმობს ხელნაწერის საინტერესო თავგადასავალს. საფიქრებელია, რომ ხარიტონის ლავრიდან ეს ნუსხა უახლოეს, დერტავის სავანეში გადავიდა მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ლავრაში ქართველებმა მოღვაწეობა შეწყვიტეს. იგი დერტავიდან სხვა კოდექსებთან ერთად გადაუტანიათ იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში, სადაც საბოლოოდ თავს იყრიდა სხვა ქართული ხელნაწერები პალესტინის ქართულ სავანეთა გაპარტახებისა და მათი სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ხელში გადასვლის გამო.

56. —. დიდი ღვაწლი (პროფესორ დ. კობიძის დაბადების 70 წლისთავის გამო) // კომუნისტი. – 1976. – 10 დეკემბერი. – № 290 (16720). – გვ. 4.

თანაავტორები: ს. ჯიქია,
ვ. კოტეტიშვილი.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიმოხილულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის ლაურეატის, დავით ივანეს ძე კობიძის ცხოვრება და

მოღვაწეობა; ხაზგასმულია მისი დამსახურება ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლაში, რასაც მან სამი დიდი წიგნი მიუძღვნა: „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“ (1959 წ.), „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“ (1969 წ.), „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები“ (1974 წ.); აღნიშნულია მისი ღვაწლი ირანში მცხოვრები, წარმოშობით ქართველი პოეტების შემოქმედების წარმოჩენაში, სპარსული ლიტერატურის ისტორიის საკითხების კვლევაში, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის განვითარებაში, ქართველ ირანისტთა თაობების აღზრდასა და სახელმძღვანელოების შექმნაში.

57. —. *საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი // ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, [კრებული] ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავს.* – თბ.: მეცნიერება, 1976. – გვ. 135-139. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

განხილულია XI ს.-ის ჰაგიოგრაფიული კრებული Jer. geo. 156, რომელიც თავნაკლულია, წარმოდგენილია 206 ფურცლით და შემდეგ თხზულებებს შეიცავს: „ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა მართადის, სუმეონის

დედისად, რომელმან ილუაწა სიჩჩოდთგან ჰასაკისა თვისისა საკვრველი იგი ღუაწლი მთასა საკვრველსა“, „თუესა ივლისსა ზ. წამებად წმიდისა და ყოვლად ქებულისა, ღუაწლით შემოსილისა მოწამისა პროკოპისი“, „თუესა დეკემბერსა კვ. წამებად წმიდათა და ყოვლად დიდებულთად ათთა ქრისტეს მოწამეთად, რომელნი კრიტეს იწამნეს“. ხელნაწერისათვის დართული სამი ანდერძისა და ერთი მინაწერის ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ მის შექმნაში მონაწილეობდნენ შავი მთის, ათონის ივირონისა და ჯვრის მონასტრის ქართული სკრიპტორიუმები: ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე მოღვაწე გიორგიმ გადაწერა „მართას ცხოვრება“, გიორგი აფხაზმა მიწიწივადსემ იგი ანტიოქიიდან ჯვრის მონასტერში ჩაიტანა, სადაც ამ სავანის სამმოს წევრთან, არსენთან ერთად სხვა თხზულებებით შეავსო, ათონელმა ბერმა ბასილი ბაგრატის ძემაც გარკვეული წვლილი შეიტანა კრებულის შექმნაში, თუმცა, არ ჩანს, კონკრეტულად რით გამოიხატა ეს.

58. —. *ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით // ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული.* – თბ., 1976. – გვ. 255-259. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

იერუსალიმის ლათინთა სამეფოს არსებობის პერიოდში (1099-1187) საქართველოსა და ჯვაროსანთა შორის ურთიერთობა იერუსალიმის ქართული მონასტრების ცხოვრებაშიც აისახა. მონოგრაფიაში „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.)“ მკვლევარმა პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე გამოავლინა ქართულ სავანეთა მნიშვნელოვანი პრივილეგიები, გამოკვლევაში „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი <H-1661> (მეცნიერული აღწერილობის ცდა)“ დაადგინა, რომ ე. წ. გოლგოთას ქართული სვინაქსრის (H-1661) აღაპ-მოსახსენებელთა ერთი რიგი ტამპლიერ რაინდებს განეკუთვნება. შემდგომმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა იგივე წარმომავლობის Par. geo. 28 ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ოთხთავის ტექსტს და XII ს.-ის შუა წლებით თარიღდება. ავტორი აქვეყნებს, ასწორებს და კომენტარებს ურთავს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ადრე დაბეჭდილ (იხ. მისი, *პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში* [=] *Les manuscrits géorgiens de la Bibliotheque de Paris et les*

vingt alphabets secrets géorgiens, Paris, 1933, გვ. 61)
ამ ხელნაწერის აღაპებს და დაასკვნის, რომ მასში მოხსენიებული ფრანგები და იტალიელები, შეიძლება, იყვნენ როგორც იერუსალიმის წმინდა ადგილების მოსალოცად ჩამოსული პილიგრიმები, ასევე – ლათინთა სამეფოს მცველი ჯვაროსანი რაინდები. მიუხედავად იმისა, რომ, H-1661 ხელნაწერისაგან განსხვავებით, საკვლევ კოდექსში ტამპლიერები მათი ქართული შესატყვისით, ანუ „ტამრიელებად“ არ იხსენიებიან, H-1661 ხელნაწერის მსგავსად, მათ საკუთარ სახელებს ერთვის წოდებები „სირ“ და „პერ“, რაც უდავოს ხდის მათ ტამპლიერობას. საფიქრებელია, რომ ეს მოსახსენებლები მათ მიერ ჯვრის მონასტრისათვის გაღებული დიდი შესაწირავისთვის განუწყესეს, ხოლო მათი ქართულად ჩაწერა უნდა გამოხატავდეს კეთილგანწყობასა და პატივისცემას, რომელსაც ჯვაროსნები მუსულმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი ერთგული და საიმედო მოკავშირეების – ქართველთა მიმართ იჩენდნენ.

59. —. Значение Синайской экспедиции 1902 года в развитии грузиноведения // Доклады объединенной научной сессии Академии Наук Грузинской ССР и Тбилисского Государственного Университета, посвященной 100-летию дня рождения И. А. Джавахишвили. – Тб., 1976. – 12 გვ. – (Академия Наук Грузинской ССР; Тбилисский Государственный Университет).

შეფასებულია 1902 წელს სინის მთაზე ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ცნობილი ექსპედიციის შედეგები არა მხოლოდ იმდროინდელი ქართველოლოგიის დონის, არამედ იმ დიდი ინტერესის გათვალისწინებითაც, რომელიც მან დასავლეთის სამეცნიერო წრეებში ქართული კულტურის მიმართ გააღვიძა. საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციებს შორის სინური განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ მასში წარმოდგენილია უძველესი, V-IX სს.-ის ბიზანტიური ღმრთისმსახურების ტექსტები. სინის მთაზე ორი თვის განმავლობაში ხელნაწერთა სკრუპულოზური აღწერილობითა და საფუძვლიანი მეცნიერული შეფასებით ორმა დიდმა ქართველმა მეცნიერმა კოლოსალური მოცულობისა და მნიშვნელობის სამუშაო შეასრულა. ე. მეტრეველი საგანგებოდ ჩერდება ორ უნიკალურ სინურ – Sin. geo. 37 და Sin. geo. 34 – კოდექსზე და მოკლედ მიმოიხილავს 1902 წლის შემდეგომ მათი შესწავლის ისტორიას.

1977

60. —. *გაბაშვილი ტიმოთე // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 2. – თბ.: მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1977. – გვ. 604-605.
61. —. *კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლის-თავზე // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია.* – 1977. – № 4. – გვ. 19-40.

მიმოხილულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე 1958 წლის 30 ივნისს ჩამოყალიბებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორია, რომელსაც 1962 წელს კორნელი კეკელიძის სახელი მიენიჭა. სტატიაში წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ 1958-1977 წწ.-ში გაწეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ვრცელი ანგარიში, მიმოხილულია ინსტიტუტის მესვეურობით გამოქვეყნებული და სტამბისათვის დასაბეჭდად გადაცემული სამეცნიერო ნაშრომები, დასახულია კვლევის სამომავლო პერსპექტივები.

62. —. *Un nouvel ouvrage sur le Mravaltavi géorgien // Bedi Kartlisa.* – XXXV.– 1977. – გვ. 73-96.

[*ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე*]

რეც. წგნ.-ზე: M. van Esbroeck, *Les plus anciens homéliaires géorgiens. Étude descriptive et historique*, Louvain 1975 (Publications de l'Institut Orientaliste de Louvain, 10)

1978

63. —. *ილია აბულაძე // მრავალთავი.* – VI: ეძღვნება ილია აბულაძის დაბადების სამოცდამეთხუთმეტე წლისთავს. – 1978. – გვ. 5-6.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიმოხილულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ილია აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

64. —. *მამულიშვილის დაბრუნება. სიტყვა ისტორიკოს მიხეილ თამარაშვილზე // კომუნისტი.* – 1978. – 21 ნოემბერი. – № 271/17315. – გვ. 4.

ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ღვთისმეტყველების დოქტორის, მიხეილ (მიქელ) თამარაშვილის ნეშტის იტალიის ქალაქ ჩივიტავეკიიდან თბილისში გადმოსვენებას, მიმოხილულია მისი ცხოვრების გზა, შეფასებულია მეცნიერული მოღვაწეობა.

65. —. *უცხოეთში ახლადმიკვლეული ხელნაწერების შესახებ, ინფორმაცია // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსების 20 წლისთავისადმი, 1978 წლის 23-25 მაისი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ., 1978. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).*

საინფორმაციო მოხსენება უცხოეთში ახლადმიკვლეული ხელნაწერების შესახებ, რომლის ტექსტი მოხსენებათა თეზისებში არ დაბეჭდილა.

66. —. *ფიქრი ძველ ქართულ ხელნაწერებზე // ლიტერატურული საქართველო. – 1978. – 4 ავგისტო. – № 32/2135. – გვ. 2.*

იაკობ ხუცესის „წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისად“-ის და ქართული მწერლობის 1500 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელენე მეტრეველი და მწერალი მამუკა წიკლაური საუბრობენ ინსტიტუტის მუშაობაზე, ხელნაწერთა უმდიდრესი მრავალენოვანი მემკვიდრეობის დაცვის, შესწავლისა და გამოცემის, საზღვარგარეთ

გაბნეული ქართული ხელნაწერების მოძიება-მზრუნველობის, ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის მიწისქვეშა სახიზარიანი ახალი საფონდო და საგამოფენო კორპუსის აშენების, ფონდების მიკროფილმირებისა და ხშირად გამოყენებული ხელნაწერების ფოტოპირების მოსამზადებლად თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორიის შექმნის, საქართველოს მუზეუმებსა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაცული ხელნაწერების მიკროფილმებისა და ფოტოფირების გადაღების, ინსტიტუტის საჭირო ტექნიკით, უახლესი ტიპის მიკროფირების საკითხავი აპარატურით, ხელნაწერთა რესტავრაციისა და აკინძვისთვის საჭირო მაღალი ხარისხისა და ასორტიმენტის ქალაქდით უზრუნველყოფის და სხვა პრობლემებზე.

67. —. M. van Esbroeck, *Les plus anciens homéliaires géorgiens. Étude descriptive et historique*, Louvain 1975 (Publications de l'Institut Orientaliste de Louvain, 10) – XXXVI. – 1978. – გვ. 43-48.

[IX-X სს.-ის ქართული ლიტურგიკული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის]

იხფ.: З. В. Удалцова, Р. А. Наследцова, Б. Л. Фонкич, А. В. Банк, XV Международный конгресс византинистов в Афинах // Византийский

временник [=] Byzantina xronika. – 39. – 1978. – გვ. 38.

წაკითხულია მოხსენებად ათენში 1976 წლის 11 სექტემბერს ბიზანტინისტთა XV საერთაშორისო კონგრესსა და გერმანელ ორიენტალისტთა XX სემინარზე, რომელიც 1977 წლის 3-8 ოქტომბერს გაიმართა ერლანგენში. მეცნიერულად შეფასებულია ძველი ქართული ლიტურგიკული წყაროები – ლექციონარები, მრავალთავები და იადგრები. ისინი ნათელს ჰფენს ძველი იერუსალიმური ღმრთისმსახურების ისტორიას, რომლის წყაროები ბერძნულ ენაზე არ შემონახულა. გამოკვლეულია უძველესი იერუსალიმური იადგრის ორი რედაქცია, რომელთაგან პირველი ქართულად VI ს.-ის ბოლოს, ან VII ს.-ის დასაწყისში უნდა თარგმნილიყო და დღეისათვის X ს.-ის ოთხი ნუსხით არის შემონახული, ხოლო მეორე შემუშავებულია VII-VIII სს.-ში პალესტინაში, საბა განწმენდილის ლავრაში და ასახავს კოზმა იერუსალიმელისა და იოანე დამასკელის ჰიმნოგრაფიულ რეფორმას.

1979

68. —. *ესბროკი ვან მიშელ // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 4. — თბ.: მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1979. — გვ. 212.
69. —. *საშურ საქმედ გვესახება. წერილი რედაქციას // კომუნისტი*. — 1979. — 27 აპრილი. — № 99/17444. — გვ. 4.

თანაავტორები: ალ. ბარამიძე,
ლ. მენაბდე, ე. ხინთიბიძე, გ. ფარულავა,
მ. ქავთარია, შ. ონიანი, რ. სირაძე.

მიმოხილულია ღონისძიებები, რომლებიც გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ფილოლოგის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, კ. კეკელიძის დაბადების მესამე წლისთავის აღსანიშნავად გაიმართება. გამოთქმულია სურვილი, მეცნიერის მშობლიურ სოფელ ტობანიერში (ვანის რაიონი) გაიხსნას სახლ-მუზეუმი, რომელიც მემორიალის როლსაც შეასრულებს. საამისოდ საჭირო იქნება, მეცნიერის მამის, სამსონ კეკელიძის მიერ საკუთარი ხელით გამართული სახლი, რომელიც ახლა დაშლილია, მაგრამ კარგ მდგომარეობაში ინახება სოფელ მუქეთში, გ. ხუციშვილთან, აღდგენილ და გადატანილ იქნას ეზოში, სადაც ფეხი აიდგა დიდმა მეცნიერმა.

70. —.Древнейший Иадгари и его значение для изучения византийской гимнографии. – Тб.: Мецниереба, 1979. – 12 გვ.- (Академия Наук Грузинской ССР).

IV ს.-ში ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით ღმრთისმსახურებისათვის საჭირო წიგნების ქართულად თარგმნის აუცილებლობა ყველაზე ადრე პალესტინაში, საბაწმიდის მონასტერში შეიცნეს, როგორც ამას სინის მთაზე წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართულ ხელნაწერთა კოლექცია მოწმობს. იგი განსაკუთრებით მდიდარია ლიტურგიკული კრებულებით, კერძოდ, იადგრებით, ანუ სადღესასწაულო თთუენებით, რომელთა ბერძნულ ორიგინალებს ჩვენამდე არ მოუღწევია. იადგართა პირველი რედაქცია, რომელსაც მეცნიერები უძველესს უწოდებენ, დღესდღეობით ცნობილია H-2123, Sin. geo. 18, 40 და 41 ნუსხებით და, როგორც ჩანს, უშუალოდ არის გამოყოფილი V-X სს.-ის იერუსალიმური ლექციონარიდან, რომელიც მხოლოდ უძველესი სომხური და ქართული რედაქციების სახით შემოინახა. სომხურ ლექციონარებში ერთადერთი ჰიმნოგრაფიული ელემენტი ფსალმუნებია, ხოლო ქართულში მათ ემატება პოეტური მონოსტროფებიც. ისინი მათი დასაწყისით არის მოხმობილი, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული კრებულის არსებობას, როგორც ეს დაადასტურა კიდევ უძველესი იადგრის ნუსხების გამოვლენამ და კორნელი კეკელიძის, მიხეილ თარხნიშვილის,

ჰელმუთ ლეებისა და სხვა მეცნიერთა კვლევა-ძიებამ. ბიზანტიური პოეზიის ისტორიის შესწავლისათვის განუზომელია უძველესი იადგრის მნიშვნელობა, რადგანაც იგი აღადგენს საუკუნეების სიღრმეში დაკარგულ უძველესი ბიზანტიური პოეზიის მთელ სამყაროს. იგი ორ ფენას შეიცავს. პირველი, V-VI სს.-ის, ე. წ. ლექციონარისეული ფენა, პოეტურ მონოსტროფებს მოიცავს, ხოლო მეორე, VII-VIII სს.-ის, ე. წ. იადგრისეული ფენა – სტიქარონებისა და პოეტური კანონების უძველეს რედაქციას, რომელთა ძალიან მცირე ნაწილს ეძებნება ბერძნული ორიგინალები და უცნობ პალესტინელ ავტორთა შემოქმედების ნაყოფია.

71. — Из истории византийской гимнографии // Международный симпозиум по истории византийской культуры, Тбилиси-Гелати, 28-31 мая 1979 г. Программа работы. - Тб., 1979. - р. 4.

მოსხენებათა თეზისები არ დაბეჭდილა.

72. — *La compréhension des termes hymnographiques Paraptoni et Mosartavi* // Bedi Kartlisa. – XXXVII. – 1979. – გვ. 68-85.

[ჰიმნოგრაფიული ტერმინების „ფარაფთონისა“ და „მოსართავის“ გაგებისათვის.]

თანავტორი: ბ . უ ტ ი ე .

გამოკვლევა წარმოადგენს ელ. მეტრეველის ნაშრომის «ჰიმნოგრაფიული ტერმინების „ფა-

რაფთონისა“ და „მოსართავის“ გაგებისათვის» ბერნარ უტიესეულ ფრანგულ თარგმანს, რომელიც აპრობირებულია ავტორის მიერ. მთარგმნელი ურთავს Sin. geo. 1 ხელნაწერის 9r-10v ფურცლებზე მოთავსებულ საგალობელთა მისეულ გამოცემას ფრანგული თარგმანითურთ, მიუთითებს ზოგიერთი საგალობლის ბერძნულ ორიგინალებზე და დაასკვნის, რომ Sin. geo. 1 და S-425 ხელნაწერებში „ფარაფთონებად“ მოხსენიებული პოეტური კომპოზიციები ხელნაწერთა მითითების საწინააღმდეგოდ, ღმრთისმშობლის შესხმათა არა კოზმა იერუსალიმელისეული, არამედ მათი არქაული ფორმა უნდა იყოს.

1980

73. —. *აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე (1879-1962) // მრავალთავი. – VII: [ეძღვნება კორნელი კეკელიძის დაბადების ასი წლისთავს]. – 1980. – გვ. 5-6.*

წინათქმა ხელნაწერთა ინსტიტუტის წელიწდეულ „მრავალთავის“ საიუბილეო ნომრისა, რომელიც აკადემიკოს კ. კეკელიძის დაბადებიდან მეასე წლისთავს ეძღვნება. აღნიშნულია დიდი მეცნიერის დამსახურება ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე, ხაზგასმულია, რომ მისი მოღვაწეობით დაიწყო ახალი ეტაპი უმდიდრესი ქართული მწერლობის შესწავლაში, მან თავს იდვა ტიტანური შრომა, შეესწავლა ქართული ლიტერატურა დღიდან მისი

შექმნისა XIX ს.-ის პირველ ნახევრამდე. ამ მაღალი მიზნის ხორცშესხმაა მისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი და მეორე ტომები, რომლებმაც მთელი სიდიადით წარმოაჩინა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა. ამავე დროს, წარმოჩენილია მეცნიერის როლი თარგმნილი ლიტერატურის შესწავლაში, განსაზღვრულია თარგმნილი ძეგლების მნიშვნელობა ქართული მწერლობის განვითარებისათვის.

74. —. „*მცხეთის ბიბლიის*“ „*იგავთა წიგნის*“ *წყაროების შესწავლისათვის* // მრავალთავი. – VII: [ექვნივე კორნელი კეკელიძის დაბადების ასი წლისათვის]. – 1980. – გვ. 98-116. – რეზ. რუს. ენ.: Источники „Книги Притч“ „Мцхетской Библии“, გვ. 115-116.

XVII ს.-ის მეორე ნახევარში ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ დასახა ქართული ლექსიკოგრაფიის, კარტოგრაფიის, სამართლის, ისტორიოგრაფიისა და მეცნიერების მთელი რიგი სხვა დარგების განვითარების ფართო პროგრამა. იმდროინდელი ფილოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად, ბიბლიის ქართული თარგმანის მომზადებისა და გამოცემისათვის გაშლილ დიდ მუშაობას სულხან-საბა ორბელიანი მესვეურობდა. ძველი და ახალი აღთქმის სრული ნუსხების შესადგენად, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, მან შეკრიბა ქართული ბიბლიის ცალკეული წიგნების ნუსხები. აჯერებდა და იკვლევდა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ნუსხებსა და

რედაქციებს, უდარებდა მისთვის ხელმისაწვდომ სომხურ და ლათინურ ენებზე არსებულ ბეჭდურ გამოცემებს და თავისი შეხედულებით ასწორებდა ქართულ ხელნაწერებს. იმ წიგნთა გამართვისათვის, რომელთაც ხელნაწერი ბიბლიური წიგნების ქართულ ნუსხებში ვერ მიაკვლია, იგი ძველ ლექციონარებს იყენებდა. ასე, მაგალითად, „იგავთა წიგნის“ შესადგენად სარგებლობდა XI ს.-ის „პარიზის ლექციონარით“ (Par. Gto.. 3), რომლის არშიებზე მის მიერ გაკეთებული მრავალრიცხოვანი შენიშვნების, მინაწერებისა და ტექსტის ჩასწორებების ანალიზი საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ იმ დიდ ფილოლოგიურ მუშაობას, რომელიც მან გასწია ცალკეული ბიბლიური პასაჟებისა და იკითხვისების დასადგენად, ვიდრე მათ მის მიერ გამოსაცემად შედგენილ სრულ ქართულ ბიბლიაში (A-51) ჩართავდა; თუმცა, „პარიზის ლექციონარის“ საკითხავები არ აღმოჩნდა საკმარისი „იგავთა წიგნის“ სრული ტექსტის შესავსებად და სულხან-საბას მოუხდა გიორგი მთაწმიდლის მიერ შედგენილი ახალი ტიპის ლექციონარის, „საწელიწდო-საწინასწარმეტყველოს“ გამოყენებაც. ამ ორი ლექციონარიდან აღებული საკითხავები წარმოადგენს „იგავთა წიგნის“ ძირითად ნაწილს, რომელიც გათვალისწინებულია სრული ქართული ბიბლიის შესადგენად. დარჩენილი ლაკუნები კი შევსებულია სულხან-საბას მიერ გადმოღებული ახალი თარგმანით, თუმცა, იგი ისე

გარდაიცვალა, რომ ამ სამუშაოს ბოლომდე დასრულება ვეღარ მოახერხა.

75. —. *სიძველეთა საგანძურში. ინტერვიუ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ ელენე მეტრეველთან* // ახალი შირაქი. – 1980. – 19 ივლისი. – № 87/4541. – გვ. 3-4.

ჩაიწერა ა ლ . ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ მ ა .

მოთხრობილია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსების, მისი პირველი ხელმძღვანელის, ინსტიტუტში დაცული ქართული ხელნაწერების, აქ მომუშავე მეცნიერებისა და მათი ნაშრომების შესახებ; გამოთქმულია სურვილი, რაიონის მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღოს ძველი ქართული ხელნაწერების მოპოვებაში, გამოვლენაში, შეგროვებასა და დაცვაში.

76. —. *ქვაბისხევის ფრესკის გარშემო. წერილი რედაქციას* // კომუნისტი. – 1980. – 7 სექტემბერი. – № 206/17849. – გვ. 3.

თანაავტორები: ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე ,
შ . ძ ი ძ ი გ უ რ ი .

ბორჯომის რაიონში, ქვაბისხევის ხეობაში, IX ს.-ის წმინდა მარიაშის სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევების მარჯვენა (სამხრეთის) ნაპირში, სამლოცველოს მარცხენა მხარეს შემონახულია XII-XIII სს.-ის კედლის მხატვრობა, სადაც წმინდანების ქვეშ,

წითელი ფერის საღებავით შემოსაზღვრულ არშიაში გამოსახულია ორი მლოცველი – შუა ხნის ქალი და უწვერულვამო ვაჟი. აქვე იკითხება XII ს.-ის ასომთავრული წარწერა: „იაჲ“ და „შოთა“. ბაზილიკა და კედლის მხატვრობა დაათარიდა გიორგი ჩუბინაშვილმა, ხოლო ფრესკები წარწერთურთ აღწერა ნიკო ბერძენიშვილმა, რომელმაც ფრთხილად ივარაუდა, რომ შესაძლებელია, ფრესკაზე გამოსახული იყოს შოთა რუსთველი. ბორჯომის მკვიდრმა, მწერალმა გიორგი ზედგინიძემ წერილში „შოთა რუსთველის ფრესკა ქვაბისხევში“ («წიგნის სამყარო», № 10/286, 1980, 28 მაისი, გვ. 7) განაცხადა, რომ წარწერაში იკითხება დაქარაგმებული სიტყვა „როსთვლი“, რაც უდავოს ხდის ნ. ბერძენიშვილის ჰიპოთეზას. ეს მოსაზრება ზურაბ ჭუმბურიძემაც გაიზიარა (იხ. მისი, *რუსთაველი ქვაბისხევში*, «კომუნისტი», № 144/17787, 1980, 22 ივნისი, გვ. 4). 1980 წლის 2 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ქვაბისხევში მივლინებულმა, საგანგებო ტექნიკური მოწყობილობით აღჭურვილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც ელ. მეტრეველიც შედიოდა, გაარკვია, რომ სამლოცველო მთლიანად ყოფილა მოხატული, წმინდა მამების – იოვანე ოქროპირის, ბასილი დიდისა (შემორჩენილია მისი წარწერა) და გრიგოლ ღმრთისმეტყველის ქვემოთ გამოსახულ საერო პირთა სახელები კარგად იკითხება, თუმცა, იქვე სინგურით შესრულებული წარწერის კიდევ ორი სტრიქონიდან პირველი სავსებით გადაშლილია, მეორეში კი ჩანს მხოლოდ

ცალკეული ასომთავრული ასოები: რ, [-], ლ/ზ, ა.(ძვ. ასომთავრული ასოები.) შესაძლებელია, რ პირველი ასო არ ყოფილიყო. ამ ასოსა და ლ/ზ-ს (ძვ. ასომთავრული ასოები). შორის დატოვებული მცირე ადგილი პრობლემურს ხდის გადარჩენილი ასოს ნაშთში ო-ს(ძვ. ასომთავრ. ასო) ამოკითხვას. ა,(ძვ. ასომთავრ. ასო) როგორც ჩანს, სტრიქონის ბოლო ასო უნდა იყოს. ამდენად, მასში არ იკითხება „რუსთველი“. პალეოგრაფიული თვალსაზრისით, წარწერები XII ს.-ის ბოლოს, ან XIII ს.-ის დასაწყისს ეკუთვნის, ფრესკების დროინდელია, შოთა რუსთველის სიცოცხლეში, ან მის ახლო პერიოდში თავსდება და დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთველოლოგიისათვის, რაც გადაუდებელს ხდის მარიამწმიდის ბაზილიკის რესტავრაციასა და კომპლექსურ შესწავლას.

77. —. *Die georgischen Liturgie-Handschriften des 9. und 10. Jahrhunderts und ihre Bedeutung für die Erforschung der byzantinischen Hymnographie // XX. Deutscher Orientalistentag, vom 3. bis 8. Oktober 1977 in Erlangen, Vorträge.* Herausgegeben von W. Voigt. – Wiesbaden, 1980. – gv. 161-166. – (Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft, Supplement 4).

[IX-X სს.-ის ქართული ლიტურგიკული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის]

მოხსენება 1977 წლის 3-8 ოქტომბერს
ერლანგენში გამართულ გერმანულ
ორიენტალისტთა XX სემინარზე.

1981

78. —. *მეცნიერის იუბილე. კალისტრატე სალია 80 წლისაა // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია.* – 1981. – № 3. – გვ. 170-173.

თანაავტორები: ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე ,
ნ . ჯ ა ნ ა შ ი ა .

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით
მიმოხილულია ქართველი ისტორიკოსის,
პარიზში მცხოვრები ქართველოლოგის,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

საკატიო წევრის კალისტრატე (კალე) ზოსიმეს ძე სალიას ცხოვრება და მოღვაწეობა, წარმოჩენილია მისი და მისი მეუღლის, ნინო სალიას მიერ დაარსებული ქართველოლოგიური ჟურნალის „ბედი ქართლისა“ და კ. სალიას ახლახან დასტამბული მონოგრაფიის „ქართველი ერის ისტორია“ მნიშვნელობა დასავლეთში ქართული კულტურის მეცნიერული კვლევისა და პოპულარიზაციისათვის. აღნიშნულია კ. და ნ. სალიების მიერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის უნიკალური უცხოენოვანი ბიბლიოთეკისა და საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა მოკროფილმების საჩუქრად გადაცემის შესახებ.

79. —. წარუშლელი კვალი (ილია აბულაძის დაბადების მე-80 წლისთავის გამო) // კომუნისტი. – 1981. – 10 დეკემბერი. – № 283/18225. – გვ. 4.

80. —. Древнейший грузинский тропологий // XVI. *Internationaler Byzantinistenkongress* [=] *XVI^e Congrès international d'Études Byzantines, Wien, 4.-9.10.1981, Résumés der Kurzbeiträge* [=] *Résumés des communications*. – Wien 1981. – 7.2.

თანავტორები:
ლ. ხევისურიანი.

ც. ჭ ა ნ კ ი ე ვ ი ,

მოხსენება ბიზანტინისტთა XVI საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც 1981 წლის 4-9 ოქტომბერს გაიმართა ვენაში.

81. —. *Les manuscrits liturgiques géorgiens du IX^e-X^e siècles et leur importance pour l'étude de l'hymnographie byzantine* // Association internationale des Études Byzantines. *Actes du XV^e Congrès international d'Études Byzantines, Athènes – Septembre 1976, 2, Art et archéologie, Communications.* – B. – Athènes, 1981. – გვ. 1005-1010.

[IX-X სს.-ის ქართული ლიტურგიკული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის]

წაკითხულია მოხსენებად ათენში 1976 წლის 11 სექტემბერს ბიზანტინისტთა XV საერთაშორისო კონგრესსა და გერმანელ ორიენტალისტთა XX სემინარზე, რომელიც 1977 წლის 3-8 ოქტომბერს გაიმართა ერლანგენში.

82. —. *Le plus ancien Tropologion géorgien*, traduit du géorgien par M. van Esbroeck // Bedi Kartlisa.. – XXXIX. – 1981. – გვ. 54-62.

[უძველესი ქართული ტროპოლოგიონი]

თანაავტორები: ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი.

წარმოადგენს ელ. მეტრეველის, ც. ჭანკიევისა და ლ. ხევსურიანის ერთობლივი ნაშრომის „უძველესი იადგარი“ ვრცელ რეზიუმეს ფრანგულ ენაზე.

ხაზგასმულია, რომ ბიზანტიური პოეზიისა და მუსიკის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებს, რომლებიც ასახავს მის არქაულ, ე. წ. იერუსალიმურ პერიოდს. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლია ბერძნული ტროპოლოგიონიდან ნათარგმნი უძველესი იადგარი – თავისი დროის უნივერსალური ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელიც დღესდღეობით ცნობილია H-2123, Sin. geo. 18, 40 და 41 ნუსხებით. მისი ბირთვია წლის უძრავი და მოძრავი ციკლები, რომელთაც მოგვიანებით შვიდეულის წრის (საკვირაო და სინანულის) საგალობლები დაემატა. ცალკე ნაწილად იყო გაერთიანებული დღესასწაულთა იბაკო-წარდგომანი. ტროპოლოგიონი გამოეყო იერუსალიმურ ლექციონარს, რომლის მხოლოდ ქართულ ენაზე დაცული ვრცელი რედაქცია ასახავს ბიზანტიური ღმრთისმსახურების განვითარებას VI-VII სს.-ში (ბოლო რედაქცია VII ს.-ის მეორე ნახევარში უნდა შემუშავებულიყო), ხოლო პოეტური ნაწილი – ფსალმუნები და მონოსტროფები – უძველესი იერუსალიმური კანონიზებული პოეზიის ნიმუშია.

ტროპოლოგიონის ჩამოყალიბება დაკავშირებულია VII ს.-ის ღმრთისმსახურების განახლებასთან მრავალსტროფიანი და რთული

შედგენილობის საგალობლებით: სტიქარონებითა და კანონით, რის გამოც იადგარში ძველი და ახალი პლასტები გამოიყოფა. ლექციონარის სტრუქტურამ განაპირობა მისი არქიტექტონიკაც, რომლის ძირითადი ნაწილი საუფლო, დიდი დღესასწაულები, დიდმარხვისა და ზატიკის მოძრავი ციკლებია; უძველესი ქართული მრავალთავების მსგავსად, იადგარი ხარებით იწყება. ლექციონარიდან გამოყოფის შემდეგ ტროპოლოგიონი აფართოებდა დღესასწაულთა წრეს, ხოლო ძირითად დღესასწაულებს კანონებისა და სტიქარონების ახალი შრეებით ავსებდა. ამის გამო, ერთმანეთისაგან განსხვავდება, ერთი მხრივ, იადგრისა და ლექციონარის საერთო ნაწილები, მეორე მხრივ – თავად იადგრის ნუსხები.

დაკარგულია როგორც ლექციონარის, ისე იადგრის ბერძნული მოდელი: საგალობელთა დღემდე გამოვლენილი ორიგინალები იადგრის პოეტური მასალის ძალიან მცირე ნაწილს – მხოლოდ ხუთ პროცენტს შეადგენს, X-XIV სს.-ის ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში, უმთავრესად ტრიოდინშია გაბნეული და სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენება. ქართული თარგმანები ზუსტია, ორიგინალების რიტმულ დაყოფას უხამებს ფრაზეოლოგიურ სტრუქტურას, თუმცა, არ იცავს ტაეპთა მარცვლების რაოდენობას, გამართულია რიტმული პუნქტუაციისაგან თავისუფალი პროზით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ახალ – რიტმულ პოეზიას საფუძვლად უძევს

პოეტური პროზის შინაგანი რიტმი: V-VII სს.-ის ანონიმ ჰიმნოგრაფთა რეპერტუარიდან აღებულ მაღალმხატვრულ მონოსტროფებს გვიანდელი ბიზანტიელი ავტორები რიტმულ მოდელებად იყენებდნენ.

იადგრის მეორე პლასტი VII-IX სს.-ს განეკუთვნება. მისი 25 კანონი არ იცნობს აკროსტიქს, თუმცა, ფართოდ იყენებს რეფრენს. კანონები სრული და არასრული (ორ-, სამ- და ოთხსაგალობელი), ერთ- და რამდენიმე პლასტიანია, დამატებითი პლასტები აღნიშნულია რუბრიკით „სხუანი“. ძველ იერუსალიმში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული არასრული კანონები, რომლებიც იადგარში შემონახულია როგორც „სხუანი“. ზოგიერთ კანონში გალობის პირველი ტროპარი ძლისპირია, რომელიც პოეტურ კანონს ბიბლიურთან აკავშირებს. სხვა კანონებში გალობის დასაწყისი შინაარსობრივად უკავშირდება წინა გალობის უკანასკნელ ტროპარს და არაა ძლისპირი. მეორე ტიპის კანონები ბიბლიური კანონიდან ახლად გამოყოფილი, დამოუკიდებელი ფორმის უქონელი პოეტური კანონის უძველესი ფორმა უნდა იყოს, ახასიათებს სიუჟეტურობა და თხრობითი სტილი. იადგრის კანონთა ზოგიერთი ძლისპირის მიკვლეული ბერძნული ირმოსი არ ემთხვევა თარგმანს სილაბური თვალსაზრისით. ყველა კანონი „შედგენილია“, ანუ მათი ძლისპირები სხვადასხვა აკოლუთიიდანაა აღებული. ამდენად, ისინი ირმოლოგიონის წიგნად ჩამოყა-

ლიბებამდე უნდა იყოს შექმნილი. წლიური ციკლის 20 კანონში ირმოსები აღებულია გერმანე პატრიარქის (9), იოანე ბერის (4), ანდრია კრიტელის (3), იოანე დამასკელისა (1) და კოზმა იერუსალიმელის (1) აკოლუთიებიდან. როგორც ჩანს, VII ს.-ს II ნახევარსა და VIII ს.-ს დასაწყისში იადგრის შედგენისა და შევსების დროს პირველი, ზემოთ დასახელებული სამი ავტორი დანარჩენ ორ ჰიმნოგრაფზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა და მათზე ადრე მოღვაწეობდა. კანონთა შედგენილი სტრუქტურა საშუალებას არ გვაძლევს, ისინი მთლიანად ამ ავტორებს მივაკუთვნოთ.

იადგარში გამოყენებული ზოგიერთი ძლისპირი IX ს.-ის ბოლოს ან X ს.-ში ხელახლა ითარგმნა და ამ რედაქციით შევიდა ქართულ „ძლისპირში“. მათი ორი რედაქციის ერთმანეთთან შედარება ავლენს თარგმნის ორ განსხვავებულ მეთოდს: პირველ შემთხვევაში უმთავრესი ამოცანაა ბერძნული ტექსტის ზუსტად გადმოღება, მეორეში კი – ორიგინალის რიტმულ-სილაბური სტრუქტურის დაცვა. იადგრის კანონთა სიძველეზე მიანიშნებს ისიც, რომ მეცხრე გალობა და გალობათა ბოლო ტროპარები არ ეძღვნება ღმრთისმშობელს. სხვა ოდებისაგან განსხვავებით, მეორეში, როგორც წესი, თითოეული ტროპარი ბიბლიური ტაეპით იწყება. H-2123 ნუსხაში დაფიქსირებული აბოსადმი მიძღვნილი საგალობლები კანონისა და სტიქარონების არქაულ ფორმათა ნორმების მიხედვითაა გამართული. შვიდეულის წრის

საგალობლები ოქტოიხოსის ადრეული რედაქციაა, რომლის მთავარ ნაწილს – ცხრაგალობიან კანონებს – ერთვის იადგრის წლიური ციკლიდან აღებული მცირე პოეტური (სტიქარონები და მონოსტროფები) და ფსალმუნური საგალობლები, მათ შორის ჭარბობს ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარები, რომლებიც გვიანდელ (X ს.-ის II ნახ.) ნუსხებში ჩართულია „აქებდითსა“-ს (ფსალმ. 148-150) შემდეგ რუბრიკით „შესხმანი“. ისინი სილაბურ-რიტმული თვალსაზრისით არ უკავშირდება ძლისპირებს, არ ფიგურირებს არც მათ უძველეს რედაქციებში, თუმცა, ყოველთვის საგალობელთა ბოლოს გვხვდება. ამ ნაწილში ირმოსის ფუნქციით არ გამოიყენება ძლისპირები, რომლებიც VII-VIII სს.-ის ბერძენ ავტორთა ნაწილში ირმოსის ქართული თარგმანებია. პალესტინურ ხელნაწერებში ამ ნაწილის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „საკვირაო“, რაც მის ლიტურგიკულ დანიშნულებაზე მიანიშნებს: ისინი შვიდეულის წრის საგალობლებია, რომლებიც სრულდება აღდგომიდან ამალლებამდე, ხოლო მარტვილიის შემდეგ – კვირაობით, რვა ხმის თანმიმდევრობის დაცვით.

იადგრის ახალი ნუსხების გამოვლენა, მისი სტრუქტურისა და პოეტური ფორმების შესწავლა და ანალოგიურ ძეგლებთან მიმართება საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ქართული იადგრის ადგილი ბიზანტიური პოეზიისა და ლიტურგიკის განვითარებაში. იგი VII-IX სს.-ის იერუსალიმური ღმრთისმსახურების უმთავრესი

ჰიმნოგრაფიული წიგნია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენებოდა და VIII-IX სს.-ის ავტორთა თხზულებებს შეიცავს, ასახავს ლიტურგიკული პოეზიის უძველეს – მონოსტროფული პოეზიიდან კანონზე გარდამავალ საფეხურს, რამაც საფუძველი მოუშადა იოანე დამასკელის რეფორმას, რომლის შედეგები ქართულ სინამდვილეში X ს.-ის პირველი ნახევრის ახალ იადგრებში აისახა.

1982

83. —. *გამოსათხოვარი* // ლიტერატურული საქართველო. – 1982. – 14 სექტემბერი. – № 38/2219. – გვ. 12.

ცნობილი ისტორიკოსის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღნიშნულია მისი გამორჩეული ადგილი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივში, მაღალი ადამიანური, პიროვნული და საქმიანი თვისებები: ზნეობა, ურყევი და შეუბღალავი სინდისი, სულიერი წონასწორობა, კეთილმოსურნეობა, სულგრძელობა, კეთილშობილება, ჭეშმარიტი ინტელიგენტურობა, თავმდაბლობა, უბრალოება, სამშობლოსადმი უანგარო სამსახური. ხაზგასმულია მისი ღვაწლი პარიზიდან ნინო სალიას წიგნადი ფონდის 1200 სამეცნიერო ნაშრომის ჩამოტანაში.

84. — *მეცნიერის იუბილე: ალექსანდრე ბარამიძე // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. – 1982. – № 2. – გვ. 132-136.*

წაკითხულია მოხსენებად აკად. ა. ბარამიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე 1982 წლის 27 მარტს. მიმოხილულია დიდი ქართველი ფილოლოგის ცხოვრება, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. აღნიშნულია მისი დიდი დამსახურება ძველი ქართული საერო ლიტერატურის, განსაკუთრებით, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“, „ქილილა და დამანას“ ქართული რედაქციების, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნისა“ და დავით გურამიშვილის შემოქმედების შესწავლაში.

85. — *რამდენიმე ჰიმნოგრაფიული ტერმინის განმარტებისათვის // ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი ათონზე ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერის დაარსების 1000 წლისთავისადმი, 1982 წლის 12 ოქტომბერი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ.: მეცნიერება, 1982. – გვ. 4. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).*

განხილულია ტერმინები: „ნიშანი“, „აღნიშვნა“, „მნიშვნელი“.

86. —. ქართული კულტურის დიდი კერა // ლიტერატურული საქართველო. – 1982. – 12 ნოემბერი. – № 46/2227. – გვ. 5-6.

ათონზე ივერთა მონასტრის 1000 წლისთავთან დაკავშირებით განხილულია ამ კერის როლი და მნიშვნელობა ქართული მწიგნობრობისა და კულტურის განვითარებისათვის.

87. —. Ученый широкого // Заря Востока. – 1982. – 27 მარტი. – № 72/17248. – გვ. 3.

დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით მიმოხილულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიდის ცხოვრების, პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები; ხაზგასმულია მისი ღვაწლი „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების, „ამირანდარეჯანიანის“, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის შემოქმედების, „ქილილა და დამანას“, ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორიის საკითხების შესწავლაში, XVI-XVIII სს.-ის ქართული ლიტერატურის ანთოლოგიის შედგენაში, „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისა და აკადემიური გამოცემის მომზადებაში. აღნიშნულია მისი გამორჩეული როლი სამეცნიერო კადრების მომზადებაში, აგრეთვე, მისი ნაყოფიერი საქმიანობა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხვადასხვა განყოფილებისა და ბოლოს, თვით ინსტიტუტის ხელმძღვანელის პოსტზე.

88. —. *Un grand maître de la philologie géorgienne. Iliia Abouladzè // Bedi Kartlisa.* – XL. – 1982. – გვ. 98-104.

[ქართული ფილოლოგიის დიდი მეტრი. ილია აბულაძე]

ემღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ილია აბულაძის ხსოვნას.

1983

89. —. *ათონის ერთი ალაპის გაგებისათვის // ლიტერატურული ძიებანი*, ემღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძის დაბადების 80 წლისთავს.– (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი) – თბ., 1983. – გვ. 182-191. – რეზ. რუს. ენ.: Об одном агане Афонского синодика, გვ. 191.

განალიზებულია ათონის ქართველთა მონასტრის ალაპთა კრებულის № 112 ალაპი, სადაც იკითხება: „თუესა სეკდენბერსა კვ. ალაპი არს ფანტინესი, ბასილწმიდელისაჲ. აელო ბასილწმიდაჲ ორსა პირსა ზედა, და ერთი პირი გაუტევა. ვიდრე ცოცხალი იყო, ააშენა. ხუთასისა მოდისა ყანაბ შეჰმატა სყიდით და იყიდა ვენადი ათისა მოდისაბ, სახლი და ეკლესიაბ ჭურჭლითა მოაშენა და მოგუცა ორასი დრაჰკანი. ამის ყოვლისათჳს გარდაიდდებოდის ალაპი მისი ძალისაებრ ყოვ-

ლითა მოსწრაფებითა“ (ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპებითურთ, 1901, გვ. 144). ათონის ბერძნულ აქტებსა და ტიპიკონებში ასახული ათონური სამართლისა და ტრადიციების ანალიზისას გამოირკვა, რომ ფანტინეს ივირონის მონასტრისაგან მიუღია ბასილწმიდის მონასტერი (თესალონიკეში) დროებით სარგებლობაში, „ორსა პირსა ზედა“, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უფლება ჰქონდა, შეთანხმების საფუძველზე სიკვდილის წინ ეს მონასტერი თავისი მემკვიდრისათვის გადაეცა. აღაპის თანახმად, ფანტინეს არ გამოუყენებია ეს უფლება და „ერთი პირი გაუტევა“, ამდენად, შეამცირა ამ მონასტრის სხვაზე გაცემის დრო. გარდაცვალების შემდეგ მისი ღვაწლით აყვავებული, ყანით, ვენახით და საეკლესიო ინვენტარით (ჭურჭლით) გამდიდრებული ბასილიწმიდა კვლავ დაუბრუნდა ივირონის მონასტერს, რის გამოც ივირონის მონასტრის მადლიერმა სამძმომ ფანტინეს აღაპი განუწესა.

90. —. *ვახტანგ მეექვსე* // ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. – 1983. – № 2. – გვ. 28-34.

წარმოადგენს ხელმეორე პუბლიკაციას ელ. მეტრეველისა და ვ. ბერიძის მიერ შედგენილ და 1975 წელს დასტამბულ წიგნში მოთავსებული წერილისა „ვახტანგ VI“, რომელშიც შეტანილია უმნიშვნელო ცვლილება – ამოღებულია რამდენიმე სტრიქონი.

91. —. *ილია აბულაძე (1901-1968) // მრავალთავი. – X: ეძღვნება ილია აბულაძის დაბადებიდან 80 წლისთავს. – 1983. – გვ. 3-15.*

წაკითხულია მოხსენებად ხელნაწერთა ინსტიტუტში 1981 წლის 9 დეკემბერს ილია აბულაძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.

92. —. *მეხელი // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 6. – თბ.: მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1983. – გვ. 652.*

93. —. *მეხური // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 6. – თბ.: მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1983. – გვ. 654-655.*

94. —. *საფრანგეთში სამეცნიერო მივლინების შესახებ // მრავალთავი. – X: ეძღვნება ილია აბულაძის დაბადების 80 წლისთავს. – 1983. – გვ. 290-299.*

ელ. მეტრეველის საფრანგეთის სამეცნიერო კვლევითი ეროვნული ცენტრის მიწვევით 1980 წლის 12 ნოემბრიდან 27 დეკემბრამდე სამეცნიერო მივლინების ანგარიში.

95. —. *წერილი რედაქციას // ლიტერატურული საქართველო. – 1983. – 11 თებერვალი. – № 7/2240. – გვ. 13.*

თანაავტორი: ა . ბ ა რ ა მ ი ძ ე .

კრიტიკული გამოხმაურება პ. ინგოროყვასადმი მიძღვნილ რ. თვარაძის წერილზე „ერისკაცის სადიდებელი“ («საბჭოთა ხელოვნება», 1982, ! 2, გვ. 129-137), რომელშიც, ავტორთა აზრით, აღმაშფოთებელი, ყოვლად შეუწყნარებელი, „ადამიანის ღირსების დამამცირებელი ეპითეტებით“ არის შეფასებული აკადემიკოს ნიკო მარის პიროვნება.

96. —. *ჰიმნოგრაფიული ტერმინი „მნიშვნელი“* // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. – 1983. – ! 2. – გვ. 81-86. – რეზ. რუს. ენ.: Грузинский гимнографический термин „мнишвели“, გვ. 86.

მეხელთა შემდგომ ეპოქაში ქართული საგალობლების ტრადიციული წიგნების გადაწერა და გამრავლება ევალეზოდან განსხვავებული პროფესიის ჰიმნოგრაფებს, ერთი მხრივ, „დასდებლის მეცნიერებს“, რომელთაც ტექსტის გადაწერის პროცესში საგალობლები მეტრულად უნდა გაემართათ, ხოლო, მეორე მხრივ, „მნიშვნელებს“, რომლებიც მეტრულად გამართული საგალობლების „აღნიშვნას“, ანუ ნევიმირებას, აწარმოებდნენ. „მნიშვნელთა“ პარალელურად XI ს.-ში იყვნენ მეცნიერ-მუსიკოსები (მაგალითად, იოანე კათალიკოსი), რომლებიც კარგად ფლობდნენ ბიზანტიური მუსიკის თეორიასა და პრაქტიკას და ქართულად ახლად თარგმნილი საგალობლების ქართული ნევიმირებული სისტემით უშუალოდ ბერძნული

ირმოლოგიონებიდან ან საგალობლებიდან გადმოჰქონდათ იმ ძლისპირთა კილოები, რომელთაც არ იცნობდა ქართულ ძლისპირთა ტრადიციული რეპერტუარი. ძველ ქართულ ხელნაწერებში გამოყენებული ჰიმნოგრაფიულ-მუსიკალური ტერმინოლოგია და ნევმებიან ხელნაწერებზე მუშაობის ორგანიზაცია მაჩვენებელია იმ მაღალი დონისა, რომელსაც X-XI სს.-ში მიაღწია ქართულმა ჰიმნოგრაფიამ.

97. —.Документ Великой дружбы. К 200-летию георгиевского трактата // Заря Востока.— 1983. — 9 იანვარი. — № 7/17483. — გვ. 4.

ინტერვიუ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორთან, აკადემიკოს ელ. მეტრეველთან ჩაიწერა საქინფორმის კორესპონდენტმა მ. ტრასკუნოვმა.

საუბარია გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გრიფით, ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელშეწყობით, ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის ახალ გამოცემაზე, აგრეთვე, ინსტიტუტში ძველ ქართულ ხელნაწერთა გამოცემების მომზადების შესახებ.

98. — *Le rôle de l'Athos dans l'histoire de la culture géorgienne* // Bedi Kartlisa. — XLI. — 1983. — გვ. 17-26.

[ათონის მთის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის]

წაკითხულია მოხსენებად ივირონის დაარსების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც 1982 წლის 19-20 ოქტომბერს გაიმართა თბილისში და რომლის მასალები ჟურნალ „ბედი ქართლისას“ მონოგრაფიულ ნომერში დაიბეჭდა.

განხილულია ათონის მთაზე მონასტრის დაარსების ისტორია წმინდა ათანასეს ლავრაში ქართველთა დამკვიდრების დროიდან ბერძენთა მიერ XVII-XVIII სს.-ში მის სრულ მიტაცებამდე, შეფასებულია ქართული კულტურისათვის ათონის ქართველთა მონასტრის მნიშვნელობა, რომლის დაარსება ერთგვარად შეამზადეს IV-IX სს.-ში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულმა მონასტრებმა, სადაც დიდად განვითარდა ქართული ლიტერატურული ტრადიციები. სამხრეთ საქართველოში აღიზარდა მრავალი მოღვაწე, რომლებმაც შემდგომ გადამწყვეტი როლი შეასრულეს ივირონის ისტორიაში. X-XI სს.-ში ქართველებს ბიზანტიაში იზიდავდათ ბიზანტიური კულტურის მაღალი დონე, იქაური სკოლები და მონასტრები, სადაც საუკეთესო პირობები იყო შექმნილი გრამატიკასა და რიტორიკაში, მუსიკასა და ფილოლოგიაში განსწავლისათვის. ივერთა მონასტრის ლიტე-

რატურული სკოლა მიზნად ისახავდა, იმდროინდელ ბიზანტიურ სალიტერატურო სტანდარტებამდე აემალლებინა უკვე ისედაც მდიდარი ქართული მწერლობა. ათონური ლიტერატურული ტრადიცია გააგრძელეს შავი მთისა და პეტრიწონის ფილოსოფიურ-ფილოლოგიურმა სკოლებმა, ქართული კულტურის სხვა კერებმა. სწორედ ივირონმა მოუმზადა საფუძველი XI-XII სს.-ის ქართულ ჰუმანიზმს, რომელიც შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნით“ დაგვირგვინდა.

99. — *Les versions copte, arménienne et géorgiennes de saint Grégoire le Théologien. État des recherches // II Symposium Nazianzenum, Louvain-la-Neuve, 25-28 août 1981.* Actes du colloque international organisé avec le soutien du Fonds National belge de la Recherche Scientifique et de la Görres-Gesellschaft zur Pflege der Wissenschaft. Éd. par J. Mossay. — Paderborn-München-Wien-Zürich, 1983. — gv. 63-73. — (Studien zur Geschichte und Kultur des Altertums, N. F. 2, Forschungen zu Gregor von Nazianz, 2).

[წმინდა გრიგოლ დმრთისმეტყველის თხზულებათა კოპტური, სომხური და ქართული რედაქციები, საკითხის შესწავლის მდგომარეობა]

თანამომხსენებელი: ჟ . ლ ა ფ ო ნ ტ ე ნ ი .

წარმოდგენილია გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კოპტური და ძველი სომხური

თარგმანების კვლევის ძირითადი შედეგები. აღნიშნულია, რომ ანონიმ და ძველ ქართველ მწიგნობართა მიერ შესრულებული თარგმანები მოიცავს ამ მოღვაწის ჰომილიებს, ზოგიერთ, უმთავრესად, იამბიკურ პოემასა და წერილებს. მომხსენებლები ყურადღებას ამახვილებენ ჰომილიებზე, რომელთაგან ზოგიერთი საერთოდ არ არის თარგმნილი, ხოლო ზოგიერთი რამდენჯერმეა გადმოღებული სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მთარგმნელის მიერ და გაბნეულია სხვადასხვა ხელნაწერში. ყოველივე ეს ართულებს ჰომილიათა ქართული კორპუსის კომპლექსურ გამოცემას და ტექსტის კრიტიკულად დადგენისას სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს.

1984

100. —. Jer. 14 ხელნაწერის ანდერძის გაგებისათვის // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. — 1984. ! 4. — გვ. 79-91. — რეზ. რუს. ენ.: К талкованию одного колофона иерусалимской рукописи №14, გვ. 91.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო ალ. ცაგარლის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის აშენება დაიწყო პროხორე შავთელმა ეფთგმე მთაწმიდლის (დაახლ. 955-1028) ინიციატივით. ამ თვალსაზრისის გამოთქმისას მკვლევარი ეყრდნობოდა Jer. geo. 14

ხელნაწერის ანდერძს. გამოკვლევაში დასაბუთებულია, რომ მცდარია ნუსხის ანდერძის ალ. ცაგარლისეული წაკითხვა და, აქედან გამომდინარე, არასწორია მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს ეფთგმე მთაწმიდელი იყოს ჯვრის მონასტრის აშენების ინიციატორი.

101. —. *მიქაელ მოდრეკილი // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 7. – თბ.: მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1984. – გვ. 25.

102. —. *სალია კალისტრატე ზოსიმეს ძე // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 8. – თბ.: მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1984. – გვ. 691.

თანაავტორი: ლ . ჯ ა ნ ა შ ი ა .

103. —. *სალია (ქალიშვილობის გვარი – ქურციკაშვილი) ნინო მიხეილის ასული // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 8. – თბ.: მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1984. – გვ. 691-692.

თანაავტორი: ლ . ჯ ა ნ ა შ ი ა .

1986

104. —. 25-летие деятельности института рукописей – 1986. – გვ. 26-41.

მიმოხილულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებამდე (1958 წლის 30 ივნისი)

საქართველოში ძველი ქართული ხელნაწერების, ისტორიული დოკუმენტებისა და ნაბეჭდი წიგნების შეგროვებისა და შესწავლის მდგომარეობა, ასევე, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ მიმართებით გაშლილი მუშაობა, წარმოჩენილია ინსტიტუტის დაარსების ისტორია და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 1958-1986 წლებში, მუშაობის მიმართულეხანი, ამოცანები და პერსპექტივები. შეიცავს ნ. თარგამაძის მიერ შედგენილ ინსტიტუტის ძირითადი შრომების სიას: სულ 125 დასახელებას.

1987

105. —. *კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი* // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. – 1987. – № 3. – გვ. 17-32.

გაანალიზებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებამდე საქართველოში ქართულ სიძველეთა შეგროვებისა და შესწავლის მდგომარეობა, მიმოხილულია ინსტიტუტის დაარსების ისტორია და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 1958-1987 წწ.-ში, მუშაობის მიმართულეხანი, ამოცანები და პერსპექტივები.

106. —. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის*

25 წლის მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა // მრავალთავი. – XIV: ეძღვნება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავს. – 1987. – გვ. 3-36.

წარმოადგენს ელ. მეტრეველის ნაშრომის „25-летие деятельности Института рукописей Академии наук Грузинской ССР“ ქართულ რედაქციას, რომელშიც ასახულია რუსული რედაქციის დასტამბვის შემდგომდროინდელი ბიბლიოგრაფიული სიახლეები. შეიცავს ნ. თარგამაძის მიერ შედგენილ ინსტიტუტის ძირითადი შრომების სიას: სულ 130 დასახელებას.

107. —. ძველ ხელნაწერთა მძებნელი. აკაკი შანიძე 100 წლისაა // თბილისი. – 1987. – 25 თებერვალი. – № 46 (10264). – გვ. 4-5.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით აღნიშნულია აკაკი შანიძის წვლილი ქართული ხელნაწერების მოძიებაში, შესწავლასა და პუბლიკაციაში, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული ენის ისტორიის საკითხებთან, ხოლო ქართული მწერლობის უძველესი ძეგლების მისეული პუბლიკაციები ეტალონია ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მსახურთათვის.

108. — *Du nouveau sur l'Hymne de Ioasaph // Le Muséon.* – 100. – 1987. – გვ. 251-258.

[*კვლავ იოასაფის საგალობლის შესახებ*]

ივირონის აქტების პირველი ტომის პუბლიკაციამ და ჟ. ლეფორის გამოკვლევამ (იხ. *Actes d'Iviron*, I) სავსებით დაადასტურა გიორგი ათონელის თხზულების „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთვმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ,“ ავთენტურობა, რომელსაც მანამდე ნიკოლოზ ადონცის სტატიის „Tornik le moine“ («Byzantion» 13 (1938), გვ. 143-164) გავლენით მრავალი ევროპელი ბიზანტინისტი ეჭვის თვალით უყურებდა. ექვთიმეს მიერ „ბალავარიანისა“ და „აბუკურას“ ბერძნულად თარგმნის დღეს უკვე უდავოდ მიჩნეული ფაქტისა და ბასილი მთაწმიდლის მიერ მისადმი მიძღვნილი საგალობლის ახლებურად განხილვის ფონზე სტატიაში წარმოჩენილია იოასაფის საგალობლისა და მისი მოსახსენებლის ისტორია XI ს.-ის ქართული წყაროების მიხედვით.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ერთადერთი ცნობა ექვთიმეს მიერ „ბალავარიანის“ ქართულიდან ბერძნულად თარგმნის შესახებ დაცულია გიორგი ათონელის ზემოაღნიშნულ თხზულებაში, აქედან გადავიდა იგი „ექვთიმეს ცხოვრების“ მოკლე რედაქციაში, საიდანაც გიორგიმ პირდაპირ „დიდ სჯნაქსარში“ გადაიტანა. ე. გაბიძაშვილის აზრით (*ძველი*

ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 4, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1968, გვ. 49-96), პირიქით, ბასილი მთაწმიდელს ექვთიმეს გარდაცვალების ახლო ხანებში (1028-1030) უნდა შეემუშავებინა იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების მოკლე, ანუ სვინაქსარული რედაქცია, რომელიც, დაახლოებით, ათონზე გიორგი მთაწმიდლის მოსვლის დროს (1040) შექმნილი გიორგისეული „ცხოვრების“ წყარო უნდა გამხდარიყო. მოკლე რედაქციაში აღნიშნულია, რომ ექვთიმემ ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „რაოდენნიმე წიგნნი“, ვრცელ რედაქციაში კი პირდაპირ არის მითითებული ეს ძეგლები: „ბალაჰვარი და აბუკურა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ათონზე იმთავითვე ცნობილი იყო ექვთიმეს ორმხრივი მთარგმნელობითი მოღვაწეობა და ქართული კულტურისათვის მისი მნიშვნელობა. XI ს.-ის 40-იან წლებში, როგორც ჩანს, ქართველებს საკუთრივ ბერძნული კულტურისათვის ივირონის მნიშვნელობის ხაზგასმა დასჭირდათ. XI ს.-ში გოლგოთელ ქართველთა შორის შემუშავებული, ე. წ. „გოლგოთის თთუენი“ (Jer. geo. 42) შეიცავს იოასაფისადმი მიძღვნილ საგალობელს, რომლის განსხვავებული რედაქცია დაცულია გიორგი ათონელისეულ „თუენში“. „გოლგოთის თთუენში“ მოთავსებული საგალობლის აკროსტიხში მოხსენიებული „გლახაკი ბასილი“, ავტორის აზრით, უნდა იყოს არა ბასილი ბაგრატის ძე, ექვთიმეს თანამოღვაწე და გიორგი ათონელის სუ-

ლიერი მამა ხახულის მონასტერში, „ექვთიმეს ცხოვრებისა“ და საგალობლის უძველესი რედაქციების ავტორი, არამედ – XI ს.-ის ომონიმი ჰიმნოგრაფი, რომელიც ათონის მრავალთავში (A-558) დაცული ექვთიმესადმი მიძღვნილი საგალობლის აკროსტიხში თავის თავს „გლახაკ ბასილის“ უწოდებს. ბასილი ბაგრატის ძისა და „გლახაკი ბასილის“ მიერ ექვთიმესადმი მიძღვნილ საგალობელთა შედარება ავლენს, რომ „გლახაკი ბასილი“ არ შეიძლებოდა, ექვთიმეს თანამედროვე ყოფილიყო და მისი სახელით ცნობილი საგალობელი უნდა შექმნილიყო ეპოქაში, როდესაც ივირონელ ბერთა მსოფლადქმაში ერთმანეთში იყო შერწყმული იოასაფისა და ექვთიმეს, როგორც ავტორისა და მისი მთარგმნელის, პიროვნებები. „გოლგოთის თთუენის“ 1049 წლის H-2337 ნუსხის ანდერძის მიხედვით, იოასაფის საგალობლის პირველი ვერსია ამ კრებულში 1040-1049 წწ.-ში შეიტანეს, მაგრამ უცნობია, კონკრეტულად როდის ჩართო გიორგი ათონელმა მისი გადაკეთებული ვერსია თავისი „თთუენის“ მაისის თვის ნაწილში, რადგანაც იგი „თუენზე“ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მუშაობდა. „გოლგოთის თთუენის“ მეორე, Jer. geo. 42, ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს 1049 წლის შემდეგ გიორგი პროხორე-შავთელის გარდაცვალებამდე. ცნობილია, რომ „გოლგოთის თთუენსა“ და იოასაფის საგალობელს გიორგი იერუსალიმში გაეცნო, შემდეგ კი იმდენად გადაამუშავა საგალობელი, რომ იგი, თავად გიორგის აზრითაც,

ორიგინალურ თხზულებად იქცა. „სჯნაქსარში“ (H-1170) 19 მაისს იოასაფის სახელის გამოტოვება იმით აიხსნება, რომ მისი მოსახსენებელი დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო ივირონის მონასტრის ადგილობრივ დღესასწაულთა შორის და მას გიორგი სპეციფიკურ ქართულ ლიტურგიკულ დღესასწაულად თვლიდა.

1988

109. —. *ათონის ქართველთა მონასტრის (ივირონის) წინამძღვრის დადგენის წესები // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ინსტიტუტის დაარსების 30 წლისთავისადმი, [თბილისი, 1988 წლის 23-25 ნოემბერი]. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. – თბ., 1988. – გვ. 8-10. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).*

983 წელს იოანე-თორნიკემ ააშენა ათონის ქართველთა სავანე, როგორც ჩორდვანელთა სახლის საგვარეულო მონასტერი და მას პირველ წინამძღვრად დაუდგინა იოანე ქართველი, რომელმაც სიკვდილის წინ თავის შემცვლელად საკუთარი ძე, ეფთვიმე დატოვა, ხოლო მომდევნო წინამძღვრად „თჯსი“, ანუ ნათესავი გიორგი I ვარაზვაჩე დაასახელა. გიორგიმ წინამძღვრობა 1019 წელს მიიღო, ანუ მას შემდეგ, რაც ეფთვიმე გადადგა და მორიგ მემკვიდრედ გრიგოლი დაასა-

ხელა. იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის 1029 წელს გიორგი I ათონიდან გაასახლეს, მონასტერს მამულები ჩამოართვეს, მისმა ბერძნულმა კრებულმა კი გრიგოლის ნაცვლად წინამძღვრად მძლავრობით გაიყვანა ელინოფილი, თუმცა ეროვნებით ქართველი, გიორგი „უკეთური“. დიდი ბრძოლის შემდეგ, 1035 წელს ქართველთა საძმომ მიაღწია წინამძღვრად გრიგოლის დადგინებას. ამრიგად, 983-1042 წწ.-ში „ივირონის ქტიტორულ მონასტერში წინამძღვრის დადგენა თუ არჩევა ხდებოდა წინა წინამძღვრის რეკომენდაციით, აუცილებლად ჩორდვანელთა დიდი სახლის წევრების ან ნათესავებისაგან“. თორნიკეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით გახსნილი მონასტრის სააღაპე წიგნის უძველესი ფენა მთავრდება 1042 წლით, როდესაც შეიცვალა წინამძღვრის დადგენის წესი, რაც იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ქტიტორული მონასტერი საერთო-ქართულ მონასტრად გადაიქცა. ჩორდვანელთა შთამომავლების თაოსნობით, სამოს ერთი ნაწილი ისევ უჭერდა მხარს ივირონის ქტიტორულ სტატუსს და მისი თვითმყოფი ეროვნული სახის შენარჩუნებას ცდილობდა.

110. —. *დაბრუნება* // კომუნისტი. – 1988. – 28 თებერვალი. – № 50/20091. – გვ. 3.

ემღვნება 1988 წლის 27 თებერვალს სამოც წელიწადზე მეტი ხნის წინათ საფრანგეთში გადახვეწილი, იქვე გარდაცვლილი და დაკრძა-

ლული ჩვენი თანამემამულის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის, საზღვარგარეთის მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრის, კალისტრატე სალიას თბილისში გადმოსვენებასა და დიდუბის პანთეონში დაკრძალვას, სადაც სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ელ. მეტრეველი.

ხაზგასმულია თვალსაჩინო მეცნიერის ხანგრძლივი, თავდადებული და უანგარო მოღვაწეობა ქართული კულტურის განვითარებისა და დასავლეთში პოპულარიზაციისათვის, ის მუშაობა, რომელსაც იგი ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ირგვლივ ცნობილ ქართველოლოგთა და ორიენტალისტთა თავმოყრისა და ევროპის პრესაში ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხების სწორად გაშუქებისათვის ეწეოდა, რაც ფრანგულ და ინგლისურ ენებზე დიდტანიანი ნაშრომის – „ქართველი ერის ისტორიის“ გამოცემით დაგვირგვინდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის გადაწყვეტილებას კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სალიების სახელობის უცხოური სამეცნიერო წიგნების ფონდის შექმნის შესახებ.

111. —. *რამდენიმე საჭირო განმარტება* // კომუნისტი. – 1988. – 7 აგვისტო. – № 182/20223. – გვ. 3.

თანაავტორები: ი . ა ბ ა შ ი ძ ე , ა . ბ ა რ ა მ ი ძ ე ,
ს . ც ა ი შ ვ ი ლ ი , შ . ძ ი ძ ი გ უ რ ი .

გამოხმაურება აღმანახ „კრიტიკის“ 1988 წლის მეორე და მესამე ნომრებში, აგრეთვე, გაზეთ „კომუნისტი“, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობასთან და, საზოგადოდ, რუსთველის პოემის ახალი გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილებზე. აღნიშნულია სირთულეები, რომლებიც პოემის კრიტიკული ტექსტის დადგენას ახლავს; მითითებულია, რომ დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე პრობლემების გადაწყვეტისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა და მეცნიერებაში უკვე დიდი ხნის წინათ გარკვეულ საკითხებზე დაობს, „კრიტიკის“ პუბლიკაციებში კი ფაქტების ობიექტურ ანალიზს, არაკომპეტენტურობასთან ერთად, ჭარბობს შეუფერებელი კილო და მავანთა მიმართ მიუღებელი დამოკიდებულება. ამ წერილებში, ჯერ ერთი, მისამართები არასწორად არის წარმოდგენილი, რამდენადაც მათში გამოთქმული ყველა შენიშვნა ეკუთვნის 1966 წლის საიუბილეო გამოცემას, ან – 1970 წლის პავლე ინგოროყვასეულ ტექსტს და არაფერი აქვს საერთო ზემოაღნიშნული კომისიის მიერ დადგენილ ტექსტთან, რომლის არც მასობრივი (გადაეცა დასაბეჭდად 1985 წ.) და არც აკადემიური ვარიანტი (ათ ტომად) ჯერ არ გამოქვეყნებულა; ამას გარდა, მკითხველის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად რევაზ მიშველამის საპასუხო წერილში გაკეთებული, სრულ გაუგებრობაზე დამყარებული განცხადება («კომუნისტი», № 168/20209, 1988,

20 ივლისი, გვ. 3), თითქოს, „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელთ, მათ შორის, პოემის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას აღმანახ „კრიტიკაში“ გამოთქმული შენიშვნების შემდგომ შეეტანოთ პოემაში „ინდო-ხატაელთა ამბავი“ და ცნობილი სტროფი „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“. აღნიშნულია, რომ კლასიკურ ლიტერატურულ ქმნილებათა ფილოლოგიური კვლევა ემყარება ტექტოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მეთოდებს, ამდენად, რუსთველისეული ტექსტის აღდგენა რთული და შრომატევადი საქმეა, რომელშიც აჩქარება და საკითხებისადმი ზერელე მიდგომა არ გვარგებს. ავტორები მიმოიხილავენ იმ დიდ და მრავალმხრივ მუშაობას, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური კომისია ტექსტის აღდგენისათვის ეწევა.

1989

112. —. *ახალი ნაშრომი შავი მთის ქართული კოლონიის შესახებ* // ლიტერატურული საქართველო. – 1989. – 7 აპრილი. – №14/2690. – გვ. 12-13.

რეც. წგნ.-ზე: W . D j o b a d z e , *Materials for the study of Georgian monasteries in the Western environs of Antioch on the Orontes*, Louvain: Corpussco, 1976 (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, 372; Subsidia, 48).

113. —. *ქრისტინე შარაშიძე* // მრავალთავი. – XV. – 1989.
– გვ. 181-182.

წაკითხულია მოხსენებად 1987 წლის 2 ნოემბერს ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც ქართული კულტურის დიდი მოამაგის, ქრისტინე შარაშიძის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

114. —. Сведения Афонского синодикона об игуменах Бачковского монастыря и о Бакурианах // Восточная рукописная книга и Балканы (Тезисы Докладов). – თბ., 1989. – გვ. 18.

ბალკანეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ მომზადებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „აღმოსავლური ხელნაწერი წიგნი და ბალკანეთის ნახევარკუნძული“ 1989 წლის 11-12 აპრილს უნდა გამართულიყო თბილისში, მაგრამ აღარ შედგა 9 აპრილის ტრაგედიის გამო, თუმცა, კონფერენციის თეზისები და მოსაწვევი ბარათები წინასწარ იყო დაბეჭდილი.

ივირონის სააღაპე წიგნი ამავე მონასტერში 1074 წელს გადაწერილი „ათონის კრებულის“ სახელით ცნობილი ხელნაწერის ნაწილია. 1074 წ.-მდე იგი შეიცავდა, დაახლოებით, 50 მოსახსენებელს,

რომელთა რიცხვმა XII ს.-ის ბოლოს 167-ს მიაღწია. ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიის ამ უმდიდრესი პირველწყაროს გამოყენებას ართულებს ადაპტა დათარიღებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთა გადაჭრა და, ამდენად, მისი მიზანმიმართული გამოყენება შესაძლებელი გახდა ხელნაწერის კოდიკოლოგიური და ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ქრონოლოგიური პლასტების ურთიერთგამიჯვნის საფუძველზე. მკვლევარი განიხილავს ძმების, აბაზ და გრიგოლ ბაკურიანების (№№ 38, 111), პეტრიწონის მონასტრის წინამძღვრების, თეოფანესა (№ 84) და ნიკოლას (№ 141), ასევე, კურაპალატ სუმბატ ბაკურიანისა და მისი მეუღლის, კალეს (№№ 120, 121, 103 და 60) მოსახსენებლებს.

1990

115. —. *Les normes pour l'installation d'un supérieur au monastère des Ibères au Mont Athos (X^e-XI^e siècles) // Lingua Restituta Orientalis, Festgabe für Julius Assfalg. Herausgegeben von R. Schulz und M. Görg. – Wiesbaden, 1990. – gv. 211-219. – (Ägypten und Altes Testament, 20).*

[ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგენის წესები (X-XI სს.)]

1988 წლის 23-25 ნოემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის

ხელნაწერთა ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების ვრცელი ფრანგული რედაქცია.

981-983 წწ.-ში იოანე-თორნიკემ ათონის მთაზე ქართველთათვის ააშენა ჩორდვანელთა სახლის საგვარეულო მონასტერი – ივირონი, სადაც ბერძნები თავდაპირველად მენავეები და ხელოსნები იყვნენ, მაგრამ მალე კრებულის წევრები გახდნენ. ივირონში მათ მომრავლებასა და ქართველებისათვის დაწესებული პრივილეგიების გაუქმებას ხელს უშლიდა იოანე-თორნიკესეული ქტიტორული წესი, რომლის თანახმად, სავანის წინამძღვარი ჩორდვანელთა სახლის წევრი უნდა ყოფილიყო. წინამძღვარი თავის სიცოცხლეში ასახელებდა ორ მემკვიდრეს, რომლებიც მის შემდეგ „ერთი-მეორის მომდევნოდ დაიკავებდნენ წინამძღვრის თანამდებობას“. ივირონში ჩორდვანელთა განსაკუთრებულ პრივილეგიებზე მოწმობს ისიც, რომ იოანე-თორნიკეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაიხსნა მათი სახლის წევრების სააღაპე წიგნი, რომლის უძველესი ფენა 984-1042 წწ.-ით შემოიფარგლება. ამ დროს ივირონი ქტიტორული მონასტერი იყო. იოანე-თორნიკემ პირველ წინამძღვრად დაადგინა თავისი „თჳსი“, ანუ ნათესავი იოანე ბერი, რომელმაც სიკვდილის წინ თავის შემცვლელად საკუთარი ძე, ეფთვიმე დატოვა, მომდევნო წინამძღვრად კი – თავისი „თჳსი“ გიორგი I ვარაზუაჩე. ეფთვიმეს მიერ დადგენილი „წესი და განგება“ პირველი წერილობითი ქტიტო-

რული ტიპიკონია. მისი ნუსხა დღემდე არ არის აღმოჩენილი, თუმცა, მასზე წარმოდგენას გვიქმნის გიორგი ათონელის „ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“. როგორც ივირონის მოხელეთა რიგიდან და მათი ფუნქციებიდან ჩანს, ტიპიკონის უპირველესი დანიშნულება მონასტრის სამეურნეო ცხოვრებაში ქართველთა ჩაბმა იყო, რათა ისინი თავად ყოფილიყვნენ თავიანთი ლავრის ბატონ-პატრონები. გიორგი წინამძღვარი გახდა 1019 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც ეფთვიმე გადადგა და შემდგომ მემკვიდრედ გრიგოლი დაასახელა. გიორგიმ შეცვალა ეფთვიმესეული წესები და მოამრავლა ბერძნები. იმპერატორ რომანოზ III არგიროსის (1028-1034) წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით 1029 წელს იგი კუნძულ მონოვატზე გადაასახლეს, მონასტერს მამულები ჩამოართვეს, ბერძნულმა კრებულმა გრიგოლის ნაცვლად წინამძღვრად მძლავრობით გაიყვანა ელინოფილი, ეროვნებით ქართველი გიორგი „უკეთური“. დიდი ბრძოლის შემდეგ, 1035 წელს ქართველთა სამომ მიაღწია წინამძღვრად ჩორდვანელთა სახლის წევრის, გრიგოლის დადგინებას, თუმცა, მის შემდეგ, 1042 წლიდან მოყოლებული, წინამძღვრები მხოლოდ ხანდახან იყვნენ ჩორდვანელთა სახლის წევრები. შეიცვალა წინამძღვრის დადგენის წესიც: 1045 წელს წინამძღვრის თანამდებობაზე გიორგი ათონელთან ერთად კენჭს იყრიდა კიდევ ორი

პიროვნება. კანდიდატთა წამოყენება ხდებოდა მათი ღირსებისა და დამსახურების მიხედვით, ხოლო არჩევა – ფარული კენჭისყრით, რომელშიც მონაწილეობდნენ ბერძნული და ქართული კრებულები. ამ პრინციპის დამკვიდრება იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ქტიტორული მონასტერი საერთო ქართული მონასტერი გახდა, რაც მის ოფიციალურ სახელწოდებაშიც აისახა, თუმცა ჩორდევანელთა შთამომავლების თაოსნობით, სამძოს ერთი ნაწილი ისევ უჭერდა მხარს ივირონის ქტიტორულ სტატუსს და მისი თვითმყოფი ეროვნული სახის შენარჩუნებას ცდილობდა. საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის ასულის, მარიამ-მართას ბიზანტიაში „დედოფლობისა და გავლენის წლები (1071-დან ს.-ის ბოლომდე) ივირონისათვის ეკონომიკური და უფლებრივი გაძლიერების წლებია“. XII ს.-ის II ნახევარში აქ ორი დამოუკიდებელი კრებულია: ბერძნებს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია უჭირავთ, ქართველებს – დიდი ეკლესია, ე. წ. კათოლიკონი. წინამძღვრის არჩევნებში ორივე კრებული მონაწილეობს. წინამძღვარ პავლეს (1170-1184) მიერ „მესულეთა“, ანუ ეპიტროპთა შესატყვისი ინსტიტუტის შემოღებამაც ვერ შეაჩერა ბერძენთა მომძლავრება ივირონზე, სადაც XIII ს.-ის შუა წლებში პირველი ბერძენი წინამძღვარი „მონასტრის მთელი საკრებულოს სახელით აწერს ხელს ივირონის ბერძნულ აქტს“.

1991

116. —. *ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგენის წესები (X-XII სს.)* // მრავალთავი. – XVI: ეძღვნება ილია აბულაძის დაბადების 90-ე წლისთავს. – 1991. – გვ. 5-13. – რეზ. რუს. ენ.: *Правила назначения игумена в Ивиране (X-XII вв.)*, გვ. 14.

ელ. მეტრეველის ნაშრომის „*Les normes pour l'installation d'un supérieur au monastère des Ibères au Mont Athos (X^e-XI^e siècles)*“ ქართული რედაქცია.

117. —. *ჟერარ გარიტი (1914-1990)* // მრავალთავი. – XVI: ეძღვნება ილია აბულაძის დაბადების 90-ე წლისთავს. – 1991. – გვ. 235-241.

ბელიგიელი ორიენტალისტის, ჟერარ გარიტის, გარდაცვალებასთან დაკავშირებით (1990 წლის 27 აგვისტო) მიმოხილულია დიდი მეცნიერის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა, ნაჩვენებია მისი დამსახურება ქართველოლოგიის განვითარებაში და წარმოჩენილია ქართველ კოლეგებთან მისი მეცნიერული ურთიერთობა.

118. —. Сведения Афонского синодикона об игуменах Бачковского монастыря и о Бакурианах // Византиноведческие этюды. – Тб. Мецниереба, 1991. - გვ. 21-32. - რეზ. ფრანგ. ენ.: *Données du Synodikon de l'Athos sur les Bakouriani et les Higoumènes de Batchkovo*, გვ. 30-31.

ივირონის სააღაპე წიგნი, რომელიც ამავე მონასტერში 1074 წელს გადაწერილი „ათონის კრებულის“ სახელით ცნობილი A-558 ხელნაწერის ნაწილია, ათონის სავანეებისა და, საზოგადოდ, ბიზანტიის ისტორიის უმდიდრესი პირველწყაროა, თუმცა, მის გამოყენებას ართულებს აღაპთა დათარიღებასთან დაკავშირებული პრობლემები. იგი თავდაპირველად 50-მდე, XII ს.-ის ბოლოსათვის კი 167 მოსახსენებელს შეიცავდა. ხელნაწერის სამი რედაქციული ფენის (1074 წ., 1074 – XII ს.-ის შუა წლები, XII ს.-ის შუა წლები – 1184) გათვალისწინებით, რამდენიმე აღაპის დათარიღებისა და ანალიზის საფუძველზე მკვლევარი აზუსტებს ივირონის ისტორიასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს. ძმების, აბაზ და გრიგოლ ბაკურიანების აღაპების (№ 38, 1074 წ.-მდე; № 111, 1077-1082 წწ.) თანახმად, ისინი პეტრიწონის მონასტრის დაარსებამდე თავს ვალდებულად თვლიდნენ, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა გაეწიათ ივირონისა და მისი სკრიპტორიუმისათვის. პეტრიწონის მონასტრის წინამძღვრების, თეოფანესა (№ 84, 1104-1108 წწ.) და ნიკოლას (№ 141, XII ს.-ის შუა წლები) მოსახსენებლები მოწმობს მათი სამძმოს მცდელო-

ბაზე, გაეუმჯობესებინათ XII ს.-ის დასაწყისში ივირონის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. 1085-1103 წწ.-ში წინა აზიაში თურქ-სელჯუკთა გაძლიერებისა და ალექსი I კომნენის (1081-1118) ფისკალური რეფორმის გამო ეკონომიკურად და პოლიტიკურად შეჭირვებულ ივირონს მხარში ედგნენ ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი დიდგვაროვნები, მათ შორის, კურაპალატი სუმბატ ბაკურიანი და მისი მეუღლე, კალე. მათი მოსახსენებლები (№ 120, 1093 წ.; № 121, 1094-1998 წწ.; № 103, 1098-1101 წწ.; № 60, 1103 წ.-ის შემდეგ) და ივირონის ბერძნული აქტები ცხადყოფს, რომ 1085 წლიდან სუმბატი ივირონის ნებაყოფლობითი მფარველი, მესულე იყო და მასთან კონკრეტული ვალდებულებები აკავშირებდა. 1092 წელს, უშვილოდ გარდაცვალების წინ სუმბატი საბას სახელით ბერად აღიკვეცა, მაგრამ თავისი ქონება უანდერძა არა ივირონს, არამედ – მეუღლეს, რომელიც მარიამის სახელით მონაზვნად შედგა და ქმრის ანდერძის აღსრულება დაიწყო: იგი სისტემატურად ეხმარებოდა ივირონს, ხოლო 1103 წელს გარდაცვალების შემდეგ მასვე უანდერძა სოფელი რადოლივო. როგორც ირკვევა, მეუღლეები შეთანხმებული იყვნენ, რომ დაქვრივების შემდეგ მონაზვნად აღკვეცილ მარიამს მატერიალური მფარველობა გაეწია ივირონისათვის – სისტემატურად და დროულად დახმარებოდა მას, გარდაცვალების შემდეგ კი მისთვის ეანდერძებინა დარჩენილი ქონების უდიდესი ნაწილი. ეს განზრახვა, რომელიც

ამკარად ჩანს სუმბატისა და მარიამის მოსახსენებლებიდან და მარიამის ანდერძიდან, თანდათანობით ცხადი გახდა ივირონის სამმოსათვის, რომელმაც ცოლ-ქმარ ბაკურიანთათვის დადებულ ოთხ მოსახსენებელში თანმიმდევრულად ასახა თავისი დამოკიდებულება მათდამი: თუ პირველ, ჩვეულებრივი წესით დადებულ აღაპში მათ მიმართ სამმოს იმედის გაცრუება გამოსჭვივის, ბოლო აღაპის განგების მიხედვით, სამმო მათთვის ლოცულობს, „ვითარცა მაშენებელთათჳს“. ანალოგიურია 1080-1085 წწ.-ში გიორგი მაგისტროსის აღაპთა (№ 56, 73, 96) დაწესების ისტორია. ეს მოსახსენებლები მოწმობს, რომ ბიზანტიის იმპერატორთა მიერ დიდი ლავრებისათვის ოფიციალურად განწესებულ მესულეთა გვერდით უნდა არსებულიყვნენ ნებაყოფლობითი მესულეებიც. ქართველთა მონასტრებისათვის ასეთი მესულეები უნდა ყოფილიყვნენ იმპერიაში მოღვაწე დიდგვაროვანი ქართველები, რომლებსაც კარგად ესმოდათ ამ სავანეთა მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის და ყოველნაირად ეხმარებოდნენ მათ, რისთვისაც სამონასტრო საძვალეში დაკრძალვის უფლება ეძლეოდათ.

119. —.О ктиторах Ивирона // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. – 1992. – № 2. – გვ. 49-53.

თორნიკესა და მისი ძმის, იოანე ვარაზვაჩეს ბრძანებით 976-983 წწ.-ში შედგენილ ხელნაწერთა ანდერძებისა და მინაწერების, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნისა და ივირონის აქტების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ორი მონათესავე სახლი – ჩორდვანელთა და ჩორჩანელთა – სამცხის ძველი დიდი მთავრის, გიორგი ჩორჩანელის სახლის ორი განშტოებაა, რაც, ნერსეს აკინიანის, პაულ პეტერსისა და ნიკოლოზ ადონცის ნაჩქარევად გაკეთებული დასკვნების საწინააღმდეგოდ, აბსოლუტურად გამორიცხავს ჩორდვანელთა სომხურ წარმომავლობას.

გამოკვლევაში ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები მოხსენდა მოსკოვში 1991 წლის 8-15 აგვისტოს გამართულ ბიზანტინისტთა XVIII საერთაშორისო კონგრესს (იხ. М.В. Бибиков, С.П. Карпов, Н. М. Богданова, С. В. Близнюк, А. Р. Пономарев, Р. М. Шукуров, XVIII Международный конгресс византинистов, „Византийский временник, [=] «Byzantina chronika», № 54, 1993, გვ. 211).

120. —. *სამოხელეო ტერმინები ჩოროროდი და ოთხმიზდური* // ქართული წყაროთმცოდნეობა. – VIII: კრებული ეძღვნება ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის რევაზ კიკნაძის [1923-1989] ხსოვნას მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით. – 1993. – გვ. 92-105. – რეზ. რუს. და ინგლ. ენ.: Чиновничьи термины „чоророди“ и „отхмиздური“, *Official terms chororodi and otkhmizduri*, გვ. 105.

შესწავლილია 977 წელს გადანუსხულ ათონის ქართველთა მონასტრის ბიბლიოთეკის Ath. Iv. 9 ხელნაწერსა და მოსკოვის ისტორიული მუზეუმის სინოდალური კოლექციის № 62 ბერძნული კოდექსის 981 წლის ქართულ თავფურცელში მოხსენიებული ტერმინი „ჩოროროდი“, რომელიც სხვადასხვანაირადაა ახსნილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის, რომ IX-X სს.-ში ტაო-კლარჯეთის სამწერლობო და სამეტყველო ენაში გავრცელებული ტერმინი „ჩოროროდი“ / „ჩოროლოდი“ გამარტივებული ქართული ვარიანტია სომხური ტერმინისა – “ჩოროლოდი” (სომხურ ენაზე.), რომელიც, თავის მხრივ, ბერძნული τεραρχης-ის თარგმანია და აღნიშნავს დიდი სახელმწიფოს ერთი მეოთხედის მმართველს. ავტორი კრიტიკულად განიხილავს, ასევე, „დიდი სჯულისკანონის“ ქართულ თარგმანსა და XII-XIII სს.-ის სამ სამეფო სიგელში

მოხსენიებული ტერმინის „ოთხმიზდური“ შესახებ ადრე გამოთქმულ ვარაუდებს და დაასკვნის, რომ იგი პირდაპირ შეესაბამება X საუკუნის მეორე ნახევრის რეფორმის შემდგომდროინდელ ბიზანტიურ ფუნქციონერს, დუკს (ბსწ) და აღნიშნავს რეგიონულ სამხედრო მმართველს, რომელიც დაქირავებულ საჯარისო შენაერთს მეთაურობს. საკვლევო კომპოზიტის მეორე ნაწილი – „მიზდი“ კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იგი „მიზდით“, ანუ ხელფასით აყვანილი, დაქირავებული სახელმწიფო მოხელეა. მკვლევარი საკვლევ ტერმინს „დიდი სჯულისკანონის“ თარგმნის პროცესში არსენ იყალთოელის მიერ შექმნილ ნეოლოგიზმად მიიჩნევს.

121. —. *Gérard Garitte (1914-1990) // Le Muséon.*– 106. – 1993. – გვ. 373-379.

[ჟერარ გარიტი (1914-1990)]

ჟ. გარიტის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ელენე მეტრეველის ნაშრომის „ჟერარ გარიტი (1914-1990)“ ს. ზურაბიშვილისეული ფრანგული თარგმანი. როგორც რედაქცია შენიშნავს, ჟურნალმა „ლე მუზეონი“ იგი გამონაკლისის სახით გამოაქვეყნა ჟ. გარიტისა და ელ. მეტრეველის პიროვნებათა პატივისცემის, აგრეთვე, საქართველოს მიმართ ბელგიელი მეცნიერის განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად.

122. —. *იოვანე და ეფთვიმე ათონელებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნები“*, ეძღვნება პროფესორ პოლ [ემილ] ლემერლის [(1903-1989)] ნათელ ხსოვნას // ფილოლოგიური ძიებანი. – II. – 1995. – გვ. 3-41. – რეზ. ფრანგ. ენ.: *Livres commémoratifs dédiés à Euthyme l'Hagiorite et Jean l'Ibère, En hommage du Professeur Paul Lemerle*, გვ. 40-41.

იოვანე იბერისა და მისი ძის, ეფთვიმეს თანამოღვაწეებს ესმოდათ, რომ ათონზე ივირონის დაარსებით ქართული სახელმწიფოსა და კულტურის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყებოდა. რადგანაც ეფთვიმეს, მრავალთან ერთად, „აქუნდა ესეცა დიდი სათნოებაჲ დაფარვაჲ სათნოებათა თვსთაჲ და ამისთვის უმრავლესნი სათნოებანი აღუწერელად დაშთეს“ (ბასილი ბაგრატის ძე), „დაფარულ სათნოებათა“ წარმოსაჩენად თანამოღვაწეთა თაობებმა შეაფასეს და საქვეყნოდ ცნობილი გახადეს მამა-შვილის პიროვნული თვისებები, მათი მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგები. იოვანესა და ეფთვიმეს იდეოლოგიური პოზიციის მიხედვით, რაც საფუძვლად დაედო საზღვარგარეთ არსებული ყველა ქართული სამწიგნობრო კერის ცხოვრებას, ქართველთა სარწმუნოებას არასოდეს შეხებია მწვალებლობა და ბიზანტიაში მოღვაწეობისას ისინი ისე განისწავლნენ, რომ თავიანთი განათლებითა და

შემოქმედებითი პოტენციალით ბერძნებს აღარ ჩამორჩებოდნენ.

თანამოღვაწეთა მოწიწება გამოიხატა ეფთვიმეს თარგმანთა ავტოგრაფული ხელნაწერების დიდი ფილოლოგიური სიზუსტით გადანუსხვაში, სადაც მამა-შვილის ანდერძებისათვის გადამწერთა მიერ დართულ მინაწერებში წარმოჩენილია მათი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, აგრეთვე, მათი პიროვნული თვისებები და ზნეობრივი სახე, რის გამოც ეს ხელნაწერები იოვანესა და ეფთვიმესადმი მიძღვნილ „სამახსოვრო წიგნებად“ იქცა. მათი პირველი ნიმუშებია იოვანე გრძელისძის, არსენ ნინოწმიდელისა და იოანე „ოქროპირად“ წოდებულის მიერ შედგენილი იოვანე ოქროპირის „მათეს თავის თარგმანების“ (CPG 4424) სამწიგნეული (Ath. 13-4-10, 1008 წ.) და „გრიგოლ ჰრომთა პაპის“ „დიალოღონისა“ (CPL 1713) და სხვა ასკეტურ თხზულებათა კრებული (A-1103, 1013-1016 წწ.), რომელთა ეფთვიმესეული ავტოგრაფები დღესდღეობით დაკარგულია. პირველ წიგნში ყურადღება გამახვილებულია იოვანე იბერზე, მეორეში კი – ეფთვიმეს მთარგმნელობით საქმიანობასა და პიროვნებაზე. „სამახსოვრო წიგნების“ მეორე ნიმუშებია ზაქარია ბანელის, გრიგოლ მთაწმიდელის, ზაქარია მირდატის ძის, არსენის, ბასილი ეტრატაბსა და ისაკ ულუმბოელის მიერ გადანუსხული ფსევდომაკარის „სწავლანი“ (CPG 2410; Ath. 21) და მაქსიმე აღმსარებლის „სიტყვის-გებანი“ (CPG 7688, 7698; Q-34, 1028-1031

წწ.), სადაც დასმულია ეფთვიმესეული თარგმანების ხელყოფისა და „ჩხრეკისაგან“ დაცვის საკითხიც, რომელმაც 1030-1034 წწ.-ში მწვავე ხასიათი მიიღო და უკავშირდებოდა 1029-1034 წწ.-ში ივირონში შექმნილ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებას, ბერძენთა მიერ ქართველებისადმი – მათ შორის, მონასტრის მამულებელთა მიმართაც – წამოყენებელ მწვალებლობის ბრალდებას. მომდევნო „სამახსოვრო წიგნში“, ეფთვიმეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ბასილი ბაგრატის ძის მიერ 1028-1029 წწ.-ში დაწერილ სვინაქსარულ „ცხორებაში“ გამორჩენილი ცნობა ეფთვიმეს მიერ „რაოდენნიმე“ წიგნთა „ბერძულადცა ქართულისაგან“ თარგმნის შესახებ, რაც გიორგი ათონელისეულ ვრცელ „ცხორებაში“ ფაქტობრივი მასალითაა შევსებული, აღუნიშნავი დარჩათ მის პირველ განმადიდებლებს, რომელთა უპირველესი მიზანი ქართული კულტურისათვის მამაშვილის საგანმანათლებლო მოღვაწეობის მნიშვნელობის წარმოჩენა იყო; ამასთანავე, შესაძლებელია, ეფთვიმეს ეს თხზულებანი 1005 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ ეთარგმნა: წინააღმდეგ შემთხვევაში, იოვანე იბერი მათზე მიანიშნებდა თავის ანდერძებსა და ეფთვიმეს მიერ თარგმნილ თხზულებათა სიაშიც შეიტანდა.

მოგვიანებით, ივირონში ბერძნული და ქართული კრებულების ერთმანეთთან მწვავე დაპირისპირებისას მწვალებლობაში ბრალდებული ქართველები იძულებულნი

გახდნენ, ხაზგასმით წარმოეჩინათ მამა-შვილის დამსახურება ათონის ბერძნული მონასტრების წინაშე და აღენიშნათ არა მხოლოდ წმინდა ათანასეს ლავრისადმი თვით ათანასეს მიერ დადგენილი ლავრის ეპიტროპების – იოვანეს, ეფთვიმესა და გიორგი ვარაზვაჩეს მიერ გაცემული მდიდარი უძრავი და მოძრავი ქონების, ძვირფასი ხატებისა და ბერძნული ხელნაწერების კოლექციის შეწირვის ფაქტი, არამედ – ეფთვიმეს მიერ ზემოაღნიშნულ თხზულებათა ქართულიდან ბერძნულად თარგმნაც, რითაც მან ხარკი გადაუხადა ბიზანტიაში IX საუკუნეში აღმოსავლური კულტურისადმი გაცხოველებულ ინტერესს. მამა-შვილის ხსოვნის უკვდავყოფის შემდეგი ეტაპი იყო გიორგი ათონელის „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთვიმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“: 1040 წელს ათონზე დამკვიდრებულმა გიორგიმ ივირონის დაკნინება გიორგი ვარაზვაჩეს მიერ ეფთვიმესეული წესების შეცვლით ახსნა, მოითხოვა უწინდელი ვითარების აღდგენა და დიდი წინამორბედების ცხოვრების „უცხო[დ ...] ყოვლითურთ ტყუვილისაგან“, ანუ პირუთვნელი აღწერით მათი ნამდვილი კულტი შექმნა.

ეს ტრადიცია დასრულდა XVIII ს.-ის პირველ ნახევარში, როდესაც ივირონის ბერძნული საკრებულოს ანონიმმა ბერმა, ძირითადად ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, ბერძნულ ენაზე დაწერა იოვანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების „ცხოვრება“. „სამახსოვრო წიგნებში“ ეფთვიმე და-

ხატულია როგორც სწორუპოვარი მწიგნობარი და ასკეტი, უმაღლესი ქრისტიანული ზნეობის დამცველი, სულიერი მამა და სამონასტრო ცხოვრების დიდი ორგანიზატორი, რომელიც თავის პრინციპებს იდეოლოგიური ხერხებით მიმდინარე მძაფრ ბრძოლაში იცავდა. „სამახსოვრო წიგნთა“ ანდერძებში შეუცდომლადაა დანახული ბერძენთა და ქართველთა დაპირისპირების ეთნიკური, აღმსარებლური და ეკონომიკური მიზეზები, ეფთვიმეს მიერ ქართველთა ინტერესების დაცვისათვის გამოყენებული იდეოლოგიური ფორმები, მისი ღვაწლი საქართველოს ეკლესიის, სამეფოს განათლებისა და ზნეობრივი ამაღლების საქმეში.

1996

123. —. *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის ნათელ ხსოვნას. – თბ.: ნეკერი, 1996. – 320 გვ. – (თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

რეც.: ზ. ჭუმბურიძე. *ივირონის ჩამქრალ ვარსკვლავთა შუქი* // მწიგნობარი. – 1998. – გვ. 199-206.

მონოგრაფიაში შეჯამებულია ათონის ივირონის მონასტრის ისტორიასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ

საკითხებზე მკვლევრის მრავალწლიანი მუშაობის შედეგები. მასში შესულია 9 ნარკვევი: „ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის“, „ჩორდვანელთა დიდი სახლი და ივირონი“, „О ктиторах Ивирона“, «სამოხელეო ტერმინები „ჩოროროდი“ და „ოთხმიზდური“», „ათონის ქართველთა მონასტრის მესამე წინამძღვრის გიორგის ვინაობისათვის“, «იოანე და ეფთვიმე ათონელებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნები“», „ზაქარია ბანელი“, „ზაქარია ბანელის ანდერძი და ბერძნული ლექსი მცირე სვინაქსარიდან“, „იოანე პატრიკისა და პეტრე პატრიკის იდენტიფიკაციისათვის“, „თეოფილე ხუცესმონაზონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღდგენის ცდა“, „ხელნაწერი Ath. 29 – როგორც თეოფილე ხუცესმონაზონის ბიოგრაფიის წყარო“, „ნიკოლაოს ჯუმათელი“, „დანართი: გიორგი მთაწმიდლისადმი მიძღვნილი საგალობლები“. ამ ნაშრომთა უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. მათში გამოყენებულია ივირონის მონასტრის ბერძნული აქტების ოთხტომიანი კორპუსი, რამაც აშკარა გახადა ათონისა და საზღვარგარეთის სხვა ქართული სამწერლობო კერების ისტორიის კვლევის დიდი მნიშვნელობა ბიზანტიური კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის. მკვლევარი იმოწმებს, აგრეთვე, პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის შემსწავლელ ცენტრში დაცულ ე. წ. „ათონის არქივს“. მონოგრაფიამ სრულყოფილად წარმოაჩინა ივირონში ქართველ

მწიგნობართა, მათ შორის, ნაკლებად ან საერთოდ უცნობ მოღვაწეთა საქმიანობა.

124. — *Ivion Ktitors of the House of Chordvanieli // Acts, XVIIIth International Congress of Byzantine Studies, selected papers: main and communications, Moscow, 1991, 1, History.* Editors-in-chief: I. Ševcenko and G. G. Litavrin, corresponding editor W. K. Hanak. — Shepherdstown, WV: Byzantine Studies Press, Inc., 1996. — გვ. 438-444.

[ივირონის ქტიტორები ზორდვანელთა სახლიდან]

იხვ.: М. В. Бибиков, С.П. Карпов, Н. М. Богданов, С. В.Близнюк, А.Р. Паномарев, Р.М. Шукуров, *XVIII Международный конгресс византинистов // Византийский временник[=] Byzantina xronika..* — 54. — 1993. — გვ. 211.

ელ. მეტრეველის ნაშრომის „О ктиторах Ивирона“ ინგლისური რედაქცია.

1998

125. — *ტერმინ „ხანბაშურის“ გაგებისათვის // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია.* — 1998. — ! 1-4. — გვ. 207-212. — რეზ. რუს. ენ.: Талкование термина „Ханбашури“, გვ. 212.

ტერმინი „ხანბაშური“ XI-XII სს.-ის ქართულ წერილობით წყაროებში გვხვდება. სამეცნიერო

ლიტერატურაში მისი მნიშვნელობა არაერთგვაროვნად არის განმარტებული. სათანადო მასალის ანალიზისას საკვლევი ტერმინის ორი ძირითადი მნიშვნელობა იკვეთება: თანამდებობრივად (პროფესიით) იგი საგანმურთა მცველს, იდეოლოგიურად კი – მართლმადიდებლობის დამცველსა და მქადაგებელს ნიშნავს. ამ სიტყვის ეტიმოლოგია პირველ რიგში სირიულ გარემოშია საძიებელი, რის დასადასტურებლადაც ავტორი იყენებს აკად. კ. წერეთლის მიერ ამ საკითხზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

126. — О грузинской гимнографической терминологии // Православный палестинский сборник. – 98/35: Сборник памяти Н. В. Пигулевской. – 1998. - გვ. 105-114. - რეზ. ფრანგ. ენ.: *A propos de quelques termes hymnographiques*, გვ. 114.

განხილულია ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები, მისი მეტრიკულ-მუსიკალური ასპექტები და X ს.-ში იადგრის ახალი რედაქციის შემუშავების პროცესში ჩამოყალიბებული ჰიმნოგრაფიული ტერმინოლოგია, რომლის შესწავლა წარმოდგენას გვიქმნის VII-XI სს.-ში ბიზანტიური საგალობლების ქართულად მთარგმნელთა და მგალობელთა თეორიულ პრინციპებზე, თარგმნის ტექნიკურ პროცესებზე, აგრეთვე, ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაზე, საეკლესიო პოეზიისა და მუსიკის მცოდნეთა აღზრდაზე,

სავარჯიშოებსა და დროთა განმავლობაში მათ დიფერენცირებულ მომზადებაზე. განაალიზებულია მოდალური გალობის აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინები „წმეანი“ და „წმეანი გალობა“, რომელთა ადგილს X ს.-დან მოყოლებული იჭერს „მეხური“ და „მეხური გალობა“; აგრეთვე, სხვა ტერმინები: „მარცვლე-დოვანი საზომი“, „კილო“, „ქცევა“, „ნიშანი“, „აღნიშვნა“, „მნიშვნელი“, „თვალვა“, „შესწორება“.

127. —. *ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ილია აბულაძის ხსოვნას. — თბ., სკოლა, 1998. — 448 გვ.*

წარმოადგენს „ათონის კრებულის“ (A-558) ერთი ნაწილის – „სააღაპე წიგნის“ პუბლიკაციას, რომლის ცალკე გამოყოფა განაპირობა მისმა განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ და ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებულმა ახლად გამოვლენილმა მასალამ. წიგნისათვის დართულ ვრცელ ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევაში, ხელნაწერის კოდიკოლოგიური და ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით, დაკონკრეტებულია ნიკო ბერძენიშვილის მიერ მასში გამოყოფილი სამი რედაქციული ფენის (1074 წ., 1074 – XII ს.-ის შუა წლები, XII ს.-ის შუა წლები – 1184) ქრონოლოგიური საზღვრები, აღაპთა ქრონოლოგიური ჯგუფები და ქვეჯგუფები; შესაბამისად, დასმული და გადაჭრილია

მრავალი მეცნიერული პრობლემა. ნაშრომი შეიცავს, აგრეთვე, ალაპთა კრიტიკულად დადგენილ ტექსტებს, მათ დეტალურ კომენტარს, სპეციფიკურ ტერმინთა, დღესასწაულთა, პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა ლექსიკონებს, ალაპთა ფაქსიმილეებსა და მათ სამიებლებს, საკვლევი საკითხის შესახებ მეცნიერის მიერ ადრე გამოქვეყნებულ გამოკვლევებს: „ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგენის წესები (X-XII სს.)“, „Сведения Афонского синодикона об игуменах Бачковского монастыря и о Бакурианах“, „ათონის ერთი ალაპის გაგებისათვის“, «ტერმინ „ხანზაშურის“ გაგებისათვის». წიგნში შეტანილია, აგრეთვე, თ. ხაჭომიას ნაშრომი „ათონის კრებულის“ ალაპთა ზოგიერთი ადგილის დაზუსტებისათვის», ასევე, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ზოგიერთ რეგიონში ქართული მონასტრების კუთვნილი მიწებისა და ნაგებობების რუკები.

2000

128. *ელექტორატი. ასეთია მათი აზრი* // საქართველოს რესპუბლიკა. – 2000. – 25 იანვარი. – № 21/3417. – გვ. 1.

ჟურნალისტ თამაზ ებანოძის მიერ დასმულ კითხვებზე ელენე მეტრეველის პასუხებში დადებითად არის შეფასებული ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობა საქართველოს

პრეზიდენტის პოსტზე, მისი კანდიდატურა მიჩნეულია უალტერნატივოდ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში.

2001

129. — *აჩქარება არ ეგების. ამ სახით „საკონსტიტუციო შეთანხმების“ მიღება გაუმართლებელია // საქართველოს რესპუბლიკა. – 2001. – 25 თებერვალი. – № 46/37871. – გვ. 4.*

ავტორის აზრით, საქართველოს ეკლესიის მიერ შემოთავაზებული სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის „საკონსტიტუციო შეთანხმების“ პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია სასოფლო და არასასოფლო მიწების, ტყეების, მდინარეების (უკანასკნელი ვარიანტით – წყაროების), მინერალური რესურსების, ასევე, სახელმწიფო და კერძო არქივებში, მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებად გამოცხადება, ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ასევე – ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო დეკლარაციას, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა და, საზოგადოდ, დემოკრატიის პრინციპებს; რაც მთავარია, გაუმართლებელია, ასეთი ხელშეკრულების უვადოდ დადება.

ზემოაღნიშნული საგანძური, რომელიც რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებითა და იმდროინდელ მოწინავე ქართ-

ველ სასულიერო და საერო მოღვაწეთა ერთობლივი ინიციატივით 1876 წელს გაიტანეს ეკლესია-მონასტრებიდან და გადასცეს მუზეუმებს მისი დაცვისა და შესწავლისათვის, დიდი ხანია, საერთო-ეროვნულ საკუთრებადაა აღიარებული და არ შეიძლება მისი გამოყენება „ტოტალიტარული რეჟიმის მიერ მინიჭებული ზიანის“ საკომპენსაციოდ. სხვადასხვა საზოგადოებისა და კერძო კოლექციების ფონდებში დაცულმა ხელნაწერებმა და ისტორიულმა დოკუმენტებმა თავი მოიყარა ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (1930 წ.), ხოლო შემდეგ – ამ განყოფილების ბაზაზე დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (1958 წ.), სადაც 1991 წ.-მდე საუკეთესო პირობები იყო შექმნილი მათი დაცვისა და მეცნიერული შესწავლისათვის. პროექტი არ ითვალისწინებს რელიგიური, ეთიკური და ესთეტიკური პრინციპების ერთმანეთისაგან გაუთიშველობას, რაც განმსაზღვრელი იყო შუა საუკუნეების აზროვნებისათვის. ამის გამო ისე ჩანს, თითქოს, ხელშეკრულება სახელმწიფოსთან ერთად ეკლესიის საერთო-ეროვნული ინტერესების სამსახურში მოღვაწეობისათვის კი არ იდება, არამედ – საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების ეკლესიის სასარგებლოდ გადასაჭრელად. მკვლევარი თვლის, რომ მიზანშეწონილია, ჯერ „[...] შეთანხმების ისეთი ტექსტი შედგეს, რომელიც დაიმსახურებს სპეციალისტთა

და ექსპერტთა ნდობას და მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვროს მისი ადგილი კანონთა რანგირებაში“.

130. — *აჩქარება არ ეგების. ამ სახით „საკონსტიტუციო შეთანხმების“ მიღება გაუმართლებელია // ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება. საქართველო. XXI საუკუნის დასაწყისი. – თბ., 2001. – გვ. 31-36. – (საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“).*

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2001. – 25 თებერვალი. – 45/37871. – გვ. 4) გამოქვეყნებული წერილის განმეორებითი პუბლიკაცია.

2002

131. — *ვინ ააშენა იერუსალიმის თეკლას მონასტერი? // ანამკი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, [კრებული ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის – ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ნათელ ხსოვნას]. – თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002. – გვ. 241-245. – (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).*

ელ. მეტრეველმა თავის დროზე XV ს.-ის შუა წლებით დათარიღა იერუსალიმის წმინდა თეკლას მონასტერი. როგორც ტაძრის კედლის ახლად მიკვლეულმა წარწერამ დაადასტურა, მისი აშე-

ნების შესახებ ცნობის მოწოდებისას ტიმოთე გაბაშვილი მონასტრის საამშენებლო წარწერით სარგებლობდა. გ. მიქაძის აზრით, მონასტერი აშენებულია XV ს.-ში ჯვარისმამის, ქრისტეფორე ზედგენიძის მიერ, მისი ზღუდე კი – ჯვარისმამის, ქაიხოსრო ზედგენიძის მიერ XV-XVII სს.-ში (გ. მიქაძე, *იერუსალიმის უცნობი სამშენებლო წარწერა*, «ქართული წყაროთმცოდნეობა», III, 1976, გვ. 236-241). ე. მეტრეველი აღნიშნავს, რომ წარწერის გადამღებნი ვერ აზუსტებენ ვერც მის ადგილმდებარეობას და ვერც იმას, ქვა, რომელზედაც შესრულებულია წარწერა, მონასტრის ანსამბლს ეკუთვნის, თუ რომელიმე სხვა ნაგებობისათვის გამოყენებული საშენი მასალაა. მკვლევრის აზრით, წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XV ს.-ს არ უნდა სცილდებოდეს არც მონასტრის ზღუდის აშენების ქრონოლოგიური საზღვრები. ელ. მეტრეველი ასაბუთებს, რომ წარწერაში მოხსენიებული ქაიხოსრო ზედგენიძე და ტიმოთე გაბაშვილის მიერ მოხსენიებული ქრისტეფორე ზედგენიძე ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. მას აუშენებია თეკლას მონასტერი, შემდეგ კი – მისი გალავანი და სენაკი. მისი ორი სხვადასხვა სახელით მოხსენიება გამოწვეული უნდა იყოს სახელთა მექანიკური აღრევით, ანდა იმით, რომ ერისკაცობაში ქაიხოსრო ზედგენიძემ ბერად აღკვეცის შემდეგ ქრისტეფორეს სახელი მიიღო.

IV. ელენე მეტრეველის მიერ დასაბეჭდად
მომზადებული ხელნაწერთა აღწერილობები,
დადგენილი კრიტიკული ტექსტით გამოცემული
ლიტერატურული ძეგლები და
სხვა თხზულებები

1950

132. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (*H კოლექცია*), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. IV. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ელ. მეტრეველის მიერ, [მისივე „წინასიტყვაობით“ (გვ. 1-2)]. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950. – 502 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

[თანაშემდგენელი: ელ. ვირსალაძე]

რეც.: ს. ხუციშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. ტომი III, IV და V // მნათობი. – 1952. – № 10. – გვ. 155-158.

შეიცავს H კოლექციის №№ 1501-2000 ხელნაწერების აღწერილობას. „ხელნაწერთა აღწერილობაზე მუშაობდნენ: ელ. მეტრეველი (აღწერა 1500-დან 1912 ნომრამდე), ელ. ვირსალაძე (აღწერა ფოლკლორული მასალები 1913-დან 2000 ნომრამდე), რიგი ხელნაწერებისა აღწერა ქრ. შარაშიძემ“ (გვ. 2).

ერთვის ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა, საკუთარ სახელთა, ტოპონიმთა და დარგობრივი საძიებლები.

„აღწერილობის“ VI ტომისათვის თანდართული შესწორების (*საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*), ტ. VI, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. მეფარიშვილის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1953, ჩამატება) თანახმად, „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ IV ტომი, კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, შედგენილი და სასტამბოდ დამზადებულია ელ. მეტრეველისა და ელ. ვირსალაძის მიერ, ხოლო ტომის რედაქცია ეკუთვნის ელ. მეტრეველს“.

133. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1951. – 348 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

თანაშემდგენლები: ქ. შარაშიძე, მ. ქიქოძე, ლ. ქუთათელაძე, ნ. კასრაძე, თ. ენუქიძე, კ. გრიგოლია, შ. ბურჯანაძე, ნ. ქანთარია, შ. გოზალი-შვილი, დ. მეგრელაძე.

ქ. შარაშიძემ შეადგინა გზამკვლევი ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძველ ხელნაწერთა ფონდისა, მ. ქიქოძემ – ამავე საზოგადოების ძველი საბუთების ფონდისა და ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციისა, ლ. ქუთათელაძემ და ნ. კასრაძემ – ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ფონდისა, თ. ენუქიძემ – ამავე მუზეუმის ძველი საბუთების ფონდისა, კ. გრიგოლიამ – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველ ხელნაწერთა ფონდისა, შ. ბურჯანაძემ – ამავე საზოგადოების ძველი საბუთების ფონდისა და თურქულ ხელნაწერთა კოლექციისა, ელ. მეტრეველმა – აკად. ს. ჯანაშიას

სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა ახალი ფონდის, სპარსულ ხელნაწერთა და ფოტოპირების კოლექციებისა (თავები: „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ძველ ხელნაწერთა ფონდი“, გვ. 159-198; „სპარსულ ხელნაწერთა კოლექცია“, გვ. 300-303; „ხელნაწერთა ფოტოპირების კოლექცია“, გვ. 304-306), ნ. ქანთარია – ამავე მუზეუმის ძველი საბუთების ახალი ფონდისა, შ. გოზალიშვილმა – პირადი საარქივო ფონდებისა, დ. მეგრელაძემ – რუსულ ხელნაწერთა კოლექციისა, ლ. ქუთათელაძემ – სომხურ ხელნაწერთა კოლექციისა.

ერთვის ქართულ ხელნაწერთა, საბუთთა და პირადი საარქივო ფონდების საძიებლები, გამოყენებული ლიტერატურის სია.

1953

134. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (*H კოლექცია*), ტ. VI. შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ნ. კ ა ს რ ა ძ ი ს , ე ლ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს , ლ . მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს , ლ . ქ უ თ ა თ ე ლ ა - ძ ი ს ა და ქ . შ ა რ ა შ ი ძ ი ს მიერ, ა ლ . ბ ა რ ა - მ ი ძ ი ს რედაქციით. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953. – 540 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

შეიცავს H კოლექციის №№ 2501-3265
ხელნაწერების აღწერილობას. ლ. მეფარიშვილმა
აღწერა №№ 2501-3000 ხელნაწერები, ქ. შარაშიძემ –
№№ 3001-3103, 3193-3208, ელ. მეტრეველმა –
№№ 3104-3195, ნ. კასრაძემ – №№ 3209-3250, ლ.
ქუთათელაძემ – №№ 3251-3162 ხელნაწერები.

ერთვის ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა,
გეოგრაფიულ სახელთა, პირთა და დარგობრივი
საძიებლები.

1954

135. საქართველოს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენა, XIX საუკუნის გამოფენის გენერალური გეგმა. შედგენილი ნ. შოშიაშვილის, ა. ბაქრაძის და შ. ბურჯანაძის მიერ, აკ. როგავას, ელ. მეტრეველის, ლ. გვახარიას და ალ. ჯავახიშვილის მონაწილეობით. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954. – 59 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილება).

1955

136. მარი ნ. იერუსალიმის ბერძნული საკატორიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ელ. მეტრეველმა, [მისივე „წინასიტყვაობა“ (გვ. 5-8)]. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955. – 96 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

„აღწერილობა“, რომელიც ნ. მარმა 1902 წლის ექსპედიციის დროს შეადგინა, პირველად ქვეყნ-

დება. დროის სიმცირის გამო მეცნიერი იძულებული იყო, მოკლედ აღწერა ხელნაწერები, თუმცა, იმედოვნებდა, რომ შეძლებდა, კვლავ დაბრუნდებოდა სამუშაოს და ნაშრომს სრულყოფილი სახით გამოაქვეყნებდა. წინამდებარე გამოცემას საფუძვლად უდევს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული მარისეული „აღწერილობის“ ავტოგრაფის ფოტოკოპირი, რომელიც თითქმის უცვლელად არის წარმოდგენილი: მასში შეტანილია მხოლოდ ტექნიკური ცვლილებები.

ერთვის საკუთარ სახელთა საძიებელი ქართულ ენაზე და საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი – რუსულ ენაზე.

1956

137. ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი . *მიმოსღვა*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ მ ა , [რედ. კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე]. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956. – გვ. 01-0253 (გამოკვლევა), 1-159 (ტექსტი, რედაქციული და ვარიანტული სხვაობანი, საძიებლები, ლექსიკონი). – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი).

რეც.: ს ო ლ . ც ა ი შ ვ ი ლ ი . *მწერალ-მოგზაურის დღიურები* // სახალხო განათლება. – 1956. – 24 ოქტომბერი. – № 43/1415. – გვ. 3;

ტ. რუხაძე. ქართული სამოგზაურო თხზულებანი (ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსღვის“ გამოცემის გამო) // ახალგაზრდა კომუნისტი. – 1956. – 27 ნოემბერი. – № 142/6246. – გვ. 3; მ. კელიძე. ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლი // კომუნისტური აღზრდისათვის. – 1956. – № 12. – გვ. 84-87; ალ. ბარამიძე. კრიტიკული შენიშვნები // ლიტერატურული ძიებანი. – 13. – 1961. – გვ. 407-413; გადაბეჭდ. // მისივე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. – 4. – თბ.: მეცნიერება, 1964. – გვ. 305-313.

XVIII ს.-ის თვალსაჩინო ქართველი მოღვაწისა და მწერლის, ტიმოთე გაბაშვილის სამოგზაურო ჟანრის თხზულების „მიმოსღვა“ ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მომზადებული კრიტიკული გამოცემა. იგი ემყარება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მკვლევრის მიერ დაცულ დისერტაციას. თხზულება XVIII ს.-ის 60-იანი წლების საქართველოს, ოსმალეთის იმპერიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, აგრეთვე, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის უპირველესი პირველწყაროა. ავტოგრაფული ნუსხების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია თხზულების სამი სხვადასხვა რედაქცია, რაც ასახავს ტ. გაბაშვილის მიერ ტექსტზე მუშაობის სამ სხვადასხვა ეტაპს. გამოკვლევაში შესწავლილია ტექსტოლოგიური საკითხები, დადგენილია ავტორის მოგზაურობის

ქრონოლოგია, აგრეთვე, გამოკვლეულია მისი ცხოვრებისა და იერუსალიმში სხვა ქართველ მოგზაურთა მოღვაწეობის მანამდე ბუნდოვანი მრავალი საკითხი. XVIII ს.-ის საქართველოს ისტორიის განხილვა ამ მონაცემების საფუძველზე საშუალებას იძლევა, პირველად განისაზღვროს მთელი სისრულით ამ მოღვაწის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში.

მკვლევრის მიერ დადგენილი კრიტიკული ტექსტის საფუძველზე განხორციელდა ტიმოთე გაბაშვილის თხზულების ინგლისური გამოცემა: T. Gabashvili, *Pilgrimage to Mount Athos, Constantinople and Jerusalem, 1755-1759*, translated & annotated by M. Ebanoidze & J. Wilkinson, [Richmond]: Curzon, 2001, 224 პ., სადაც თარგმანისათვის თანდართული გამოკვლევის ცალკეული თავებიც მთლიანად ელ. მეტრეველის ნაშრომს ემყარება.

1957

138. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. I. შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, [ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის „წინასიტყვაობა“ (გვ. 5)]. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957. – 510 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

შეიცავს Q კოლექციის პირველი 500 ხელნაწერის აღწერილობას. ელ. მეტრეველმა აღწერა №№ 1-231, 361-500 ხელნაწერები, ქრ. შარაშიძემ – №№ 232-360.

ერთვის ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა, გეოგრაფიულ სახელთა, პირთა და დარგობრივი საძიებლები.

1958

139. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q კოლექცია, ტ. II. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958. – 452 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

შეიცავს Q კოლექციის №№ 501-1000 ხელნაწერების აღწერილობას. ნ. კასრაძემ აღწერა №№ 501-650 ხელნაწერები, თ. ბრეგაძემ – №№ 651-715, 965-983, ელ. მეტრეველმა – №№ 716-778, 984-1000, თ. ენუქიძემ – 779-800, 820-872,

ლ. ქუთათელაძემ –№№ 801-820, ქრ. შარაშიძემ –
№№ 873-964 ხელნაწერები.

ერთვის ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა,
პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და დარგობრივი
საძიებლები.

1959

140. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბ რ ე გ ა ძ ი ს , თ. ე ნ უ ქ ი ძ ი ს , ნ. კ ა ს რ ა ძ ი ს , ლ. ქ უ თ ა - თ ე ლ ა ძ ი ს ა და ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს მიერ, ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959. – 758 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ერთად აღრიცხავდა ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს, რომელთა საერთო რაოდენობა 5338 ერთეულს აღწევდა. 1914 წელს ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები ცალკე კოლექციებად დაიყო, თუმცა, ხელნაწერთა პირვანდელი რიგითი სათვალავი არც ამის შემდეგ შეცვლილა. წინამდებარე ტომით ხელნაწერთა ინსტიტუტმა დაიწყო მის საერთო ფონდში S ლიტერით შემოსული ყოფილი წერა-

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 2222 ხელნაწერის თანმიმდევრული აღწერა. ხელნაწერთა ძველი ნომრების გვერდით (მათ დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რადგანაც მეცნიერები ხელნაწერებს ძველი ნუმერაციის მიხედვით იცნობენ) კიდევ ფრჩხილებში მიწერილია ახალი რიგითი ნომერიც.

ზემოაღნიშნული ტომი შეიცავს S კოლექციის პირველი 500 ხელნაწერის აღწერილობას. ლ. ქუთათელაძემ აღწერა, ძველი ნუმერაციის მიხედვით, №№ 1-40, 966-1110 ხელნაწერები, ნ. კასრაძემ – №№ 41-90, თ. ენუქიძემ – №№ 91-173, 314-400, ქრ. შარაშიძემ – №№ 174-313, 947, თ. ბრეგაძემ – №№ 401-964, ელ. მეტრეველმა – № 425 ხელნაწერი („მიქაელ მოდრეკილი, იადგარი, 978-988“, გვ. 544-567).

ერთვის ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა, პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და დარგობრივი საძიებლები.

1961

141. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა*, ტ. II. შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ა. ბ ა ქ რ ა ძ ი ს , თ . ბ რ ე გ ა ძ ი ს , ე ლ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს ა და მ ზ . შ ა ნ ი ძ ი ს მიერ, ე ლ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961. – 420 გვ. – (საქარ-

თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

შეიცავს S კოლექციის ახალი ნუმერაციის მიხედვით №№ 501-800 ხელნაწერების აღწერილობას. ა. ბაქრაძემ აღწერა, ძველი ნუმერაციის მიხედვით, №№ 1113-1181, 1422-1488 ხელნაწერები, მ. შანიძემ – №№ 1182-1250, 1489-1544, ელ. მეტრეველმა – №№ 1251-1331, თ. ბრეგაძემ – №№ 1338-1421, ლ. ქუთათელაძემ – № 1111, ქრ. შარაშიძემ – № 1245 ხელნაწერი.

ერთვის ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა, გეოგრაფიულ სახელთა, პირთა და დარგობრივი საძიებლები.

1962

142. *ორ ბელიანი ს. - ს. თხზულებანი ოთხ ტომად, 2, ქილილა და დამანა, საბასეული რედაქცია (ვახტანგ VI-ის თარგმანი). ალ. ბარამიძისა და ელ. მეტრეველის რედაქციით. – თბ.: საბჭოთა საქართველო, 1962. – ნაკვ. 1 (456 გვ.), ნაკვ. 2 (388 გვ.).*

შესავალი: ალ. ბარამიძე. „ქილილა და დამანა“, გვ. 7-28.

რეც.: მ. ხიდაშელი, *ქილილა და დამანა (ახალი წიგნების სამყაროში) // თბილისი. – 1962. – 16 აპრილი. – № 90/2707. – გვ. 3.*

143. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. III. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ენუქიძის, ელ. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით. – თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963. – 344 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

შეიცავს S კოლექციის ახალი ნუმერაციის მიხედვით №№ 801-1050 ხელნაწერების აღწერილობას. მ. შანიძემ აღწერა, ძველი ნუმერაციის მიხედვით, №№ 1545-1559, 2527-2578 ხელნაწერები, თ. ენუქიძემ – №№ 1560-1629, ლ. ქუთათელაძემ – №№ 1630-1665, ქრ. შარაშიძემ – №№ 1667-1746, ელ. მეტრეველმა – №№ 2266-2379, მ. ქავთარიამ – №№ 2384-2526 ხელნაწერები.

ერთვის ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა, პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და დარგობრივი საძიებლები.

144. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. IV. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, ლ. კიკნაძის, მ. ქავთარიას, ლ. ქაჯაიას, მ. შანიძის, ქრ. შარაშიძის და ც. ჭანკიევის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით. – თბ.: მეცნიერება, 1965. – 366 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

შეიცავს S კოლექციის ახალი ნუმერაციის მიხედვით №№ 1051-1300 ხელნაწერების აღწერილობას. მ. ქავთარიამ აღწერა, ძველი ნუმერაციის მიხედვით, №№ 2514-2526, 2744-2912 ხელნაწერები, მ. შანიძემ – №№ 2527-2590, ქრ. შარაშიძემ – №№ 2591-2645, თ. ბრეგაძემ – №№ 2646-2734, ლ. ქაჯაიამ – №№ 2913-3011, ც. ჭანკიევმა – №№ 3014-3065, ლ. კიკნაძემ – №№ 3066-3226 ხელნაწერები.

ერთვის ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა, პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და დარგობრივი საძიებლები.

145. გიორგი ავალიშვილი. *მეზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. – თბ.: მეცნიერება, 1967. – გვ. 05-054 (გამოკვლევა), 053-056 („ტექსტისათვის“), 1-385 (ტექსტი, კრიტიკული აპარატი, საძიებელი და ლექსიკონი). – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

რეც.: G. AVALICHVILI. – *Voyage de Tbilisi à Jérusalem* (Édition Metsniereba, Tbilisi, 1967 en géorgien) // Bedi Kartlisa.– XXV. – 1968. – გვ. 231-232.

წიგნი წარმოადგენს ცნობილი ქართველი დიპლომატისა და მწერლის, გიორგი ავალიშვილის, თურქეთში, ეგვიპტესა და პალესტინაში 1819-1820 წწ.-ში მოგზაურობის დღიურის ერთადერთ ავტოგრაფულ ნუსხაზე დამყარებულ პირველ პუბლიკაციას. ეგვიპტის ფაშა მეჰმად ალისთან (1805-1849) და სხვა სახელმწიფო და დიპლომატიურ მოღვაწეებთან შეხვედრებმა გ. ავალიშვილს საშუალება მისცა, გასცნობოდა თურქეთისა და ეგვიპტის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას, რუსეთისა და ევროპის პოლიტიკურ ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში. „მოგზაურობა“ უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა ამ ქვეყნების, ბერძენთა გამათავისუფლებელი

მომძრაობისა და, საზოგადოდ, ოსმალეთის იმპერიაში არათურქული მოსახლეობის მდგომარეობის, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთის ხალხების, მათ შორის, ქართველთა, ყოფაცხოვრების შესახებ.

146. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. V. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, ელ. მეტრეველის რედაქციით. – თბ.: მეცნიერება, 1967. – 378 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

შეიცავს S კოლექციის ახალი ნუმერაციის მიხედვით №№ 1301-1550 ხელნაწერების აღწერილობას. ლ. კიკნაძემ აღწერა, ძველი ნუმერაციის მიხედვით, №№ 3226-3244 ხელნაწერები, ც. ჭანკიევმა – №№ 3251-3430, თ. ბრეგაძემ – №№ 3441-3623, თ. ენუქიძემ – №№ 3624-3760, მ. შანიძემ – №№ 3862-4541 ხელნაწერები.

ერთვის ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა, პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და დარგობრივი საძიებლები.

1969

147. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. VI. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, ელ. მეტრეველის რედაქციით. – თბ.: მეცნიერება, 1969. – 378 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ ენაზე.

203. *ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიძე ათონელისეული თარგმანი.* გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, [ელ. მეთეველი – სერიის მთავარი რედაქტორი და ტომის რედაქტორი]. – თბ. მეცნიერება, 1983. – 280 გვ. – რეზ. რუს. ენ.: „Поучения“ Василия Кесарийского в переводе Евфимия Афонского, გვ. 275-277. – (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, V). –

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პირველად ქვეყნდება ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვზე ათონელისეული თარგმანები. შეიცავს საკითხავებს: I. თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი – მარხვისათვის, თავი I (CPG 2845); II. მარხვისათვისვე, თავი II (CPG 2846); III. სიტყვსა მისთვის მოსე წინადასწარმეტყუელისა, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „ეკრძალე თავსა შენსა“ (CPG 2847); IV. მადლობისათვის (CPG 2848); V. ივლიტა მოწამისათვის და ნაკლულეევანებისათვის პირველ თქუმულისა მის თავისა და მადლობისათვისვე (CPG 2849); VI. ვითარმედ: „არა არს ღმერთი მიზეზი ბოროტთაჲ“ (CPG 2853); VII. მრისხანეთათვის (CPG 2854); VIII. შურისათვის (CPG 2855); IX. სიტყვსა მისთვის ლუკადს სახარებისა, რომელი იტყვს მდიდრისა მისთვის, ვითარმედ: „დავარღვნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენნე“ და ანგაჰრებისათვის (CPG 2850); X. მდიდართა მიმართ (CPG 2851); XI. რომელი თქუა ჟამსა სიყმილისა და უწვამროებისასა (CPG 2852); XII. დაწყებისათვის სოლომონის იგავთაჲსა (CPG 2856); XIII. წმიდისა ნათლისღებისათვის მათდა მიმართ, რომელნი იგი გჳანად ნათელ-იღებდეს (CPG 2857); XIV. სარწმუნოებისათვის წმიდისა სამებისა (CPG 2859); XV. თქუმული დაწყებისათვის იოანეს სახარებისა, ვითარმედ: „პირველითგან იყო სიტყუაჲ“ (CPG 2860); XVI. სულისა წმიდისათვის (CPG 2926);

XVII. შესხმაჲ წმიდათა ორმოცთაჲ (CPG 2863);
XVIII. მომთვრაღეთათჳს, რომელ თქუა
შემდგომად აღვსებისა დღითა ერთითა (CPG 2858);
XIX. რომელი თქუა ლაზიკეს შინა ქალაქსა
(CPG 2912); XX. სიმდაბლისათჳს (CPG 2865); XXI.
არაშეცევისათს საქმეთა სოფლისათა და
ცეცხლისა მისთჳს, რომელი შეედვა მაშინ
კესარიელთა ქალაქსა (CPG 2866).

გამოკვლევაში განხილულია ეფთჳმე
მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი,
დახასიათებულია თარგმანის ლექსიკური, გრამა-
ტიკული და სტილისტური ასპექტები,
ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ანალიზის
საფუძველზე გარკვეულია საქართველოს ისტო-
რიის საყურადღებო საკითხები.

204. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ . ქართული ხელნაწერების
კვალდაკვალ. [რედაქტორი ე ლ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი].
– თბ.: ნაკადული, 1983. – 384 გვ.

ავტორის მიერ 1975 წ. გამოქვეყნებული წიგნის
„ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი“
გადამუშავებული და გაფართოებული გამოცემაა.
იგი მოგვითხრობს ქართული დამწერლობის გან-
ვითარების გზებზე, ძველ საწერ მასალასა და
იარაღებზე, ძველ გადამწერებსა და მათ მიერ
შექმნილ და ბრძოლით დაცულ წიგნებზე.

1985

205. ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქუ რ - ც ი კ ი ძ ე მ , [რედაქტორი ელ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი]. – თბ.: მეცნიერება, 1985. – 92 გვ. – რეზ. რუს. და გერმ. ენ.: Г.рузнская версия апокрифической книги Никодима, გვ. 88-89, *Die georgische Version des Nykodimusapokryphen*, გვ. 90-91. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

გამოცემულია ნიკოდიმოსის წიგნის სახელით ცნობილი აპოკრიფული თხზულებების ქართული თარგმანები გამოკვლევითა და ლექსიკონით, მოცემულია ძეგლის ფილოლოგიური ანალიზი, დადგენილია მისი ბერძნულიდან მომდინარეობა და დასაბუთებულია სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის უსაფუძვლობა მისი სომხურიდან წარმომავლობის შესახებ.

1986

206. „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ . გ ვ ა რ ა მ ი ა მ , [ელ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი – სერიის მთავარი რედაქტორი და ტომის რედაქტორი]. – თბ.: მეცნიერება, 1986. – 192 გვ. – რეზ. რუს. და ფრანგ.

ენ.: Древнегрузинский перевод «Жития Иоанна Златоуста» и его особенности (по рукописи 968 года), გვ. 175-181, *La traduction géorgienne ancienne de la Vie de Jean Chrysostome et ses particularités (d'après le manuscrit 968)*, გვ. 182-189. – (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, VIII). – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

გამოცემულია გიორგი ალექსანდრიელის „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ქართული ვერსია X-XI სს.-ის ხელნაწერების მიხედვით. ძირითად ნუსხად აღებულია 968 წლის ეტრატის ხელნაწერი, როგორც თხზულების სხვადასხვაენოვან ვერსიათა შორის ყველზე ადრეული ნუსხა. ქართული რედაქცია რამდენადმე განსხვავდება ჩვენამდე მოღწეული ბერძნული დედნებისაგან, რაც გასათვალისწინებელია თხზულების ტექსტის ისტორიის შესწავლისათვის. ქართული თარგმანი თავისებურია ენობრივი თვალსაზრისითაც, რაც განპირობებულია მისი პალესტინური წარმომავლობით და წარმოდგენას გვიქმნის ამ არეალში მოღვაწე ქართველ მწიგნობართა მეტყველებაზე.

ერთვის გამოკვლევა და ლექსიკონი.

207. ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთონ. გოგუაძემ, [ელ. მეტრეველი – სერიის მთავარი მთავარი რედაქტორი, ტომის რედაქტორი

მზ. შანიძე]. – თბ.: მეცნიერება, 1986. – 552 გვ. – (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, VII). – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

გამოცემა, რომლითაც დაიწყო მეტაფრასული ძეგლების ძველი ქართული თარგმანების პუბლიკაცია, მოიცავს სექტემბრის თვის საკითხავთა ერთ რიგს, კერძოდ, S-384 (XI ს.) და K₄ (XVI ს.) ხელნაწერებში წარმოდგენილ თარგმანებს, რომლებიც შესრულებულია ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდლების, დავით ტბელის, სტეფანე სანა-ნოძის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონაზვნის მიერ. ეს თარგმანები, აგრეთვე, ქართველი მთარგმნელების მიერ მოწოდებული ცნობები ბერძენი მეტაფრასების შესახებ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ასევე ბიზანტიური ლიტურგიკის ისტორიისათვის.

ერთვის კომენტარები და საძიებლები.

208. Орловская Н. Вопросы литературных связей Грузии с Западом. [Редактор Е. Метрели]. – Тб. Издательство Тбилисского Государственного Университета, 1986. – 368 გვ.

განხილულია დასავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობების საკითხები XVI-XIX სს.-ში, კერძოდ, ზოგიერთ უცხოურ წყაროში

საქართველოს შესახებ დაცული ცნობები, აგრეთვე, საქართველოში ზოგიერთი ევროპელი ავტორის შემოქმედების აღქმის საკითხები. ერთვის სახელთა საძიებელი.

1987

209. გულბენკიანი რ. *ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ*. ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილქიშვილმა, [რედაქტორი ელ. მეტრეველი]. – თბ.: მეცნიერება, 1987. – 84 გვ. – რეზ. რუს. ენ., [Подлинные сведения о славном мученичестве Царицы Грузии Кетеван] გვ. 81. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

წიგნი თარგმანია პორტუგალიაში მცხოვრები სომეხი ისტორიკოსის, რობერტო გულბენკიანის შემაჯამებელი ნაშრომისა „Relation véritable du glorieux martyre de la Reine Kétévan de Géorgie“ («Bedi Kartlisa», XL, 1982, გვ. 31-97). მეცნიერმა არაერთი ახალი საინტერესო დოკუმენტი და მასალა გამოაქვეყნა ქეთევან დედოფლის სპარსეთში ტყვეობისა და 1624 წელს შირაზში მისი მოწამებრივი სიკვდილის შესახებ.

ერთვის წინასიტყვაობა (გვ. 3-4) და გამოკვლევა ქეთევან დედოფლის სიკვდილის შესახებ (გვ. 5-25).

210. *იოანე მინჩხის პოეზია*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხ ა ჩ ი ძ ე მ , [წამძღვარებული აქვს „რედაქტორისაგან“ (გვ. 5-6), ე ლ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი – სერიის მთავარი რედაქტორი და ტომის რედაქტორი]. – თბ.: მეცნიერება, 1987. – 368 გვ. + 7 ტაბ. – (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, X). – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

ნაშრომი არის X ს.-ის ქართველი პოეტის, იოანე მინჩხის, მემკვიდრეობის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა, რომელსაც ერთვის გამოკვლევა მისი შემოქმედების შესახებ.

1988

211. *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*. ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ . ბ რ ე გ ა ძ ე მ , [რედაქტორი ე ლ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი]. – თბ.: მეცნიერება, 1988. – 326 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

„აღწერილობას“ უძღვის შესავალი, სადაც განხილულია გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანებთან დაკავშირებული საკითხები.

212. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 1, შესაქმისაბ, გამოსლვათაბ. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილი მა და ც. კიკვიძემ, გამოკვლევა ბ. გიგინეიშვილისა, [ელ. მეტრეველი – სერიის მთავარი რედაქტორი, ნაკვეთის რედაქტორები ბ. გიგინეიშვილი, ც. ქურციკიძე]. – თბ.: მეცნიერება, 1989. – 640 გვ. – რეზ. რუს. ენ.: Грузинские переводы Моисеева Пятикнжия, გვ. 59-60. – (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI₁). – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

არის ძველი აღთქმის წიგნების ქართული თარგმანთა კრიტიკულად დადგენილი ტექსტის პირველი ნაკვეთი, რომლისათვის თანდართულ გამოკვლევაში (გვ. 5-58) გაანალიზებულია ბიბლიური წიგნების უძველესი ქართული ვერსიების ისტორია, მოცემულია მათი კლასიფიკაცია, განხილულია ფილოლოგიურ-ლინგვისტური საკითხები.

ერთვის „ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ (გვ. 557-639), რომელიც შეადგინეს ბ. გიგინეიშვილმა, ნ. გოგუაძემ, გ. კიკნაძემ, ც. ქურციკიძემ და უ. ცინდელიანმა.

213. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 2, ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორისა სჯულისაჲ. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ბ. გიგინეიშვილმა, ნ. გოგუაძემ და ც. ქურციკიძემ, [ელ. მეტრეველი – სერიის მთავარი რედაქტორი, ნაკვეთის რედაქტორები ბ. გიგინეიშვილი, ც. ქურციკიძე]. – თბ.: მეცნიერება, 1990. – 514 გვ. – (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI₂). – (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

ერთვის „წინასიტყვაობა“ (გვ. 5-6).

214. იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა (კალმასობა) ოთხ წიგნად, I-II. [ელ. მეტრეველი – სარედაქციო კოლეგიის წევრი]. – თბ.: მერანი, 1990-1991. – წგნ. I (640 გვ.), წგნ. II (574 გვ.). – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პირველად ქვეყნდება სრული სახით თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწისა და მწერალ-მწიგნობრის, იოანე ბატონიშვილის (1768-1830) „ხუმარსწავლა“ („კალმასობა“). ტექსტი

ძირითადად დადგენილია ავტოგრაფების მიხედვით.

წიგნი I. I წიგნის რედაქტორი ალ. ბარამიძე, თბ., 1990. — წიგნი II. II წიგნის რედაქტორი ს. ცაიშვილი, თბ., 1991.

1991

215. *კლარჯული მრავალთავი*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალოზლიშვილმა, [ელ. მეტრეველი – სერიის მთავარი რედაქტორი და ტომის რედაქტორი]. – თბ.: მეცნიერება, 1991. – 496 გვ. – რეზ. ინგლ. ენ.: *The Klardjeti Polycephalon*, გვ. 466-490. – (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XII₁). – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

ერთვის ბიბლიოგრაფია, გამოყენებულ ხელნაწერთა სია, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

216. *ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1886-1931 წწ.)*. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავცილაძემ და მ. მამაცაშვილმა, [რედაქტორი ელ. მეტრეველი]. – თბ.: მეცნიერება, 1991. – 438 გვ. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

ნაშრომში შესულია ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1888-1931 წწ.-ში ერთმანეთისათვის მიწერილი 224 ბარათი, რომლებიც შეიცავს მდიდარ მასალას ამ მოღვაწეთა სამეცნიერო ინტერესებისა და შეხედულებათა შესასწავლად, აგრეთვე, ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერებისა და კავკასიოლოგიის განვითარების გასათვალისწინებლად.

ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები, თხზულებანი და სამეცნიერო ლიტერატურა, შემოკლებათა სია.

217. *წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი*, ნაკვეთი 3, *ისო ნავესი, მსაჯულთაჲ, რუთისაჲ*. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ც. ქურციკიძემ და უ. ცინდელიანმა, [ელ. მეტრეველი – სერიის მთავარი რედაქტორი, ტომის რედაქტორი ნ. გოგუაძე]. – თბ.: მეცნიერება, 1991. – 216 გვ. – რეზ. რუს. ენ.: Древнегрузинские переводы «Иисуса Навина», «Судей» и «Руфи» გვ. 25-26. – (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI3). – (საქართველოს

მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

ერთვის გამოკვლევა (გვ. 5-25).

218. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს . - ს . *ლექსიკონი ქართული*, I-III. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებლები დაურთო ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ , [რედაქტორები ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე]. – თბ.: მერანი, 1991-1993. – ტ. I (638 გვ.), ტ. II (656 გვ.), ტ. III (212 გვ.). – (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია).

გამოცემა ფოტოტიპურად იმეორებს 1985-1986 წწ.-ში სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულში ილია აბულაძის მიერ გამოცემულ ტექსტს. ახალ გამოცემაში პირველად ქვეყნდება ილ. აბულაძის გამოკვლევა და მის მიერ შედგენილი ისეთი სიტყვების საძიებელი, რომლებიც განმარტებებშია ნახმარი, მაგრამ „ლექსიკონში“ სალექსიკონო ერთეულებად გამოყოფილი არ არის.

I. წინასიტყვაობა (ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე); წინასიტყვაობა (ილ. აბულაძე, 1965 წ.); სასწავლო ყრმათა; სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი: ა-ჟ, თბ., 1991. — II. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი: რ-ჰ; უცხო შესატყვისობანი (იტალიურ-თურქულ-სომხური); თარგმანი ქვეყანათა და კაცთა სახელებისა; ქვეყნის ზომათა რიცხვი;

ბოლოსიტყვა და დანართი, თბ., 1993. — III. ილ .
ა ბ უ ლ ა ძ ე . სულხან-საბა ორბელიანის
„ლექსიკონი ქართული“, სიტყვათა საძიებელი,
რედაქტორებისაგან, თბ., 1998.

1993

219. კ ი კ ნ ა ძ ე ლ . გიორგი ავალიშვილის ცხოვრება
და მოღვაწეობა. რედაქტორი
ელ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი . — თბ.: მეცნიერება, 1993. —
218 გვ. — (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

ნაშრომი გიორგი ავალიშვილის ცხოვრებისა და
შემოქმედების მონოგრაფიულად შესწავლის
პირველი ცდაა.

1995

220. ფილოლოგიური ძიებანი, II. [რედაქტორის
„წინათქმა“ ქართულ (გვ. 1) და ფრანგულ (გვ. 2)
ენებზე, რედაქტორი ელ . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი]. — თბ.,
1995. — 366 გვ. — (კ. კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ინსტიტუტი).

კრებულში ძირითადად ასახულია გრიგოლ
ნაზიანზელის „სიტყუათა“ ძველ ქართულ
თარგმანებზე საქართველოს მეცნიერებათა აკადე-
მიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა
ინსტიტუტში წლების განმავლობაში წარმოებული
სამეცნიერო მუშაობის პირველი შედეგები.

მუშაობა მიმდინარეობდა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრიტიკული გამოცემის საერთაშორისო პროექტით.

1999

221. მ ა ი ს უ რ ა ძ ე მ . , მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი მ . , ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე ა . , ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი მ . , ა თ ო ნ ის მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი . [ნაშრომი შესრულდა გ. ნინუას ხელმძღვანელობით, რედაქტორი ელ. მეტრეველი]. – თბ., 1999. – 288 გვ. – (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

პარალელური თავფურცელი – რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ნაშრომი ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლის – ათონის მრავალთავის (X ს.) ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური შესწავლის პირველი ცდაა. გარდა ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლებისა, კრებულში შეტანილია ორიგინალური ქართული ჰომილეტიკაც – წმინდა იოვანე ბოლნელის ქადაგებანი. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მისი მოღვაწეობის დათარიღებას VII ს.-ით. გარეკანზე: „ათონის მრავალთავი, იოვანე ბოლნელის ქადაგებანი“.

2000

222. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ . ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ. მესამე შევსებული გამოცემა, [რედაქტორი ელ. მეტრეველი], – თბ.: პროგრამა „ლოგოსი“, 2000. – 386 გვ.

წიგნი პირველად 1975 წელს გამოიცა, მეორედ – 1983 წელს, ამჯერად გამოდის გავრცობილი და შესწორებული სახით.

VI. ელენე მეტრეველის გამოუქვეყნებელი შრომები

1946

223. —. *რამდენიმე საკითხი ნიზამისა და რუსთველის ლიტერატურული ურთიერთობიდან.* – თბ., 1946. – ხელნაწერი. – მანქ. გადაბეჭდ. 234 გვ. – (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა).

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაცული დისერტაცია.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ. მეტრეველის პირად არქივში, №501.

1946-1948

224. —. *მიქაელ მოდრეკილის იადგარი.* – 1946-1948. – ავტოგრაფი. – 74 გვ.

ვრცელი აღწერილობა მიქაელ მოდრეკილის 978-988 წწ.-ის საგალობელთა კრებულისა (S-425). ავტორის განცხადებით, „ამ მოხსენების მიზანი პატარაა – შეჯამდეს ის დაკვირვებები, რომელიც აღწერილობაზე მუშაობის დროს მივიღეთ და ამის საფუძველზე წარმოვადგინოთ კრებულის საერთო სურათი“. ახლავს ცალკე ფურცელზე ავტორის

ხელით დაწერილი შენიშვნა: „ჩემი პირველი წერილი მიქაელ მოდრეკილზე. 1946-48“.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ. მეტრეველის პირად არქივში, №417.

1957

225. —. „Путешествие“ Тимоте Габашвили, Автореферат работы, представленной на соискание ученой степени доктора филологических наук, на правах рукописи. - Тб., 1957. - 32 გვ. - (Тбилисский Государственный Университет имени Сталина).

1960

226. —. *ძარუბენყე კოლლეკციი გრუზინსკიხ რუკოპისეჯ.* - 1960. - მანქ. გადაბეჭდ. 22 გვ.

ინფ.: В . Б . Павлов - Сильванский . Научная сесия по вопросам археографии, палеографии и источниковедению в Ереване // Археографический ежегодник, за 1960 году. - 1962. - გვ. 374.

მოხსენდა არქეოგრაფიის, პალეოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხებისადმი მიძღვნილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიისა და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთობლივ სამეცნიერო სესიას, რომელიც 1960

წლის 1-3 ივნისს გაიმართა ერევანში (სომხეთი). სესიის მასალები არ გამოქვეყნებულა. ნაშრომში განხილულია სინის მთის, გრაცის, ათონის ქართველთა მონასტრისა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავებში დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციების შექმნის საკითხები და შეფასებულია მათი ისტორიული-ლიტერატურული მნიშვნელობა, აღნიშნულია, რომ უცხოელ მეცნიერებს ძირითადად უკვე დაკარგული ან გვიანდელ ნუსხებში შემონახული ბერძნული ტექსტების ქართული თარგმანების კვლევისას შეუმჩნეველი რჩებათ როგორც ამ თარგმანთა მაღალი მხატვრული და ფილოლოგიური ღირსებები, ისე – თვით ქართული ორგინალური ლიტერატურის ძეგლები.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ. მეტრეველის პირად არქივში, №505. აქვე ინახება ავტოგრაფი, 22 გვ., №506.

დაახლ. 1960-1961

227. —. *იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის პირველადი აღწერილობა.* – 1960-1961. – ავტოგრაფი. – 347 გვ.

აღწერილობის თავდაპირველი ათი დავთრიდან შემონახულია მხოლოდ პირველი, მეორე, მესამე, მეხუთე და მეშვიდე, რომლებიც შეიცავს Jer. geo. 4, 7, 9-10, 12, 14-20, 22-25, 33-36, 42-46, 48-51 ხელნაწერების აღწერილობას.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ.
მეტრეველის პირად არქივში, №368.

1961

228. —. *მოსკოვის ქართული კოლონიის 1737 წლის რეესტრი (ტექსტი და გამოკვლევა)*. – 1961. – 4 თაბახი.

ინფორმაცია ნაშრომის შესახებ მოპოვებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივში დაცული ელ. მეტრეველის პირადი საქმიდან.

1963

229. —. Отзыв о диссертации Р.Р. Орбели, на соискание ученой степени кандидата филологических наук.— 10.VI.1963. – მანქ. გადაბეჭდ. 13 გვ.

ოფიციალური ოპონენტის რეცენზია რ. რ. ორბელის საკანდიდატო დისერტაციაზე „Грузинские рукописи Института народов Азии АН СССР“. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს სადისერტაციო ნაშრომს, გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებსაც, თუმცა, მას თანამედროვე მოთხოვნების დონეზე შესრულებულ გამოკვლევად მიიჩნევს. დიდი ხანია, სპეციალისტები ხელნაწერის სახით იყენებენ ორბელის აღწერილობას, რომელიც დიდ დახმარებას უწევს როგორც ქართველოლოგებს, ისე – ორიენტალისტთა ფართო წრეებს.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ.
მეტრეველის პირად არქივში, №485.

1964

230. —. *სიტყვა წარმოთქმული ორიენტალისტთა კონგრესზე მოსკოვში* ([დ.] ლანგის გამოსვლასთან დაკავშირებით). – 1964. – ავტოგრაფი. – რვეულის 7 გვ.

აღნიშნულია, რომ დ. ლანგის მოხსენება ეძღვნება ძველი ქართული მწერლობის კარდინალურ საკითხებს: ევაგრე პონტოელს, „ბალავარიანს“, იოანე მოსხოსს, ამირანის ეპოსსა და „ამირანდარეჯანიანს“. ავტორის აზრით, ინგლისელი მეცნიერის მიერ გამოთქმული შეხედულებები არასრულია ქართული სპეციალური ლიტერატურის არასაკმარისი ცოდნის გამო, ანდა – ცალმხრივი, და კრიტიკას იმსახურებს. გამოსვლის ტექსტი რუსულ ენაზეა, სათაური ავტორის ხელით მიწერილია ქართულად.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ.
მეტრეველის პირად არქივში, №493.

231. —. [О принципах описания рукописей]. – 1964. – ავტოგრაფი. – 23 გვ.

მოხსენდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის

სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც 1964 წელს გაიმართა ტაშკენტში (უზბეკეთი).

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ე. მეტრეველის პირად არქივში, №507.

1965

232. —. Древне-грузинский Ирмологий. — 1965. — მანქ. გადაბეჭდ. 13 გვ.

მოხსენდა 1965 წელს ბიზანტინისტთა VII საკავშირო კონფერენციას.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ. მეტრეველის პირად არქივში, №420.

1972

233. —. ელ. მეტრეველის საფრანგეთში სამეცნიერო მივლინების ანგარიში. — [1972]. — მანქ. გადაბეჭდ. 4 გვ.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ. მეტრეველის პირად არქივში, №512.

234. —. [პარიზში სამეცნიერო მივლინების ანგარიში (1972 წლის 20 მარტიდან 10 აპრილამდე). — 1972]. — მანქ. გადაბეჭდ. 41 გვ.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ. მეტრეველის პირად არქივში, №513.

1981

235. —. *ეკონომიკური სწავლების სემინარის შემაჯამებელ სხდომაზე წაკითხული მოხსენების ნაწილი.* – 12.VI.1981. – ავტოგრაფი. – 12 გვ.

შემონახულია 6-12 გვ.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ე. მეტრეველის პირად არქივში, №524.

უთარილო

236. —. *გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყვათა“ ეფთვიმესეული თარგმანები.* – მანქ. გადაბეჭდ. 25 გვ.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ. მეტრეველის პირად არქივში, 1478.

237. —. [*გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყვათა“ ქართული რედაქციების შესახებ*]. – ავტოგრაფი. – რვეულის 29 გვ.

შემონახულია 14-29 გვ.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ე. მეტრეველის პირად არქივში, №479.

238. —. [*დასავლელი ქართველოლოგები*]. – მანქ. გადაბეჭდ. 17 გვ.

შემონახულია 2-7, 14-17 გვ.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ. მეტრეველის პირად არქივში, №561.

239. —. [*მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა*]. – უთარილო. – ფურცლის ნახევარზე გადაბეჭდ. 47 გვ. + ხელით ნაწერი დიდი ფორმატის 54 და რვეულის 153 გვ.

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ. მეტრეველის პირად არქივში, №369.

240. —. [*ჯვრის მონასტრის მოხატულობის კონცეფცია*]. – ავტოგრაფი. – სხვადასხვა ფორმატის 27 გვ. შავი მასალა.

კრიტიკულად არის განხილული იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის მოხატულობის შესახებ თ. ვირსალაძის კონცეფცია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისა და მონასტრის კედელზე გამოსახული შოთა რუსთველის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, რომელიც მკვლევარმა ჩამოაყალიბა წიგნში „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობა და შოთა რუსთველის პორტრეტი“ (თბ.: მეცნიერება, 1973).

დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ელ. მეტრეველის პირად არქივში, №487.

VII. ელენე მეტრეველის ხელმძღვანელობით დაცული
საკანდიდატო დისერტაციები

1966

241. М а м а ц а ш в и л и М . Г . Персидские источники произведения Теймураза I-го – «Леил-Маджнуниани». Автореферат диссертационной работы на соискание ученой степени кандидата филологических наук, на правах рукописи. – Тб., 1966. – 20 გვ. – (Тбилисский Государственный Университет).

1967

242. Д ж а г а м а ი ა Ц . К . Из истории грузинской гимнографии XI века (Минейя Георгия Афонского). Автореферат диссертационной работы на соискание ученой степени кандидата филологических наук, на правах рукописи.-Тб., 1967. – 16 გვ. – (Тбилисский Государственный Университет).

243. Ч а н к и ე ვ ა Ц . А . Правила сокращения в памятниках древнегрузинской письменности (по рукописным книгам и эпиграфическим памятникам V-X вв. и историческим документам XI-XII вв.). Автореферат диссертационной работы на соискание

ученой степени кандидата филологических наук, на правах рукописи. - Тб., 1967. – 16 зз. – (Институт Языкознания Академии Наук Грузинской ССР).

1969

244. К а д ж а и а Л. Р. Пунктуация в грузинских рукописях V-XII вв. Автореферат диссертационной работы на соискание ученой степени кандидата филологических наук, на правах рукописи. – Тб., 1969. – 22 зз. – (Институт Языкознания Академии Наук Грузинской ССР).

1972

245. М г а л о б л и ш в и л и Т. Г. Кирилл иерусалимский в древнегрузинских переводах (по рукописям IX-XI вв.). Автореферат диссертационной работы на соискание ученой степени кандидата филологических наук, на правах рукописи. – Тб., 1972. – 20 зз. – (Институт Истории грузинской литературы им. Шота Руставели Академии Наук Грузинской ССР).

1984

246. Х а ч и д з е Л. А. Иоанн Минчх – грузинский поэт X века. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, на

правах рукописи. – Тб., 1984. – 30 88. – (Академия Наук Грузинской ССР. Институт Истории Грузинской литературы имени Шота Руставели).

1985

247. Х е в с у р и а н и Л . М . Структура древнейшего тропология. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, на правах рукописи. – Тб., 1985. – 30 88. – (Академия Наук Грузинской ССР. Институт Истории Грузинской литературы имени Шота Руставели).

1986

248. О т х м е з у р и Т . З . Грузинская версия мифологических комментариев Псевдо-Нонна. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, на правах рукописи. – Тб., 1986. – 22 88. – (Академия Наук Грузинской ССР. Институт Истории Грузинской литературы имени Шота Руставели).

1988

249. К и к н а д з е Л . А . Жизнь и творчество Георгия Авалишвили. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, на правах рукописи. – Тб., 1988. – 26 88. – (Академия

Наук Грузинской ССР. Институт Истории
Грузинской литературы имени Шота Руставели).

1991

250. Чумбуридзе Т. З. Жизнь и деятельность
Михаила Тархнишвили. Автореферат диссертации на
соискание ученой степени кандидата
филологических наук, на правах рукописи. – Тб.,
1991. – 23 გვ. – (Академия Наук Грузинской ССР.
Институт Истории Грузинской литературы имени
Шота Руставели).

1999

251. ხუციშვილი ნ. მ. იერუსალიმის ჯვრის
მონასტრის მიწისმფლობელობა საქართველოში.
ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად,
ხელნაწერის უფლებით. – თბ., 1999. – 30 გვ. – (თბი-
ლისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი).

2001

252. ცერამე თ. XI საუკუნის იერუსალიმური
ავიოგრაფიულ-ჰომილეტიკური ხელნაწერი
კრებული (Jer. Georg. 5-3-2) – კოდიკოლოგიურ-
ტიპოლოგიური ძიება. ფილოლოგიის

მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, ხელნაწერის უფლებით. – თბ., 2001. – 35 გვ. – (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

2006

253. მ ა რ გ ი ა ნ ი თ . გრიგოლ ნაზიანზელის „ცხოვრებისა“ და „შესხმის“ ძველი ქართული თარგმანები (გრიგოლ ხუცესისა და სოფრონ იერუსალიმელის თხზულებების მიხედვით). ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, ხელნაწერის უფლებით. – თბ., 2006. – 30 გვ. – (კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

VIII. ლიტერატურა ელენე მეტრეველის შესახებ

1970

254. Состав Археографической комиссии при Отделении истории АН СССР // Археографический ежегодник, за 1968 год. – 1970. – გვ. 434.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1968 წლის 25 დეკემბრისა და 1969 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებებით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ელ. მეტრეველი დამტკიცებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის წევრად.

1974

255. Состав Археографической комиссии АН СССР // Археографический ежегодник, за 1973 год. - 1974. – გვ. 312.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების ბიუროს 1973 წლის 29 ნოემბრისა და ამავე აკადემიის პრეზიდიუმის 1974 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელ. მეტრეველი დამტკი-

ცებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიის წევრად.

1976

256. *სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში* // თბილისი. – 1976. – 11 მაისი. – № 109/7016. – გვ. 2.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მეცხრე ხუთწლედის დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის ქ. თბილისიდან სხვა მუშაკებთან ერთად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, ელენე პავლეს ასული მეტრეველის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

1977

257. *საკათიო წოდების მინიჭება* // თბილისი. – 1977. – 5 იანვარი. – № 3/7216. – გვ. 3.

ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 3 იანვრის ბრძანებულებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, ამავე აკადემიის წევრ-

კორესპონდენტის ელენე პავლეს ასულ მეტრეველისათვის გამოჩენილ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ.

258. ბ ა რ ა მ ი ძ ე ა ლ . *ძველი ფოლიანტების მესაიდუმლე (სახელოვანი მკვლევარი ქალი ელენე მეტრეველი)* // კომუნისტი. – 1977. – 23 დეკემბერი. – № 298/17038. – გვ. 4.

მიმოხილულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ელენე მეტრეველის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მისი წვლილი ძველი ქართული მწერლობის შესწავლაში, ნაჩვენებია მისი, როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზატორის, საქმიანობა კომპლექსური სამეცნიერო დაწესებულების – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე.

259. შ ა რ ა ძ ე გ . *ამგდარი (ეროვნული საუნჯის მოამაგის, ელენე მეტრეველის დაბადების 60 წლისთავის გამო)* // ახალგაზრდა კომუნისტი. – 1977. – 15 დეკემბერი. – № 147/9726. – გვ. 4.

გამუქებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ელენე პავლეს ასულ მეტრეველის ცხოვრების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზა, ნაჩვენებია მისი წვლილი ძველი ქართული ლი-

ტურგიკული ძეგლების შესწავლაში, ქართული არქეოგრაფიისა და პალეოგრაფიის განვითარებაში, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების, კლასიკური ხანის ქართული საერო მწერლობის მხატვრული ფორმებისა და სტილის, ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის, შავი მთის, სინისა და იერუსალიმის კულტურის კერების შესწავლაში, რუსთველოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაში, მოსე ხონელის, იოანე შავთელის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ის, დავით გურამიშვილის, ტიმოთე გაბაშვილის, გიორგი ავალიშვილის მემკვიდრეობის გაანალიზებაში, ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებასა და აღზრდაში.

- 260.** Дзидзигури Ш., Джанашия Л. Исследователь (К 60-летию члена корреспондента Академии Наук Грузинской ССР Ел. Метревели) // Заря Востока.– 1977. – 20 დეკემბერი. – № 295/15967. – გვ. 4.

გამუქებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, ელ. მეტრეველის ცხოვრების გზა, მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, სამეცნიერო ინტერესები, კვლევის პრობლემატიკა და მიმართულებანი, მზრუნველობა ხელნაწერთა შესწავლის, დაცვისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის.

261. ბარამიძე ალ. *ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, VII. – თბ.: მეცნიერება, 1978. – გვ. 244-251.

ფილოლოგიის დარგში გამოცხადებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ელ. მეტრეველის კანდიდატურის წამოყენებასთან დაკავშირებით, თავში „ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ელ. მეტრეველის სამეცნიერო მოღვაწეობის დახასიათება“ გაშუქებულია მეცნიერის წვლილი ნიჰამისა და რუსთველის ლიტერატურული ურთიერთობის (საკანდიდატო დისერტაცია), ქართული ხელნაწერების შესწავლასა და აღწერაში, ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის გამოსაცემად მომზადებაში, უცხოეთში ქართული სამწერლობო კერების ისტორიის პრობლემატიკის, რუსთველოლოგიური საკითხების, სულხან-საბა ორბელიანის მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობის, ქართული სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურის კვლევაში, ქართული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ძეგლების შესწავლასა და გამოცემაში.

1979

262. მეტრეველი ელენე პავლეს ასული // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია: პერსონალური შემადგენლობა, 1941-1978. [შეადგინა ე. სარაჯიშვილმა, პასუხისმგებელი რედაქტორი ნ. ლანდია]. – თბ.: მეცნიერება, 1979. – გვ. 96. – (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია).

„დაიბადა 1979 წ. 30 ნოემბერს (13 დეკემბერს). ფილოლოგი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩეულია ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში (ფილოლოგია) 1974 წლის 29 მარტს“ (გვ. 96).

ერთვის ელ. მეტრეველის პორტრეტი.

1980

263. [ლორთქიფანიძე გ.] *ჩემო ძვირფასო ელო!* პუბლიკაცია // Грузинская ССР в годы Великой Отечественной войны Советского Союза. – Тб.: Мецниереба, 1980. – გვ. 164-170.

პარალელური თავფურცელი – ქართულ ენაზე.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ყოფილი პრორექტორის, გიორგი ლორთქიფანიძის წერილი ფრონტიდან ე. მეტრეველისადმი, სადაც მოთხრობილია ხანკოს ნახევარკუნძულის (ბალტიისპირეთი) დამცველთა საბრძოლო ცხოვრებაზე.

1981

264. Состав Археографической комиссии АН СССР // Археографический ежегодник, за 1980 год. – 1981. – გვ. 341.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1980 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ელ. მეტრეველი დამტკიცებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიის წევრად.

1983

265. *მეტრეველი ელენე პავლეს ასული* // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 6. – თბ.: მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1983. – გვ. 615.

ერთვის ელ. მეტრეველის პორტრეტი.

266. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახალი შევსება // კომუნისტი. – 1983. – 15 მაისი. – № 12/18654. – გვ. 2.

ცნობა 1983 წლის 13 მაისს გამართულ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე, სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად, ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ელ. მეტრეველის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (ენისა და ლიტერატურის განყოფილება) არჩევის შესახებ.

267. А б а ш и д з е М. Д., Д з и д з и გ უ რ ი შ. В. Комисия по источникам истории Грузии // Археографический ежегодник, за 1986 год. – 1986. – გვ. 317-319.

მიმოხილულია ქართული წერილობითი ისტორიული წყაროების გამოვლენის, შესწავლისა და გამოცემის ისტორია და ტრადიციები. აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, 1958 წელს შეიქმნა „საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების“ კომისია, 1974 წელს კი – „საქართველოს ისტორიის წყაროების“ კომისია. გაშუქებულია მისი საქმიანობა 1974-1985 წწ.-ში. ამ პერიოდში კომისია ექვსი სხვადასხვა სერიით აქვეყნებდა წყაროებს, აწყობდა ყოველწლიურ სამეცნიერო ექსპედიციებს ეპიგრაფიკული წარწერების გამოვლინების, ფიქსაციისა და შესწავლის მიზნით, ასევე, სამეცნიერო სესიებს წყაროთმცოდნეობის აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად. ხაზგასმულია ამ მიმართებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა და გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებში ფართოდ გაშლილი მუშაობა.

268. ბარამიძე ალ. *ახლო წარსულიდან (მოგონებანი)*. მეორე შევსებული გამოცემა, – თბ.: მეცნიერება, 1987. – გვ. 371-374.

აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე, რომელიც ელენე მეტრეველის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას მისი ლექტორი იყო, ხოლო შემდეგ ასპირანტურაში – მისი ხელმძღვანელი, თავში „ელენე მეტრეველი“ იხსენებს თავისი აღზრდილის პირველ აკადემიურ ნაბიჯებს და მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებს შორის გამოყოფს რუსთველოლოგიას, საზღვარგარეთის და, განსაკუთრებით, იერუსალიმის ქართული კულტურის კერების ისტორიას. აღნიშნავს, რომ თავდაპირველად კორნელი კეკელიძეს მაინც-დამაინც მაღალი შეხედულება არ ჰქონია ელენე მეტრეველზე, მაგრამ დიდი მეცნიერის ჯერ გულგრილობა, შემდეგ კი ინტერესი „[...] თანდათანობით ნამდვილ აღტაცებასა და გულწრფელ სიყვარულში გადაიზარდა“ (გვ. 374).

269. *ქართველი მეცნიერი ქალები (მიეცა მათ ნიჭს გზა ფართო)* // საქართველოს ქალი. – 1987. – № 11. – გვ. 13.

ოქტომბრის რევოლუციის სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით აღნიშნულია პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და

ცივილიზაციის შემსწავლელ ცენტრთან თანამშრომლობაში, ათონის მონასტრის ბერძნული აქტების შესწავლასა და გამოცემაში, აგრეთვე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების მომზადებაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, ელენე მეტრეველის როლის შესახებ.

ერთვის ე. მეტრეველის პორტრეტი.

1988

270. მ ა რ დ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი ვ . *განძეულის პატრონი* (ახალგაზრდობას – სამაგალითოდ) // კომუნისტი. – 1988. – 27 იანვარი. – № 23/20064. – გვ. 1.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებთან, აგრეთვე, აკადემიკოსებთან ალექსანდრე ბარამიძესთან, შოთა მიძიგურთან, გიორგი ჯიბლაძესთან და თვით ელ. მეტრეველთან საუბრებით წარმოჩენილია მისი ღვაწლი ქართული მეცნიერებისა წინაშე.

ერთვის ელ. მეტრეველის პორტრეტი.

271. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე ც . , გ ვ ა რ ა მ ი ა რ . *ეროვნული საქმის დიდი მოამაგე* // ლიტერატურული საქართველო. – 1988. – 29 იანვარი. – № 5/2629. – გვ. 12.

გაშუქებულია ლიტერატურათმცოდნისა და ფილოლოგის, მეცნიერების ორგანიზატორის ელ. მეტრეველის ღვაწლი არქეოგრაფიული, კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული საკითხების კვლევაში, ქართული ხელნაწერების ანალიზსა და დაცვაში, საზღვარგარეთული ქართული კოლონიების ისტორიისა და ქართული ჰიმნოგრაფიის, კლასიკური ხანის საერო ძეგლების შესწავლაში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მრავალმხრივი საქმიანობის წარმართვასა და საერთაშორისო სარბიელზე მის გაყვანაში.

1989

272. გ ვ ა რ ა მ ი ა რ . , ქ უ რ ც ი კ ი ძ ე ც . *ელენე მეტრეველი (ელ. მეტრეველის დაბადების 70 წლისთავის გამო)* // მრავალთავი. – XV. – 1989. – გვ. 172-179.

გაშუქებულია ელენე მეტრეველის ცხოვრების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, ხაზგასმულია მისი, როგორც მკვლევრის, ფართო თვალსაწიერი, პრობლემათა ღრმა და მასშტაბური ხედვა, შესამუშური ორგანიზატორული და პიროვნული თვისებები, ღვაწლი ნიჟამისა და რუსთველის ლიტერატურული ურთიერთობების, კლასიკური

ხანის საერო ძეგლების, სულხან-საბა ორბელიანის მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობის თავისებურებების, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსღვის“, არქეოგრაფიული, კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული საკითხების კვლევაში, ქართული ხელნაწერების შესწავლის, აღწერილობისა და მოვლა-დაცვის, საზღვარგარეთული ქართული კულტურული კოლონიებისა და სამწერლობო ცენტრების ისტორიის, ქართული ჰიმნოგრაფიისა და რუსთველოლოგიური საკითხების კვლევაში, ცნობილ მკვლევართა სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლასა და პუბლიკაციაში, ხელნაწერთა ინსტიტუტში ახალი განყოფილებებისა და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების ჩამოყალიბებაში, ახალგაზრდა კადრების აღზრდაში, ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების არქივების შექმნაში, ინსტიტუტში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციების საგანგებო სერიების (მათ შორის, „ძველი ქართული მწერლობის ძეგლების“) შექმნაში.

273. Состав Археографической комиссии // Археографический ежегодник, за 1988 год.– 1989. – გვ. 320.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების ბიუროს 1988 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებითა და 1989 წლის 15 ივნისს მასში ამავე ბიუროს მიერ შეტანილი

ცვლილებებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ელ. მეტრეველი დამტკიცებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიის წევრად.

1995

274. Гварамия Р., Курцикидзе Ц. К юбилею Елены Павловны Метревели // Археографический ежегодник, за 1993 год. – 1995. – გვ. 236-239.

დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით გაშუქებულია ე. მეტრეველის, როგორც არქეოგრაფის, ლიტერატურათმცოდნისა და ფართო დიაპაზონის მეცნიერის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, მისი როლი ძველი ქართული მწერლობის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლების, საზღვარგარეთული ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ცენტრების ისტორიის შესწავლაში, ხაზგასმულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მისი, როგორც მეცნიერების ორგანიზატორის, წვლილი ქართული და, საზოგადოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის შესწავლაში, აგრეთვე, ახალგაზრდა კადრების მომზადებაში.

275. გვარამია რ., ქურციკიძე ც. *ჭეშმარიტი მეცნიერი (აკადემიკოს ელენე მეტრეველის დაბადების 80 წლისთავი) // კომუნისტი.* – 1997. – 16 დეკემბერი. – № 314/2687. – გვ. 8.

განხილულია ე. მეტრეველის, როგორც არქეოგრაფის, ლიტერატურათმცოდნისა და ფართო დიაპაზონის ფილოლოგის ცხოვრება, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ნაჩვენებია მისი როლი კლასიკური პერიოდის საერო მწერლობის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლების („ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „აბდულმესიანი“), „მცხეთური ბიბლიის“ იგავთა წიგნის, აგრეთვე, აღორძინების ხანის (XVII-XVIII სს.) ლიტერატურის, „ქილილა და დამანას“ აკადემიური ტექსტის, საზღვარგარეთული ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ცენტრების, ქართული სასულიერო მწერლობის, ილია აბულაძის, ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლასა და გამოცემაში, წარმოჩენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე გამოჩენილი ორგანიზატორული, საქმიანი და პიროვნული თვისებები, განუზომელია მისი წვლილი ინსტიტუტის როგორც კომპლექსური ქართველოლოგიური ცენტრის პრობლემატიკის, კვლევის

მიმართულებების გაფართოებაში, საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარებასა და გაფართოებაში, ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდაში.

ერთვის ელ. მეტრეველის პორტრეტი.

- 276.** *თამარაშვილის ნაკვალევზე, ინტერვიუ საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორთან გაგა შურღაიასთან // საქართველოს რესპუბლიკა. – 1997. – 25 დეკემბერი. – № 322/2695. – გვ. 5.*

საუბარი ჩაიწერა ნ. ფაილოძემ.

წარმოჩენილია აკადემიკოს ელენე მეტრეველის ერუდიცია და კომპეტენტურობა, მისი როლი ქართული და საზღვარგარეთული ქართველოლოგიისა და ბიზანტინისტიკის განვითარებაში, ხაზგასმულია მისი პედაგოგიური და ადამიანური თვისებები.

1998

- 277.** *ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ქ . , ო თ ხ მ ე ზ უ რ ი თ . სიცოცხლე წიგნისათვის... (ვულოცავთ) // ბურჯი ეროვნებისა. – 1998. – № 1. – გვ. 9.*

დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით წარმოჩენილია ელენე მეტრეველის ღვაწლი ქართული ფილოლოგიური, კოდიკოლოგიური, ტექსტოლოგიური და პალეოგრაფიური მეცნიერების, ბიზანტინისტიკისა და

ორიენტალისტიკის განვითარებაში, საზღვარგარეთელ ქართველოლოგებთან კონტაქტების დამყარებასა და თანამშრომლობის გაფართოებაში, საზღვარგარეთის ორიენტალისტთა შორის ქართული ფილოლოგიური სკოლის მიღწევათა პროპაგანდაში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მრავალმხრივი სამეცნიერო მუშაობის ფართოდ გაშლაში.

ფოტოილუსტრაცია: ელ. მეტრეველი მეცნიერ-მუშაკთა ჯგუფთან ერთად.

1999

278. გვარამია რ., ქურციკიძე ც. *ელენე მეტრეველი* // მრავალთავი. – XVIII: ეძღვნება აკადემიკოს ელენე მეტრეველს დაბადების 80 წლისთავზე. – 1999. – გვ. 5-11.

გამუჭებულია ელ. მეტრეველის ცხოვრება, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

2000

279. *საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 238* // *წიგნი ღირსებისა. 1992-1996*. – თბ., 2000. – გვ. 319.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 მარტის ბრძანებულებით, „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის კვლევის საქმეში განსაკუთრებული წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი

მოღვაწეობისათვის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი ელენე მეტრეველი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით“.

- 280.** ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ზ . ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ. მესამე შევსებული გამოცემა, [რედაქტორი ელ . მეტრეველი], თბ.: პროგრამა „ლოგოსი“, 2000, გვ. 367-368.

თავში „მომამგენი“ წარმოჩენილია ელენე მეტრეველის ღვაწლი ქართული ხელნაწერების ტექსტოლოგიურ კვლევა-ძიებაში.

- 281.** Состав Археографической комиссии РАН // Археографический ежегодник, за 1999 год. – 2000. – გვ. 370.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების ბიუროს 1999 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ელ. მეტრეველი დამტკიცებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიის წევრად.

282. *Miscellanea Metreveli*, «Studi sull'Oriente Cristiano», 4 (2000), in onore dell'Accademica Georgiana Professoressa Elena Metreveli, 2 voll.

[*მეტრეველის კრებული // გამოკვლევები ქრისტიანულ აღმოსავლეთზე*] – 4: ეძღვნება ქართველ აკადემიკოსს, პროფესორ ელენე მეტრეველს, ტ. 1-2. – 2000.

გამოქვეყნებულია გაგა შურდაიას მიერ შედგენილი აკადემიკოს ელ. მეტრეველის ბიობიბლიოგრაფია, სადაც წარმოჩენილია მისი ცხოვრების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, წარმოდგენილია მეცნიერის შრომებისა და მის შესახებ არსებული ლიტერატურის ვრცელი ანოტირებული ბიბლიოგრაფია ქართულ და იტალიურ ენებზე. აქვეა დასტამბული ქართველ და უცხოელ მკვლევართა შრომები, რომლებიც ეძღვნება ელ. მეტრეველის საიუბილეო თარიღს.

ერთვის ელ. მეტრეველის პორტრეტი.

2001

283. „... ქალბატონ ელენეს დონის ორიოდ მეცნიერი რომ გვყავდეს, სულ სხვა მიმართულება ექნებოდა ჩვენს მეცნიერებას“ // ლიტერატურული საქართველო. – 2001. – 19-25 იანვარი. – № 3/3315. – გვ. 12-13.

ინტერვიუ საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორთან, რომის სახელმწიფო უნივერსიტეტის, „ლა საპიენცას“ პროფესორთან, გაგა შურღაიასთან.

წარმოჩენილია აკადემიკოს ელ. მეტრეველის როლი ქართული და საზღვარგარეთული ქართველოლოგიისა და ბიზანტინისტიკის განვითარებაში, მისი ავტორიტეტი დასავლელ კოლეგათა შორის, კონსტანტინესა და ანგელოზების სახელობის ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „Studi sull'Oriente Cristiano“-ს 2000-2001 წლის ნომრების აკადემიკოს ე. მეტრეველისადმი მიძღვნის ისტორია.

284. *Miscellanea Metreveli*, «Studi sull'Oriente Cristiano», 5 (2001), in onore dell'Accademica Georgiana Professoressa Elena Metreveli, 2 voll.

[*მეტრეველის კრებული* // გამოკვლევები ქრისტიანულ აღმოსავლეთზე]. – 5: ეძღვნება ქართველ აკადემიკოსს, პროფესორ ელენე მეტრეველს, ტ. 1-2. – 2001.

2002

285. მეტრეველი ელენე პავლეს ასული // თბილისი. ენციკლოპედია. – თბ.: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 2002. – გვ. 666.

ერთვის ე. მეტრეველის პორტრეტი.

2003

286. ა ბ უ ლ ა ძ ე ც . ელენე მეტრეველი, პერსონალია, ნეკროლოგი // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი [=] Journal of Gelati Academy of Sciences. – 3. – 2003. – გვ. 59-62.

აღნიშნულია ელენე მეტრეველის, როგორც მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნების, საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ფილოლოგის, არქეოგრაფის, ჩინებული ორგანიზატორის, შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელისა და მასწავლებლის როლი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლების – „ვეფხისტყაოსნის“, „აბდულმესიანის“, „ამირანდარეჯანიანის“, სულხან-საბა ორბელიანის, ტიმოთე გაბაშვილისა და გიორგი ავალიშვილის თხზულებების, იერუსალიმის, სინისა და ათონის ქართული საგანმანათლებლო კერების, ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის შესწავლაში, ხელნაწერების დაცვასა და მეცნიერულ აღწერაში, ტექსტების გამოქვეყნებასა

და ანალიზში, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების განსწავლაში, ქართველოლოგიის თვისებრივად ზრდასა და განვითარებაში. ახლავს ელენე მეტრეველის პორტრეტი.

287. ა ბ უ ლ ა ძ ე ც . *მრავალმხრივ გამორჩეული მეცნიერი (ელენე მეტრეველი) // ჩვენი მწერლობა, სალიტერატურო ჩანართი გაზეთისა „ახალი ეპოქა“.* – 2003. – 18-24 აპრილი. – № 15/145. – გვ. 12-13.

ელ. მეტრეველის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის გასვლასთან დაკავშირებით. აღნიშნულია მისი, როგორც მრავალმხრივ გამორჩეული მოღვაწისა და მეცნიერის, ღრმა განცდებისა და დახვეწილი გემოვნების ლიტერატურათმცოდნის, როლი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის, საზღვარგარეთული ქართული საგანმანათლებლო კერების შესწავლაში; წარმოჩენილია მისი დამსახურება ქართული ხელნაწერების დაცვაში, მეცნიერულ აღწერაში, მათ ანდერძ-მინაწერებში დასახელებული ისტორიული პირებისა და აღბეჭდილი ფაქტების გაცხოველებაში, ტექსტების გამოქვეყნებასა და კვლევაში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მრავალფეროვანი სამეცნიერო მუშაობის ტემპისა და რიტმის უზრუნველყოფაში. ხაზგასმულია მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები: თანამშრომლებისადმი თბილი დამოკიდებულება, ყურადღებიანობა, მოსმენის არაჩვეულებრივი კულტურა, კოლეგებისადმი უანგარო დახმარება, მომთხოვნელობა და პირუთვნელობა, პრინციპუ-

ლობა, ქვეყნის აწმყოთი და მომავლით, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით დაინტერესება.

- 288.** ა ლ ე ქ ს ი ძ ე ზ . დიდი ცხოვრების დასასრული. გამოსათხოვარი // ლიტერატურული საქართველო. – 2003. – 21-27 მარტი. – № 12/3428. – გვ. 11.

